# საქართველოში გავრცელებული ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის კვლევის ანგარიში

# საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის შესახებ

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD) არის მიუკერძოებელი და ნეიტრალური არასამთავრობო ორგანიზაცია. ორგანიზაციის ღირებულებები ეფუძნება თანასწორობის, ადამიანის თავისუფლების, პატივისცემის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭირვალობის პრინციპებს. ცენტრის ძირითადი მიზნებია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ქვეყნის ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის პრინციპების განმტკიცება; მისი ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერა და ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობების შექმნა.

დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ: **https://www.gcsd.org.ge/ge**

# წინასიტყვაობა

წინამდებარე კვლევის ანგარიში მომზადებულია საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის მიერ *„ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციისთვის საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერების“* პროექტის ფარგლებში

დოკუმენტის მიზანია დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია საქართველოში გავრცელებული ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის საკვანძო მახასიათებლების შესახებ.

## ავტორები:

ბექა ფარსადანიშვილი და ანა ლელაძე

## რედაქტორები:

მარიამ თოხაძე და გიორგი გოგუაძე

## დოკუმენტის ციტირების წესი:

ფარსადანიშვილი, ბ. & ლელაძე, ა. (2022). საქართველოში გავრცელებული *ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის კვლევის ანგარიში.* საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი.

Norwegian Ministry of Foreign Affairs

GCSD

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი მადლობას უხდის ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროექტის ფინანსური მხარდაჭერისთვის და წინამდებარე კვლევაში მონაწილე ყველა პირს გაწეული შრომისათვის.

# რეზიუმე


საქართველოში განვითარებული ისეთი ბოლოდროინდელი მოვლენები, როგორიც 2021 წლის ივლისში ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ ორგანიზებული აქციის დროს მედიის წარმომადგენლებზე ძალადობა [1] და პანკისის ხეობაში 2021 წლის 24 აგვისტოს 5 ახალგაზრდა პირის ტერორისტული ორგანიზაციაში გაწევრიანების ბრალდებით დაკავებაა,[2] მიანიშნებს, რომ ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივი არამხოლოდ აქტიურად ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ საფრთხესაც უქმნის სახელმწიფო უსაფრთხოების არქიტექტურას.

წინამდებარე კვლევის ანგარიში დეტალურად აღწერს საქართველოში გავრცელებული ჯიჰადისტური და ულტრამემარჯვენე ნარატივის ძირითად მახასიათებლებს. საგულისხმოა, რომ აღნიშნული დოკუმენტი ულტრამემარცხენე ნარატივის შესაბამის ანალიზს არ გვთავაზობს, რაც საქართველოში ამ უკანასკნელის ნაკლებად ძალადობრივი ბუნებით და გავრცელების დაბალი სიხშირით არის განპირობებული.

საქართველოში გავრცელებული ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის შესწავლის მიზნით, წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები ექსპერტებთან, თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდით შესწავლილი იქნა გავრცელებული ნარატივის შინაარსობრივი და ენობრივი ტენდენციები, მოხდა როგორც შესაბამისი ლიტერატურის, ასევე მეორეული და მესამეული მონაცემების დამუშავება.


[1] OSCE, U. (2021). *On July 5 Violence in Georgia. U.S. Mission to the OSCE;* retrieved on 13 November 2021, from **https://osce.usmission.gov/on-july-5-violence-in-georgia/.**

[2] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (2021). სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადება. ბოლო ნახვა 13 ნოემბერი, 2021. **https://ssg.gov.ge/news/712/saxelmtsifo-usafrtxoebis-samsaxuris-gancxadeba**

# დოკუმენტში გამოყენებული აბრევიატურების განმარტება

| | |
|---|---|
| „დაეში“ | ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო |
| სსკ (სსსკ) | საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი |
| სუს | სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური |
| GCSD | საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი |
| ICCT | კონტრ-ტერორიზმის საერთაშორისო ცენტრი |
| ICSVE | ძალადობრივი ექსტრემიზმის საერთაშორისო კვლევის ცენტრი |

# სარჩევი


1. საქართველოში გავრცელებული ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის კვლევის შესახებ — 01

2. ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის საკვალიფიკაციო კრიტერიუმების განსაზღვრა — 02

3. საქართველოში გავრცელებული ჯიჰადისტური ნარატივის შესახებ — 04

3.1 ჯიჰადისტური ნარატივის სამუშაო განმარტების შემუშავება — 04

3.2 ჯიჰადისტური ნარატივის შინაარსობრივი და ენობრივი მახასიათებლები — 05

3.2.1 გლობალური ნარატივი — 06

3.2.2 რეგიონული ნარატივი — 07

3.2.3 ადგილობრივი (შიდასახელმწიფოებრივი) ნარატივი — 07

3.3 ჯიჰადისტური ნარატივის გამავრცელებელი აგენტები საქართველოში — 08

3.3.1 ნარატივის მიზანმიმართული გავრცელების პროცესში ჩართული აგენტები — 08

*3.3.1.1 ტეროორისტული ორგანიზაცია ხოგოხც ჯიჰადისტური ნარატივის პირველწყარო საქართველოში* — 09

3.3.1.1.1 დაეში — 09

3.3.1.1.2 ალ კაიდა — 11

3.3.1.1.3 ტალიბანი — 12

3.3.1.1.4 ტერორისტული ორგანიზაციების მიერ გავრცელებული ჯიჰადისტური ნარატივის ძირითადი მიზნები — 12

*3.3.1.2 ტეროორისტულ ორგანიზაციებთან აფილირებული აგენტები* — 14

3.3.2 ჯიჰადისტური ნარატივის პოტენციური უნებლიე გამავრცელებლები — 14

3.4 ჯიჰადისტური ნარატივის გავრცელებისთვის გამოყენებული პლატფორმები საქართველოში — 15

3.4.1 ინტერნეტ-სივრცე — 16

*3.4.1.1 არაჰომოგენური აუდიტორიის მქონე სოციალური ქსელები* — 16

*3.4.1.2 ჰომოგენური აუდიტორიის მქონე ქსელები* — 17

*3.4.1.3 შიდასაკომუნიკაციო, დაშიფრული ქსელები* — 17

*3.4.2 ფიზიკური გარემო* — 18

3.5 ჯიჰადისტური ნარატივის გავრცელების ფორმები საქართველოში — 19

3.6 ჯიჰადისტური ნარატივის სამიზნე აუდიტორია საქართველოში — 19

3.6.1 სამიზნე აუდიტორიის შერჩევის პროცესი — 20

3.6.2 ჯიჰადისტური ექსტრემისტული ნარატივის კონცენტრაციის ლოკაციები საქართველოში — 21

*3.6.2.1 ქისტები პანკისის ხეობაში* — 21

*3.6.2.2 საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ზერბაიჯანელები* — 21

*3.6.2.3 აჭარაში მცხოვრები მუსლიმები* — 22

3.7 ჯიჰადისტური ნარატივის გავრცელების ხელშემშლელი ფაქტორები — 23

4. საქართველოში გავრცელებული ულტრამემარჯვენე ნარატივის შესახებ — 24

4.1 ულტრამემარჯვენე ნარატივის სამუშაო განმარტების შემუშავება — 24

4.2 საქართველოში გავრცელებული ულტრამემარჯვენე ნარატივის შინაარსობრივი და ენობრივი მახასიათებლები — 25

4.2.1 ულტრამემარჯვენე ნარატივის შინაარსობრივი მახასიათებლები — 26

*4.2.1.1 საგარეო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებული ულტრამემარჯვენე ნარატივი* 26
*4.2.1.1.1 საქართველო-რუსეთის უთანხმოების შესახებ არსებული ულტრამემარჯვენე ნარატივი* 26
*4.2.1.1.1.1 2008 წლის აგვისტოს ომი* 27
*4.2.1.1.1.2 რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი* 29
*4.2.1.1.1.3 ქართულ-რუსული უთანხმობები ომის შემდეგ* 30
*4.2.1.1.1.4 რუსეთის როლი საერთ. უთანხმობებში* 32
*4.2.1.1.2 საქართველოს საერთაშორისო პარტნიორების დისკრედიტაცია* 33
*4.2.1.1.2.1 დას. პარტნიორების დისკრედიტაცია* 33
*4.2.1.1.2.2 სხვა სტრატეგიული პარტნიორების დისკრედიტაცია* 35
*4.2.1.1.2.2.1 თურქეთი* 35
*4.2.1.1.2.2.2 აზერბაიჯანი* 36
*4.2.1.1.3 საქართველოს როლი საერთაშორისო ასპარეზზე* 36
*4.2.1.2 საშინაო პოლიტიკასთან დაკავშირებული ულტრამემარჯვენე ნარატივი* 37
*4.2.1.2.1 ეკონომიკური პროტექციონიზმი* 37
*4.2.1.2.2 კულტურული კონსერვატიზმი* 38
*4.2.1.2.3 რელიგიური პროტექციონიზმი* 39
*4.2.1.2.4 სოციალური კონსერვატიზმი* 40
*4.2.1.2.5 ინსტიტუციური რეტრაქციონიზმი* 41
*4.2.1.2.6 ინოვაციური ფობიზმი* 42
4.2.2 საქართველოში გავრცელებული ულტრამემარჯვენე ნარატივის ენობრივი ტენდენციები 42
4.3 ულტრამემარჯვენე ნარატივის გამავრცელებელი აგენტები საქართველოში 43
4.3.1 ულტრამემარჯვენე აგენტების მაკროიდენტობის საკითხი 44
4.3.2 ულტრამემარჯვენე აგენტების ოთხი ოპერაციული მახასიათებელი 46
4.4 ულტრამემარჯვენე ნარატივის გავრცელებისთვის გამოყენებული პლატფორმები 48
4.4.1 ულტრამემარჯვენე აგენტების მიგრაცია ინტერნეტისკენ 49
4.4.2 ულტრამემარჯვენე აგენტების სწრაფვა სამაუწყ. უფლების მოპოვებისკენ 52
4.4.3 პოლიტიკური პლატფორმა 53
4.4.4 ფიზიკური სივრცის აქტუალობის საკითხი 54
4.5 ულტრამემარჯვენე ნარატივის სამიზნე აუდიტორია საქართველოში 54
4.5.1 სამიზნე აუდიტორიის პარადოქსი 54
4.5.2 სამიზნე აუდიტორიის შექმნის პროცესი 56
4.5.3 გაფართოება და სამიზნე აუდიტორიის პოტენციური მონოპოლიზაცია 56
4.6 ულტრამემარჯვენე ნარატივის გავრცელებასთან გამკლავების მეთოდები 57

5. ექსტრემისტული ნარატივის ანომალიური ბუნება საქართველოში 59
5.1 ძალადობრივი ექსტრემიზმის აღქმა 9/11-ის შემდეგ 59
5.2 რელიგია და მრავალფეროვანი მაკროიდენტობა 60
5.3 ტრადიციულზე აპელირება 60

დასკვნა 61
გამოყენებული ლიტერატურა 62
დანართები 64

# 1. საქართველოში გავრცელებული ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის კვლევის შესახებ

საქართველოში გავრცელებული ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის ანგარიში 3 თემატურ ნაწილად არის გაყოფილი. დოკუმენტის პირველ ნაწილში წარმოდგენილია საქართველოში გავრცელებული ჯიჰადისტური და ულტრამემარჯვენე ნარატივის შესწავლის შედეგად მიღებული ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის სამუშაო დეფინიცია. კვლევის ანგარიშის მეორე ნაწილში წარმოდგენილი ორი დამოუკიდებელი სეგმენტი იძლევა დეტალურ ინფორმაციას საქართველოში გავრცელებული როგორც ჯიჰადისტური, ისე -ულტრამემარჯვენე ნარატივის შესახებ. კვლევის დასკვნით ნაწილში ქართულ კონტექსტში შეფასებულია მიმართება ჯიჰადისტურ და ულტრამემარჯვენე ნარატივს შორის.

დაინტერესებული მხარეებისთვის საქართველოში გავრცელებული ჯიჰადისტური და ულტრამე-მარჯვენე ნარატივის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდების მიზნით, წინამდებარე კვლევის კომპლექსური პროცესი საქართველოში **2008 წლის აგვისტოს ომიდან 2022 წლის იანვრის ბოლომდე** ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის გავრცელების პროცესზე დაკვირვებას, გავრცელებული განცხადებების თვისებრივ და რაოდენობრივ კონტენტ-ანალიზს, შესაბამისი სფეროს ექსპერტებთან ნახევრად სტრუქტურირებულ ინტერვიუებს და მეორადი და მესამეული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის დეტალურ ანალიზს გულისხმობს.

წინამდებარე დოკუმენტში ძირითად მასალასთან ერთად დანართების სახით წარმოდგენილია კვლევის პროცესში მიღებული და დამუშავებული ინფორმაცია, როგორც ულტრამემარჯვენე, ასევე - ჯიჰადისტური ნარატივის შესახებ.

ამასთანავე, კვლევის შედეგების დაინტერესებულ პირთათვის უფრო სწრაფად და ეფექტიანად გაცნობის მიზნით, აღნიშნულ დოკუმენტს ერთვის კვლევის ანგარიშის მოკლე ექსკურსი - *ადაპტირებული ტექსტი.*

# 2. ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის საკვალიფიკაციო კრიტერიუმების განსაზღვრა

ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივი და მისი გავრცელების პროცესი საქართველოსთვის მეტნაკლებად ახალ ფენომენს წარმოადგენს, რაზეც არამხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) არასათანადო თემატური კონცენტრაცია მიუთითებს[3], არამედ ის ფაქტიც, რომ ტერორიზმის  წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ სტრატეგიაშიც ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივი მხოლოდ ნაწილობრივ არის ნახსენები და მეტწილად ჯიჰადისტური ექსტრემისტული ნარატივის შესახებ საუბრით შემოიფარგლება.[4]

მიუხედავად იმისა, რომ ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის სხვადასხვა კატეგორიები იდეოლოგიური თვალსაზრისით განსხვავდება ერთმანეთისაგან, ულტრამემარჯვენე და ჯიჰადისტურ ნარატივს შორის შესაძლებელია ისეთი ფუნდამენტური მახასიათებლების გამოვლენა, რომლებიც საერთოა ყველა სახის ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივისათვის.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოში გავრცელებული ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის იდეოლოგიური კატეგორიებიდან განსაკუთრებით აქტუალურია ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული და ჯიჰადისტური ნარატივი. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში თითქმის აღარ ფიქსირდება ძალადობრივი ბუნების ულტრამემარცხენე ექსტრემისტული ნარატივის გავრცელება, წინამდებარე დოკუმენტი ყურადღებას სწორედ ჯიჰადისტურ და ულტრამემარჯვენე ნარატივზე ამახვილებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯიჰადისტურ და ულტრამემარჯვენე ძალადობრივ ნარატივს შორის ფუნდამენტური იდეოლოგიური განსხვავებები არსებობს. თუმცა, საქართველოში გავრცელებული აღნიშნული კატეგორიის ნარატივის ენობრივი და შინაარსობრივი შესწავლის საფუძველზე გამოვლენილი საერთო მახასიათებლები საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ ქართულ კონტექსტზე მორგებული ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის ის კონცეფცია, რომელსაც აღნიშნული დოკუმენტი დაეყრდნობა.[5] (შენიშვნა 2)

[3] საქართველოს პარლამენტი (2021). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი - კონსოლიდირებული ვერსია. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
**https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=235**

[4] საქართველოს მთავრობა (2019). ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია.

* **შენიშვნა[1]**: მნიშვენლოვანია აღინიშნოს, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგიის განახლებული ვერსია (2022) კვლევაზე მუშაობის დასრულების მომენტისთვის საჯაროდ ხელმისაწვდომი არ იყო.

[5] **შენიშვნა[2]:** გამომდინარე იქიდან, რომ ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის ქვემოთ შემუშავებული განმარტება ზოგადია, წინამდებარე ანგარიში ცალკე წარადგენს ქართულ კონტექსტზე მორგებულ ჯიჰადისტური და ულტრამემარჯვენე ნარატივის სამუშაო განმარტებებს

საქართველოში გავრცელებული ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის სამუშაო კონ-ცეფციის შემუშავება განაპირობა არამხოლოდ აღნიშნული ფენომენის მაღალმა აქტუალობამ, არამედ ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის ისეთი მსგავსი კონცეფციების არსებობით გამოწვეულმა დაბნეულობამ, როგორიც არის სიძულვილის ენა.

თუმცა სიძულვილის ენისაგან განსხვავებით, რომელსაც ძალადობრივ ექსტრემისტულ ნარატივთან შედარებით ნაკლები ორგანიზებულობა და სისტემატურობა ახასიათებს,[6] ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის გავრცელების პროცესში ყოველთვის უფრო მკაფიოდ არის გამოკვეთილი 3 ძირითადი აქტორი. აღნიშნულ ერთეულებს შესაძლებელია პირობითად ეწოდოთ ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის პირველწყარო, მისი გამავრცელებელი აგენტი და სამიზნე აუდიტორია.

ამასთანავე, ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის ექსკლუზიურობას ხაზს უსვამს ამ ნარატივის გამავრცელებელი აგენტების მიერ განსაკუთრებით ეფექტიანად გამოყენებული პლატფორმები, გავრცელების ფორმები და ენობრივი ინსტრუმენტები, რომელიც სიძულვილის ენისაგან განსხვავებით უმთავრესად შიდა და გარე ჯგუფების კონცეფციებზეა ორიენტირებული.

ამრიგად, წინამდებარე დოკუმენტი საქართველოში გავრცელებული ჯიჰადისტური და ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული ნარატივის დეტალური შესწავლის შედეგად გამოკვეთილ საერთო მახასიათებლების ფონზე, ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის შემდეგ სამუშაო დეფინიციას წარმოადგენს:

> **ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივი წარმოადგენს ძალადობრივი ხასიათის მქონე ერთეულის, მასთან სხვადასხვა ფორმით დაკავშირებული და უნებლიე გამავრცელებელი აგენტების მიერ გავრცელებული მსოფლმხედველობრივი სისტემა-ტიზირებული შეტყობინებების სიმრავლეს, რომელიც მკაფიოდ ახდენს საზოგადოების დაყოფას გარე და შიდა ჯგუფებად და მოუწოდებს ამ უკანასკნელს, სხვადასხვა შეთავაზებული ფორმებით ჩაერთონ გარე ჯგუფის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებში** (იხ. შენიშვნა 3, გვ. 3)

წარმოდგენილი განმარტება საშუალებას იძლევა დავინახოთ ის ძირითადი მახასიათებელი, რომელიც აერთიანებს იდეოლოგიურად განსხვავებულ ყველა ძალადობრივ ექსტრემისტულ ნარატივს. ეს მახასიათებელი გულისხმობს საზოგადოების ისეთ კატეგორიებად დაყოფას, რომლებსაც ბერგერი პირობითად შიდა და გარე-ჯგუფებად მოიხსენიებს.[7]

**შენიშვნა[3]:** საგულისხმოა, რომ დოკუმენტში წარმოდგენილი განმარტებები არ წარმოადგენს განზოგადებულ კონცეფციებს და რელევანტურია ქართული კონტექსტისათვის. შესაბამისად, აღნიშნული განმარტებების განზოგადების ნებისმიერ მცდელობა უარყოფითად აისახება მათ ვალიდობაზე.

[6] United Nations (2021). Addressing and Countering Hate Speech and Violent Extremism through Education in a Digital World
**https://media.un.org/en/asset/k1u/k1u6lj3ito**

[7] Berger, J.M (2017). Extremist Construction of Identity: How Escalating Demands for Legitimacy Shape and Define In-Group and Out-Group Dynamics. International Center for Counter-Terrorism.
**https://bit.ly/3yvp3kG**

# 3. საქართველოში გავრცელებული ჯიჰადისტური ნარატივის შესახებ

2021 წლის 23-24 აგვისტოს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის ფარგლებში პანკისის ხეობის ორ სოფელში, დუისსა და ქორეთში ტერორისტული ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით ხუთი პირი დააკავეს. აღნიშნული პირების მიმართ სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 327-ე მუხლით აღიძრა, რაც ტერორისტული ორგანიზაციის წევრობას გულისხმობს.

გარდა ტერორისტული ორგანიზაციის წევრობის და სირიაში გამგზავრების დაგეგმვისა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადებით, ზემოხსენებული პირები ღიად ახდენდნენ ტერორისტული ორგანიზაციის ნარატივის და სიმბოლიკის პოპულარიზაციას.

აღნიშნული შემთხვევა საინტერესოა რამდენიმე მიზეზის გამო. უპირველეს ყოვლისა, მიუხედავად დაეშის პოზიციების შესუსტებისა, მის მიერ გავრცელებული ჯიჰადისტური ნარატივი მაინც ახდენს გავლენას საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებზე. გარდა ამისა, აღნიშნული შემთხვევა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ჯიჰადისტური ნარატივის მნიშვნელობას ადამიანის რადიკალიზაციაში და ნათლად ასახავს ამგვარი ნარატივის გავრცელების თანმდევ საფრთხეებს საქართველოსთვის.

## 3.1 ჯიჰადისტური ნარატივის სამუშაო განმარტების შემუშავება

საქართველოში გავრცელებული ჯიჰადისტური ნარატივის იდეოლოგიურ საფუძვლებზე საუბრის დაწყებამდე, მნიშვნელოვანია განიმარტოს თუ რას გულისხმობს თავად ჯიჰადისტური ნარატივის კონცეფცია აღნიშნულ დოკუმენტში.

მიუხედავად იმისა, რომ ჯიჰადისტური ნარატივის შესახებ აკადემიური ნაშრომები უკვე რამდენიმე ათწლეულია იწერება, დღემდე არ არსებოს შეთანხმებული განმარტება ხსენებული კონცეფციის შესახებ. ემპირიული კვლევის ფარგლებში ჯიჰადისტური ნარატივის განმარტებისთვის ორი სახის მიდგომა გამოიყენება:

01 **„ჯიჰადისტური ნარატივის“ კონცეპტუალური განმარტება** - ეს მიდგომა ტერმინებს, „ჯიჰადი“ და „ნარატივი“ ცალ-ცალკე განმარტავს. ჯიჰადი ისლამის მტრების წინააღმდეგ ბრძოლას გულისხმობს, ხოლო ნარატივი კი ინდივიდის მიერ მსოფლმხედველობის გადმოცემის პროცესს მოიაზრებს.[8] ამრიგად, ჯიჰადისტური ნარატივი ეს არის იმ შეტყობინებების ერთობა, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანებს უბიძგოს სხვადასხვა ფორმით ჩაერთონ ისლამის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

[8] Oxford Reference (n,d.) Jihad. ინტერნეტი; https://www.oxfordreference.com/view/10.1093/oi/authority.20110803100020733; ბოლო ნახვა: 10 სექტემბერი, 2021.
Hornblower, S. & Spawforth, A. (2005). Narrative; The Oxford Classical Dictionary. ინტერნეტი; https://www.oxfordreference.com/view/10.1093/acref/9780198606413.001.0001/acref-9780198606413-e-4338; ბოლო ნახვა: 10 სექტემბერი, 2021.

02 **ცალკეულ შემთხვევებზე დაყრდნობით გაკეთებული განმარტება** - აღნიშნული მიდგომა თანხმობაშია მოსაზრებასთან, რომ ჯიჰადისტური ნარატივის ძირითად პირველწყაროს ძალადობრივი ორგანიზაცია, მოძრაობა ან ერთეული წარმოადგენს. ენდრიუ გლაზარდი ჯიჰადისტურ ნარატივის „ძალადობრივი ისლამისტური ჯგუფების და მოძრაობის მსოფლმხედველობას“ უწოდებს. გლაზარდი აქვე დასძენს, რომ მრავალი ექსპერტი თანხმდება მსგავს განმარტებაზე.[9]

იმისათვის რომ მომხდარიყო ჯიჰადისტური ნარატივის კონცეფციის სწორად მორგება საქართველოში არსებულ კონტექსტზე, წინამდებარე კვლევის ფარგლებში მოხდა აღნიშნული მიდგომების გაერთიანება და ჯიჰადისტური ნარატივის სამუშაო განმარტების სახით შემუშავებული იქნა შემდეგი კონცეფცია:

> **ჯიჰადისტური ნარატივი წარმოადგენს ძალადობრივი თვითიდენტიფიცირებული ისლამისტური ერთეულის,[10] მასთან სხვადასხვა ფორმით დაკავშირებული და უნებლიე გამავრცელებელი აგენტების მიერ გავრცელებული მსოფლმხედველობრივი სისტემატიზირებული შეტყობინებების სიმრავლეს, რომელიც პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით მოუწოდებენ ადამიანებს სხვადასხვა შეთავაზებული ფორმით ჩაერთონ ამ ერთეულის მიერ ინტერპრეტირებულ ჯიჰადის პროცესში** (იხ. შენიშვნა 3, გვ. 3).

## 3.2 ჯიჰადისტური ნარატივის შინაარსობრივი და ენობრივი მახასიათებლები

საქართველოში გავრცელებული ჯიჰადისტური ნარატივის იდეოლოგიურ საფუძვლებზე საუბრისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი. საქართველო, მისი გეოგრაფიული, დემოგრაფიული და ისტორიული მახასიათებლების გამო, სხვადასხვა ფორმით აერთიანებს სამ სხვადასხვა გეოგრაფიული მასშტაბის მქონე ჯიჰადისტურ ნარატივს, რომელთა შინაარსობრივი მხარე განსაზღვრავს მათ მასშტაბურობას.

ქვემოთ აღწერილ **გლობალურ, რეგიონულ და ადგილობრივ** (შიდასახელმწიფოებრივი) ნარატივს მეტწილად რეაქციული ხასიათი აქვთ და გლობალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე მიმდინარე პროცესების თავისებურ რეფლექსიას წარმოადგენენ.

[9] Glazzard, A. (2017). Losing the Plot: Narrative, Counter-Narrative and Violent Extremism; International Centre for Counter-Terrorism. გვ. 1

[10] * იგულისხმება ძალადობრივი ერთეული, რომელიც საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენს ისლამის არასწორ და ძალადობრივ ინტერპრეტაციაზე*.

## 3.2.1 გლობალური ნარატივი

გლობალური ნარატივი იდეოლოგიურ საფუძვლად ისლამური სახალიფოს ისტორიულ საწყისებს იყენებს. ამ ნარატივის მიხედვით, **არსებობდა ისლამური სახელმწიფო, რომელიც ამჟამად ურწმუნოების (ე.წ „ქაფირების“) მიერ არის დაპყრობილი.** ნარატივის უფრო შერბილებული ფორმის თანახმად, შეიძლება აღნიშნული ტერიტორიები არ იყოს დაპყრობილი, არამედ - იმართებოდეს ურწმუნოებისგან ან მოღალატე მუსლიმებისგან. ხოლო მუსლიმის უპირველეს მოვალეობას ამ ტერიტორიების ურწმუნოებისგან ან მოღალატეებისგან გათავისუფლება წარმოადგენს, შემდგომი მიზნები კი ამ ტერიტორიებზე შარიათის კანონების დამყარება და მათი გაერთიანებაა. აღნიშნული ნარატივი ყველა სახელმწიფოში და მათ შორის საქართველოშიც ვრცელდება, რადგან ამავე ნარატივის თანახმად, ყველა მუსლიმის ვალია ნებისმიერი ფორმით ჩაერთოს ჯიჰადში.

მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ეს არის ის ნარატივი რომელიც აქტიურად გამოიყენება ისეთი ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციების მიერ ახალი წევრების რეკრუტირების პროცესში, როგორებიც არიან დაეში და ალ კაიდა (იხ. დანართი 1). მსგავსი სახის ნარატივი სახალიფო შესახებ კარგად ჩანს ბადრი ირემაძის განცხადებაში:

> *...თქვენ თვით, ჰომ ძაღიან შოჰს ვაჰთ საქაჰთველოდან და ხაღიფატი საქაჰთველოში ვეჰ მოაღწევს. თუმცა, მინდა შეგახსენოთ ის პეჰიოდი, ჰოდესაც იყო საქაჰთველოში ხაღიფატი. იმ პეჰიოდის ქაჰთველები უფჰო გაციღებით მეტი ვაჟკაცი იყვნენ, ვიდჰე ღღევაღნეღი საქაჰთველოს მაცხოვჰებეღი ისღამის მტჰები..* [11]

ბადრი ირემაძის მიერ გავრცელებული განცხადების თვისებრივი კონტენტ-ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ საქართველოში გავრცელებული გლობალური ჯიჰადისტური ნარატივის ძირითადი ფუნქციები. (იხ. ფიგურა 1).

### ფიგურა 1.

*გლობალური ჯიჰადისტური ნარატივის ფუნქციები საქართველოში*




საქართველოში გავრცელებული გლობალური ჯიჰადისტური ნარატივის ფუნქციებს წარმოადგენს **ჯიჰადის ლეგიტიმაცია, შიდა ჯგუფის პროპაგანდა და მოწინააღმდეგის დაშინება.**

[11] წულაძე, ძ. (2015). არის თუ არა ყურანის სწავლება ექსტრემისტული? ამერიკის ხმა. ინტერნეტი; **https://www.amerikiskhma.com/a/isis-georgia/3071479.html;** ბოლო ნახვა: 10 სექტემბერი, 2021 წელი.

## 3.2.2 რეგიონული ნარატივი

ამგვარ ნარატივში ნაგულისხმევია რეგიონში მიმდინარე პროცესების მიმართ დამოკიდებულების გამომხატველი შეტყობინებები. დღეისათვის საქართველოში რეგიონული ნარატივი ქისტებში და ეთნიკურ აზერბაიჯანელებში ვრცელდება. ქისტებში გავრცელებული ნარატივი ჩეჩნეთში გავრცელებული ნარატივის მსგავსია: **ჩეჩნეთის ომი, ეს არის ომი თავისუფლებისათვის ჩეჩენ მუსლიმებს და ურწმუნო რუსებს შორის.** პანკისის ხეობაში სწორედ ჩეჩნეთიდან მოხდა მსგავსი ნარატივის გავრცელება. ამ ნარატივის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს მუსლიმ აბუ ვალიდ ალ-შიშანის (მურად მარგოშვილის) მიერ ალ ჯაზირას თურქულენოვან გამოცემასთან მიცემული ინტერვიუ, სადაც იგი პარალელებს ავლებს ჩეჩნეთის პირველ ომსა და სირიაში არსებულ სიტუაციას შორის (იხ. დანართი 2):

> *... მთავარი მიზეზი, რის გამოც ჩვენ აქ [სირიაში] მოვხვდით, მოციქულის ჰადისია შამზე [სირია], შემდეგ კი სირიელ ხალხს თავს დატეხილი განუკითხაობაა. ეს ჩვენთვის უცხო არ არის, ჩვენ ამას წლების განმავლობაში განვიცდიდით - ჩვენ ვართ ის ერი, რომელსაც ყველაზე კარგად ესმის სირიელი ხალხისა. ამით ერთმანეთს ვგავართ კიდეც. და, როგორც ჰადისშია ნათქვამი, ჩვენ შევხვდით იმ ხალხს, ვისთვისაც ბრძოლას და სიკვდილს არ დავიშურებთ[12]...*

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ აზერბაიჯანელებში სუსტად არის გავრცელებული მსგავსი ნარატივები, ის მაინც შემჩნევადია. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ აზერბაიჯანელებს შორის გავრცელებული ნარატივის მიხედვით, **აზერბაიჯანი იმართება ალიევების ურწმუნო ოჯახის მიერ და ამ ტერიტორიაზე გაძლიერებული არიან ურწმუნონი. ხოლო ნებისმიერი მუსლიმის მოვალეობა უნდა იყოს მათი ჩამოშორება.**

## 3.2.3 ადგილობრივი (შიდასახელმწიფოებრივი) ნარატივი

ადგილობრივი (შიდასახელმწიფოებრივი) ნარატივი მეტწილად აჭარლებში ვრცელდება და რადგან მათთვის ისტორიულ სამშობლოს საქართველო წარმოადგენს, ნარატივი მეტწილად ქართულ კონტექსტზეა აგებული. ადგილობრივი ნარატივი საქართველოში მიმდინარე პროცესებზე ექსტრემისტული გამოძახილია. მაგალითად, ნარატივი იმის შესახებ, რომ **საქართველოს ურწმუნო ხელისუფლება და ადგილობრივი ურწმუნო საპატრიარქო ცდილობენ მუსლიმი აჭარლები გააქრისტიანონ, ცდილობენ რომ ისინი ეკომიგრანტების სახით გადაასახლონ სხვა რეგიონებში და მათ ნაცვლად აჭარაში სხვა რეგიონებიდან ჩამოასახლონ ხალხი, რათა გააქრონ ისლამი აჭარიდან და ნებისმიერი მუსლიმის ვალი არის ებრძოლოს ამ პროცესს და პროცესის მმართველ ინსტიტუტებს.** აღნიშნული კარგად არის გამოხატული თამაზ ჭაღალიძის (აჰმედ ჯურჯი) მიმართვებში, რომელსაც სოციალურ ქსელში **„მუვაჰიდ მუვაჰიდის“** ანგარიშით ავრცელებდა:

---

12 Al Jazeera (2017). An Interview with al-Shishani. ინტერნეტი; **http://www.chechensinsyria.com/?p=24202&fbclid=IwAR2KZ2cN7eWJ32SsxJTPyL5fBHbaQsNR-7lqm72M6bnwQQnIUIwiyxjgbFQ;** ბოლო ნახვა 13 სექტემბერი, 2021 წელი. (თარგმანი: ნინო ბურჭულაძე)

*ვისაც შეგიძღიათ, მოგვაწოდეთ ფოტოები, სახელი-გვარები და მისამართები იმ ხალხისა ვინც არიან ისლამის მტრები, ხარიჯტი თაქფირისტები, მუჰჯიიტების, დალვათჩიკების, მუშრიქების გრუპებისა და საიტების მფლობელებისა და ყველა იმ პიროვნებისა ვინც მუსლიმებს ჰაიმე დაუშავა. ეს არის ჩვენი დიდი თხოვნა ჩვენთან დაკავშირება იოლია და ხელმისაწვდომია ჩვენი საიტები, გვეხლები, ბლოგები, გრუპები და ნომრები.*[13]

## 3.3 ჯიჰადისტური ნარატივის გამავრცელებელი აგენტები საქართველოში

ჯიჰადისტურ ნარატივს ორი მხარე აქვს. ნარატივის გამავრცელებელი მხარე და მისი სამიზნე აუდიტორია. წინამდებარე კვლევაში პირველი **ნარატივის გამავრცელებელ აგენტად არის მოხსენიებული, ხოლო მეორე - სამიზნე აუდიტორიად. დოკუმენტში ძალადობრივი ექსტრემისტული იდეოლოგიის გამავრცელებელ აგენტად მოიაზრება სუბიექტი, რომელიც მიზანმიმართულად ან უნებლიედ ახდენს ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის გავრცელებას.** საქართველოს ტერიტორიაზე ჯიჰადისტური ნარატივის გამავრცელებელი აგენტები შეიძლება პირობითად ორ კატეგორიად დავყოთ:

01 ჯიჰადისტური ნარატივის **გავრცელების პროცესში მიზანმიმართულად ჩართული აგენტები**

02 ჯიჰადისტური ნარატივის **უნებლიე გამავრცელებლები.**

წინამდებარე თავში განხილულია თითოეული აგენტის სპეციფიკური ხასიათი და მათ მიერ გავრცელებული ნარატივის შინაარსობრივი ტენდენციები.

### 3.3.1 ნარატივის მიზანმიმართული გავრცელების პროცესში ჩართული აგენტები

საქართველოს ტერიტორიაზე ჯიჰადისტური ნარატივის მიზანმიმართული გავრცელების პროცესში ჩართული აგენტების ცნება გულისხმობს, ამ სუბიექტების მიერ გაცნობიერებას, რომ ისინი საქართველოს ტერიტორიაზე ჯიჰადისტური ნარატივის გავრცელებას ახდენენ. ზოგადად, ამგვარ აგენტებში შეიძლება მოვიაზროთ მეამბოხე მოძრაობები, სამხედრო ბლოკები, ტერორისტული ორგანიზაციები, მათთან აფილირებული ერთეულები და სხვ. საქართველოს ტერიტორიაზე მიზანმიმართული გავრცელების პროცესში ჩართულ აგენტებს ძირითადად **ტერორისტული ორგანიზაციები** და მათთან აფილირებული პირები (ან ჯგუფები) წარმოადგენენ.

13 ბურჭულაძე, ნ. (2016). *"მოგვაწოდეთ ფოტოები, სახელი-გვარები და მისამართები იმ ხალხისა ვინც არიან ისლამის მტრები" - ISIS-ის ახალი მუქარა საქართველოს?!. კვირის პალიტრა.*

https://www.kvirispalitra.ge/versia/31526-qmogvatsodeth-mtrebis-misamarthebiq.html

### 3.3.1.1 ტეროორისტული ორგანიზაცია როგორც ჯიჰადისტური ნარატივის პირველწყარო საქართველოში

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია ერთ-ერთ საფრთხედ ტერორისტული ორგანიზაციების მიერ ნარატივის გავრცელებას ასახელებს.[14] ხსენებული უსაფრთხოების კონცეფცია ტერორისტულ ორგანიზაციებს შორის განსაკუთრებული საფრთხის შემცველად დაეშს და ალ კაიდას ასახელებს.[15] თუმცა, ბოლო პერიოდში ავღანეთში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებასთან ერთად, ნარატივის გავრცელების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ტალიბანიც გავითვალისწინოთ.

**უნდა აღინიშნოს, რომ ტერორისტული ორგანიზაციები და მათი მსგავსი ერთეულები წარმოადგენენ ჯიჰადისტური ნარატივის პირველწყაროს, რაც გულისხმობს მათ უნარს, თავად შექმნან ნარატივი.**

***3.3.1.1.1 დაეში.*** ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის გავრცელების თვალსაზრისით დაეში გამორჩეულ შემთხვევას წარმოადგენს რამდენიმე მიზეზის გამო:

**01** უპირველეს ყოვლისა, დაეში საქართველოს მოქალაქეების **რეკრუტირების თვალსაზრისით** ტერორისტულ ორგანიზაციებში **უკონკურენტოდ ლიდერობს**, რადგან მის მიერ გავრცელებული ნარატივი სირიის სამოქალაქო ომის დროს უმეტესწილად რეკრუტირებაზე იყო ორიენტირებული.[16]

**02** მეორე საინტერესო მახასიათებელს წარმოადგენს დაეშის მიერ გავრცელებული გლობალური ნარატივის მნიშვნელოვანი ცვლილება, რომლის ფარგლებშიც ტერორისტული ორგანიზაცია მოუწოდებდა სხვადასხვა ქვეყნების მოქალაქეებს საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე ტერორისტული თავდასხმა განეხორციელებინათ. ნაცვლად იმის, რომ დაეშს ახალი წევრები მიეზიდა სირიის და ერაყის ტერიტორიაზე, პოზიციების შესუსტებასთან ერთად მან დაიწყო მოწოდებები, მოქალაქეებს ტერორისტული თავდასხმები ჩაედინათ საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე, რაც ერთის მხრივ ზრდის ტერორისტული ორგანიზაციის ოპერირების მასშტაბურობას და მეორეს მხრივ საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების არქიტექტურას.

საინტერესოა, რომ დაეშმა ტერორისტულ ორგანიზაციებს შორის, ერთ-ერთმა პირველმა შეცვალა მისი მოწოდებები ძალადობრივი ექსტრემისტული ქმედებების საკუთარ სახელმწიფოში განხორციელების შესახებ.[17] ამრიგად დაეშის მიერ საქართველოში გავრცელებულ ძალადობრივ ექსტრემისტულ ნარატივში ცენტრისკენულ (სირიასა და ერაყის ტერიტორიაზე) რეკრუტირებასთან ერთად, ფიქსირდება ცენტრიდანული ნარატივიც, რომელიც საკუთარ სახელმწიფოში ტერორისტული აქტის ჩადენისკენ მოწოდებას გულისხმობს.

[14] საქართველოს მთავრობა (2019). *ტეროორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია;*

[15] იქვე.

[16] Pokalova, E. & Karosanidze, T. (2020). *Neighbouring an Insurgency: the case of Radicalization in Georgia.* Central Asian Survey (40); გვ 243.

[17] Lister, C (2017). Al-Qaeda versus ISIS: Competing Jihadist Brands in the Middle East; Middle East Institute; გვ. 10-16.

**ისევე როგორც სხვა სუნიტური იდენტობის მქონე ტერორისტული ორგანიზაციის, ასევე დაეშის ჯიჰადისტური ნარატივი მეტწილად მიმართულია იმ მუსლიმებისკენ, რომლებიც თავს მარგინალიზირებულად თვლიან.** ძალადობრივი ექსტრემიზმის საერთაშორისო კვლევის ცენტრის[18] მიერ საფრანგეთის და ბელგიის ციხეებში დაეშის წევრობაში ბრალდებულ პატიმრებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან, დაეშის მიერ გავრცელებულ ნარატივში რამდენიმე საინტერესო შინაარსობრივი ტენდენცია დაფიქსირდა:

**01** დაეშის ექსტრემისტული ჯიჰადისტური ნარატივის გავრცელება ორი მასშტაბით ხდება. **ზოგადი ნარატივი** დაეშის დღის წესრიგის შესახებ, რომელიც გათვლილი არა-ინდივიდების ორგანიზაციაში გაწევრინაებაზე, არამედ ფართო მასების იდეოლოგიურ ინდოქტრინაციაზე. აღნიშნული როგორც სამიზნე აუდიტორიის დაინტერესების მიზნით გამოიყენება. შემდეგ მოქმედებაში მოდის ინდივიდზე მორგებული, **პერსონალური ნარატივი** რომლის დახმარებითაც აგენტი ცდილობს სამიზნის რეკრუტირებას ან უბიძგებს მას ექსტრემისტული ქმედების ჩადენისკენ საკუთარი ან სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე.

**02** დაეშის ნარატივის ზემოთ ხსენებულ ზოგად და პერსონალურ დონესთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ **პირველი დონე (ზოგადი) მეტწილად ინტერნეტით ან სხვა მედიასაშუალებებით ხორციელდება, რომლის დროსაც დაეშის მიერ ინტერპრეტირებული რეალობის გაცნობა ხდება მარგინალიზირებული მუსლიმებისთვის.** დაინტერესებული პირები, როგორც წესი შემდგომ თავად მიმართავენ აგენტს **ან ავრცელებენ ქვეცნობიერ სიგნალს, რომ მზად არიან პერსონალური ნარატივისთვის.** *(იხ. დანართი 1, ინტერვიუ #3)*

**03** შინაარსობრივი თვალსაზრისით დაეშის მიერ გავრცელებული ნარატივის თემები შეგვიძლია სამ ნაწილად დავყოთ: პოლიტიკური, რელიგიური და სოციალურ.

**ა.** **პოლიტიკური** - ამ კატეგორიის ნარატივის მიხედვით, დაეშის პოლიტიკური მისწრაფებაა შექმნას ხალიფატი, რომელიც წინასწარმეტყველი მუჰამედის სწავლებას არ გადაუხვევს და სადაც მუსლიმები უმას შიგნით მშვიდობიანად იცხოვრებენ.[19] დაეშის მიერ გავრცელებული ამ ნარატივის მიხედვით, დასავლური და პროდასავლური სახელმწიფოები საუკუნეების განმავლობაში ცდილობენ ამ მიზანს ხელი შეუშალონ.[20] ამავე ნარატივის მიხედვით, ისლამური სახელმწიფო აუცილებლად გაიმარჯვებს. საინტერესოა, რომ აღნიშნული ნარატივი სახეცვლილი ფორმით გვხვდება ხვიჩა გობაძის და მისი თანმხლები პირების მიერ გავრცელებულ მიმართვაში - „გზავნილი ქართველ ხალხს“, სადაც მტრად არა დასავლეთი არამედ საქართველოს საპატრიარქო და არამუსლიმი თემები, ქრისტიანები გამოცხადნენ.[21]

---

18 * International Center for the Study of Violent Extremism – ICSVE *

19 Lister, C (2017). Al-Qaeda versus ISIS: Competing Jihadist Brands in the Middle East; Middle East Institute; გვ. 10-16.

20 ^ იქვე

21 ^ იქვე 11

**ბ.** **რელიგიური** - როგორც ზემოთ აღინიშნა, დაეშის მიერ გავრცელებული ნარატივის მეორე შინაარსობრივი საფუძველს, ჯიჰადის დოქტრინა წარმოადგენს. ჯიჰადი თავისი არსით ისლამისთვის ბრძოლას გულისხმობს. თუმცა საინტერესოა, რომ დაეშმა თავისი ნარატივი შეცვალა და კონცეფცია **„ჯიჰადი-ისლამისთვის“** გადაკ-ეთდა კონცეფციად **„ჯიჰადი-ისლამური ხალიფატისთვის“.** მსგავსი ტრანსფორმაცია იკვეთება ICSVE მიერ წარსულში სირიის და ერაყის ტერიტორიაზე დაეშში გაწევრიანების მიზნით გამგზავრებულ პატიმრებთან ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში. (იხ. დანართი 1)

**გ.** **სოციალური** - შეიძლება ითქვას აღნიშნული ნარატივი ყველაზე აქტიურად გამოიყენება, რეკრუტირების პროცესში. ამ კატეგორიის ნარატივს ყველაზე მეტი მოქნილობა ახასიათებს და მარტივად იცვლება სამიზნე აუდიტორიის მიხედვით. თუმცა, **ფუნდამენტური პრინციპი ნარატივის მარგინალიზირებულ მუსლიმზე მორგებაა.** როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში ქალბატონი აცხადებს, დაეშის რეკრუტერმა მას „ოცნებმა მიყიდა.“ (იხ. დანართი 2). **სოციალური სახის ნარატივი ყველაზე ეფექტურად ძირითადად ინტერპერსონალური კომუნიკაციის დროს ვრცელდება** და ისლამრუი სახელმწიფოს ფრთის ქვეშ სამიზნე აუდიტორიის წევრებს უკეთეს ცხოვრებას ჰპირდება.

***3.3.1.1.2 აღ კაიდა.*** არანაკლებ მნიშვნელოვანია ვისაუბროთ ისეთი ტერორისტული ორგანი-ზაციების მიერ გავრცელებული ნარატივის შესახებ, როგორიც არის ალ კაიდა. თავისი ნარატივის სირთულის და კომპლექსური ხასიათის გამო ალ კაიდა ნამდვილად გამორჩეულ ტერორისტულ ორგანიზაციას წარმოადგენდა საწყის ეტაპებზე. მიუხედავად შესუსტებული პოზიციებისა, ავღანეთში ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა შეიძლება საფუძვლიანი ეჭვი გააჩინოს აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციის გაძლიერების და მის მიერ ექსტრემისტული ნარატივის გავრცელების შესახებ საქართველოში.

ალ კაიდას ნარატივის კვლევებს შორის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო კონტრტერორიზმის საერთაშორისო ცენტრის[22] მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტია, სადაც საუბარია ალ კაიდას მიერ გავრცელებულ ერთიან ნარატივზე.[23] ალ კაიდას ამჟამინდელი ნარატივი მრავალ-ფეროვნების თვალსაზრისით დაეშის ნარატივთან შედარებისას შესაძლებელია უფრო პრიმიტიულად მოგვეჩვენოს. ამ ორგანიზაციის მიერ გავრცელებული ნარატივი მეტად ჰგავს იმ ნარატივს რომელსაც დაეში ავრცელებს სოციალური ნარატივის კატეგორიის ფარგლებში, რაც გულისხმობს მარგინალიზირებული პირებისთვის ე.წ **„ოცნების მიყიდვას“**. ალ კაიდას მიერ მსგავსი სახის ნარატივის გავრცელება 3 ეტაპისგან შედგება:

**01** **მარგინალიზაციის მიზეზის დადგენა** - ხშირად ისევე როგორც დაეში, ალ კაიდაც საქმეს იმარტივებს და საერთო ნარატივით გამოდის, რომელსაც ყველა მუსლიმს ერთიანად არგებს, რაც გულისხმობს ე.წ გარე ჯგუფის მიერ შიდა ჯგუფის მარგინალიზაციას მითს. ამ შემთხვევაში ალ რკაიდა ავრცელებს ნარატივს, რომ მუსლიმებს ცუდად ექცევიან ისეთი აქტორები, როგორებიც არიან დასავლეთი, ქრისტიანული სამყარო და ა.შ.

[22] * International Centre for Counter-Terrorism – ICCT *

[23] Schmid, P.A (2014). *“Single Narrative” and Attempts to Develop Counter-Narratives: The State of Knowledge;* International Centre for Counter-Terrorism (ICCT); p. 12.

**02** **პრობლემის გადაჭრის გზის შეთავაზება** - მარგინალიზაციისთვის ხაზგასმის შემდეგ ალ კაიდა ხაზს უსვამს შესაძლო გადაწყვეტილების არსებობას. როგორც წესი, აღნიშნულიც შეიძლება უნივერსალურ სახეს იღებდეს და დაეშის მსგავსად სთავაზობდეს მუსლიმებს ხალიფატის შექმნას, სადაც ყველა მუსლიმი მშვიდობიანად თანაცხოვრობს. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ რიგი შემთხვევები როდესაც ინტერპერსონალური კომუნიკაციის შედეგად ხდება **ინდივიდუალური შეთავაზების გაკეთება**, როგორც ამას დაეშიც ხშირად აკეთებს. მაგალითად დაქვრივებული ქალისთვის მდიდრული ცხოვრების სტილის და სტატუსის შეთავაზება ტერორისტული ორგანიზაციის მიერ კონტროლირებად ტერი-ტორიებზე. (იხ. დანართი 1)

**03** **პრობლემის გადაჭრის გზის განხორციელების შეთავაზება** - ნარატივის ეს ეტაპი მეტწილად მოქმედებისკენ მოწოდებას მოიცავს. ალ კაიდას მიერ გავრცელებული როგორც ინდივიდზე მორგებული, ასევე მასობრივი ნარატივის ეს ეტაპი მუსლიმებისთვის ჯიჰადის შეთავაზებას გულისხმობს. **საინტერესოა, რომ თავად ჯიჰადის კონცეფციის უნივერსალურობა კიდევ უფრო მეტ მოტივაციას აძლევს ადამიანს. ტერორისტულმა ორგანიზაციებმა ეტაპობრივად მოახდინეს ჯიჰადის კონცეფციის გაფართოება, რაც გულისხმობს იმას, რომ დღეისთვის ჯიჰადი ნებისმიერი სახით ჩართულობას ითვალისწინებს. ჯიჰადის მსგავსი, უნივერსალური კონცეფცია შთაგონებას აძლევს იმ ადამიანებსაც, რომლებიც ფიქრობენ, რომ არსებული გარემოებების ფონზე, შეუძლებელია დადებითი წვლილი შეიტანონ საზოგადოების ცხოვრებაში.** ამიტომაც ის ერთნაირად ეფექტურად ერგება, როგორც ქალებს, რომლებიც უმეტესწილად რეკრუტირებული არიან ისლამური ხალიფატის ბოკვერების მოსავლელად და რეპროდუქციული მიზნებისთვის, ისე-უცხოელ ტერორისტ მებრძოლებს.

***3.3.1.1.3 ტალიბანი.*** მიუხედავად იმისა, რომ ტალიბანის უშუალო სამიზნე საქართველო არასდროს ყოფილა, ავღანეთში განვითარებული მოვლენების შემდეგ[24] მნიშვნელოვანია გავითვალის-წინოთ ამ ორგანიზაციის ფაქტორიც. აგვისტოში ავღანეთში განვითარებულმა მოვლენებმა შეიძლება ტერორიზმის ვექტორი მთლიანად შეცვალოს, რაც გულისხმობს ისეთი რეგიონების შედარებითი დეაქტუალიზაციას, როგორიც არის ჩრდილოეთ და ცენტრალური აფრიკა და ავღანეთის კვლავ ჩამოყალიბებას ე.წ „ტეროორიზმის ინკუბატორად", რასაც შესაძლებელია მოჰყვეს ადამიანების მასიური რეკრუტირება ავღანეთის ტერიტორიებზე.[25] საქართველოს გეოგრაფიული, ისტორიული და სოციალური პარამეტრებიდან გამომდინარე, გავრცელებული ნარატივი მეტწილად შეიძლება მასაც შეეხოს. თავისი ნარატივის თვალსაზრისით და შინაარსობრივი ასპექტების გათვალისწინებით ტალიბანის მიერ გავრცელებული ნარატივი ალ-კაიდას ნარატივის მსგავსია.

***3.3.1.1.4 ტერორისტული ორგანიზაციების მიერ გავრცელებული ჯიჰადისტური ნარატივის ძირითადი მიზნები.*** სამი ტერორისტული ორგანიზაციის მიერ გავრცელებული ნარატივის გაანალიზების შემდეგ, მნიშვნელოვანია ვახსენოთ ის მიზნები, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციების მიერ საქართველოში გავრცელებულ ჯიჰადისტურ ექსტრემისტულ ნარატივს. დაეშის, ალ კაიდას და ტალიბანის მიერ საქართველოში გავრცელებული ნარატივი, მისი შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება ემსახურებოდეს ოთხ ძირითად მიზანს:

---

[24] **შენიშვნა [4] :** იგულისხმება ტალიბანის მიერ ქაბულის დაკავება და ახალი მთავრობის ფორმირება

[25] ფარსადანიშვილი, ბ. (2021). *ავღანეთში განვითარებული მოვლენების გავლენა საქართველოზე. საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი.*

**01** **მხარდაჭერის მოპოვება** - უპირველეს ყოვლისა, ტერორისტული ორგანიზაციის ნარატივის დღის წესრიგში მხარდაჭერის მოპოვება დგას. **სწორედ ჯიჰადის კონცეფციიდან გამომდინარე და ტერორისტული ორგანიზაციების მასშტაბების მიხედვით მხარდაჭერა საკმაოდ მოქნილ კონცეფციად იქცევა და არ იზღუდება მხოლოდ ფიზიკური მხარდაჭერით.** მიუხედავად ამისა, საქართველოში გავრცელებული ნარატივები, მეტწილად მაინც ფიზიკურ მხარდაჭერაზეა ორიენტირებული რაც გულისხმობს სამიზნე აუდიტორიიდან ტერორისტი მებრძოლების სახით აქტიური საბრძოლო მოქმედებების ზონაში წასვლას და ტერორისტული ორგანიზაციის სამხედრო მხარდაჭერას ან ტერორისტული აქტის საკუთარი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩადენას. თუმცა ისეთი ორგანიზაციები, როგორც დაეში, ალ კაიდა და ტალიბანია, ხშირად ფინანსური რესურსების მოძიებას სწორედ ნარატივის დახმარებით ცდილობენ. გარდა ამისა, საქართველოში გავრცელებული ნარატივი შეიძლება მომართული იყოს ადგილობრივ თემთა ლიდერების მხარდაჭერის მოსაპოვებლად, რაც დაეხმარება მათ ნაკლები რესურსების და შუამავლის დახმარებით მოახდინოს ადგილობრივი მარგინალიზირებული თემების ინდოქტრინაცია.

**02** **შიდა ჯგუფის შექმნა ან გაძლიერება** - საკუთარი ნარატივის მასშტაბების მიხედვით ტერორისტული ორგანიზაცია ცდილობს ჩამოაყალიბოს ან გააძლიეროს ე.წ შიდა ჯგუფი, რომელიც გარე ჯგუფს დაუპირისპირდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცდილობს გაერთიანოს მისი სამიზნე აუდიტორია საერთო სახელის ქვეშ. დაეშის და ალ კაიდას შემთხვევაში ეს არის სუნიტური მუსლიმების გაერთიანების მცდელობა.

**03** **მოწინააღმდეგის დემოტივაცია** - ხვიჩა გობაძის მიერ გავრცელებულ შეტყობინებებში საკმაოდ საინტერესო ასპექტს გაესვა ხაზი. ტერორისტული ორგანიზაციის მიერ გავრცელებული ნარატივს ხშირად გასდევს დაშინების მცდელობა, რაც ყურადსაღებია შემდეგი მიზნების გამო:

**ა.** მსგავსი სახით ტერორისტული ორგანიზაციის მოწინააღმდეგეების დაშინება, მიზნად ისახავს მისი მოწინააღმდეგების დემოტივაციას.

**ბ.** დემოტივაციასთან ერთად, მსგავსი შეტყობინებების მეშვეობით ტერორისტული ორგანიზაციები ცდილობენ, მათი სამიზნე აუდიტორიისთვის შექმნან წარმოდგენა, რომ ისინი წარმოადგენენ ერთადერთ რეალურ საშუალებას მათი დაცვის თვალსაზრისით.

**04** **წარმატებისთვის ხაზგასმა** - ტერორისტული ორგანიზაციის მიერ გავრცელებული ნარატივის ზემოთ დასახელებული 3 მიზანი არ იქნებოდა ეფექტური, რომ არა „მიღწეული წარმატებისათვის“ ხაზგასმა. ტერორისტული ორგანიზაციები ხშირად ავრცელებენ დამუშავებულ ვიზუალურ მასალებს, რომელიც არარსებულ რეალობას ასახავს ტერორისტული ორგანიზაციის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე არსებული ცხოვრების წესის შესახებ. აღნიშნულის მიზანია, დაარწმუნოს პირები, რომ ტერორისტული ორგანიზაციის შიგნით ცხოვრება უმჯობესია ჩვეულებრივი ცხოვრების წესზე. საინტერესოა, რომ ამისათვის დაეში ხშირად სოციალურ კამპანიებსაც კი ატარებს, რომელთა ციფრული ფორმატით გავრცელების რისკი საქართველოშიც არსებობს. (იხ. დანართი 3).

***3.3.1.2 ტეროორისტულ ორგანიზაციებთან აფილირებული აგენტები.*** ტერორისტულ ორგანიზაციებთან აფილირებული სუბიექტები, როგორც წესი იმ ნარატივის გავრცელებას ახდენენ, რომელსაც ტერორისტული ორგანიზაცია ქმნის. აქედან გამომდინარე მათ შეიძლება ე.წ **მაცნე-აგენტები** ვუწოდოთ. მსგავსი აგენტები თავად არსებით გავლენას არ ახდენენ გავრცელებულ ნარატივზე. მათი მთავარი მოვალეობა ტერორისტული ორგანიზაციის მიერ გავრცელებული ნარატივის სამიზნე აუდიტორიამდე მიტანაა. მსგავს სუბიექტებს საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება წარმოადგენდნენ ტერორისტული ორგანიზაციების სამიზნე აუდიტორიის ცალკეული წევრები.

**მაცნე-აგენტები** შეიძლება ეფექტურად იყვენენ გამოყენებული, ე.წ ადგილობრივი **მძინარე ბლოკების** (Sleeping Cell) შესაქმნელად. **ზემოთ ხსენებულმა ისლამისტურმა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება სცადონ გამოიყენონ ადამიანები, რომლებსაც აქვთ სოციალური გავლენა და სტატუსი მათ სოციალურ წრეში. ხოლო გამომდინარე იქიდან, რომ ტერორისტული ორგანიზაციები სუნიტ მუსლიმურ თემში მარგინალიზირებულ პირებს ეძებენ, ტერორისტულმა ორგანიზაციებმა ნარატივის გავრცელებისთვის შეიძლება სცადონ მიმართვა ისეთი საზოგადოებრივ ლიდერებისთვის, როგორებიც სასულიერო პირები ან სხვა თემის ლიდერები არიან.** ასეთი პირები შეგვიძლია ე.წ მაცნეებად მივიჩნიოთ, რომელთა მთავარ ფუნქციასაც წარმოადგენს შეტყობინების მიტანა ისეთ სამიზნე აუდიტორიამდე, რომელზეც ტერორისტულ ორგანიზაციას ხელი არ მიუწვდება, რადგან ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე მას არ აქვს მყარი პოზიციები.

## 3.3.2 ჯიჰადისტური ნარატივის პოტენციური უნებლიე გამავრცელებლები

ნარატივის გავრცელების დროს ხშირად სუბიექტები ვერ აცნობიერებენ რომ შეიძლება ტერორისტული ორგანიზაციის ნარატივის უნებლიე გამავრცელებლებს წარმოადგენდნენ. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ჯიჰადისტური ნარატივის პოტენციურ უნებლიე გამავრცელებლებს შორის მნიშვნელოვანია დასახელდეს შემდეგი მოწყვლადი ერთეულები:[26]

**01** **მედია საშუალებები** - ტერორისტული ორგანიზაციების მიერ ჩადენილი ტერორისტული თავდასხმების ან მათთან დაკავშირებული ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწვდა დიქოტომური შინაარსის მქონე აქტივობას წარმოადგენს. აღნიშნული ქმედება მიზანმიმართულად ემსახურება ტერორისტული ორგანიზაციის მართლსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ მოქალაქეების ცნობიერების ამაღლებას, თუმცა ამასთანავე უნებლიედ ახდენს ტერორისტული ორგანიზაციის ნარატივის გავრცელებას.

[26] Badaway, E, L., Comerford, M., & Welby, P. (2015). Inside the Jihadi Mind: Understanding Ideology and Propaganda. **Tony Blair Institute for Global Change**. Available at: **https://institute.global/sites/default/files/inline-files/IGC_Inside%20Jihadi%20Mind_18.08.17.pdf**

02 **აკადემიურ სივრცეში მომუშავე პერსონალი** - თემატურ სასწავლო დაწესებულებებში და კვლევით საქმიანობაში ჩართული პირები, ისევე როგორც მედია საშუალებები, საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლებასთან ერთად ხშირად დეტალურად აღწერენ აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციების მიერ გავრცელებული ნარატივის სპეციფიკას. ამიტომაც, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია შერჩეული იქნას სწორი საკომუნიკაციო გეგმა, მსგავს თემებზე საუბრისას.

03 **რიგითი სამოქალაქო პირები** - რიგითი მოქალაქეების მიერ შეიძლება ჯიჰადისტური ნარატივის გავრცელება უნებლიედ მოხდეს. ამ დროს რიგითი მოქალაქე შეიძლება ვერ აცნობიერებდეს ტერორისტული ორგანიზაციის მიერ თუნდაც ხუმრობის ფორმატით გავრცელებული ნარატივის ქვეტექსტს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში ტერორისტული ორგანიზაციები ნარატივის მსგავსი სახით მიწოდებას მიზანმიმართულად ახორციელებენ, რადგან ის კარგად მოქმედებს ე.წ უნებლიე გამავრცელებლებზე შემდეგი ფაქტორების გამო:

ა. **გავრცელებული ნარატივის არასერიოზულობა** - ტერორისტული ორგანიზაციის ჯიჰადისტური ნარატივის არატრადიციული ფორმით გავრცელება ხშირად მის არასერიოზულობაზე მიუთითებს. ახალგაზრდებში საკუთარი ნარატივის გასავრცელებლად, ისეთი ტერორისტული ორგანიზაციები, როგორებიც არიან დაეში და ალ კაიდა იყენებენ ე.წ „მიმებს“, კომიქსებს და სხვა იუმორის შემცველ ვიზუალურ მასალას.[27]

ბ. **დაუსჯელობის სინდრომის გაძლიერება** - ზემოთ ხსენებული ფორმატით მიწვდილი ნარატივის არასერიოზული ბუნებიდან გამომდინარე, ხშირად უნებლიე გამავრცელებლებში ავტომატურად ვითარდება დაუსჯელობის შეგრზნება, რადგან სახელმწიფოს არასკმარისი კანონიერი ბერკეტი აქვს მსგავსი ფორმატის მქონე ნარატივის გავრცელების შეჩერებისთვის.

## 3.4 ჯიჰადისტური ნარატივის გავრცელებისთვის გამოყენებული პლატფორმები საქართველოში

საქართველოში გავრცელებულ ჯიჰადისტურ ნარატივზე საუბრისას, მნიშვნელოვანია ვახსენოთ ის პლატფორმები, რომლებსაც ზემოთ ხსენებული აგენტები იყენებენ მსგავსი იდეოლოგიური შეხედულებების გასავრცელებლად. წინამდებარე დოკუმენტი ჯიჰადისტური ნარატივის გავრცელებისთვის გამოყენებულ პლატფორმებს ორ ჯგუფად ჰყოფს: **ინტერნეტ-სივრცე** და **ფიზიკური გარემო.**

[27] Ghamari, M. at War Studies University (2017). Pro-Daesh Jihadist Propaganda. A Study of Social Media and Video Games. Security & Defence Quarterly 1 (4). p. 73.

**საგულისხმოა, რომ სხვადასხვა პლატფორმებზე გავრცელებული ნარატივი განსხვავდება მისი შინაარსის, ფუნქციის და საბოლოო მიზნის მიხედვით.**

## 3.4.1 ინტერნეტ-სივრცე

ტექნოლოგიურმა პროგრესმა მრავალ სიკეთესთან ერთად ხელი შეუწყო ტერორისტულ ორგანიზაციებს საკუთარი ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის უკეთ კოორდინირებაში. დღეს ტერორისტული ორგანიზაციებთან აფილირებული პირების ინტერნეტ-ანგარიშები ხშირად საკმაოდ დიდი აქტიურობით გამოირჩევა.

ასეთმა განვითარებამ საშუალება მისცა ტერორისტულ ორგანიზაციებს იდეოლოგიურად უფრო დიდ აუდიტორიაზე ჰქონოდათ წვდომა და ნარატივის გავრცელება გლობალურ პროცესად გადაიქცა. ამრიგად, მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ ის ინტერნეტ- პლატფორმები, რომლის მეშვეობითაც საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ წვდომა ჯიჰადისტურ ნარატივებზე.

აუდიტორიის მიხედვით ინტერნეტ-პლატფორმები შესაძლებელია ორ კატეგორიად დავყოთ. ფართო აუდიტორიის მქონე პლატფორმები (სოციალური ქსელები, ინტერნეტ-გამოცემები, ჟურნალები, სადისკუსიო ფორუმები, ბლოგები და სხვ) და შიდა საკომუნიკაციო ქსელები.

ფართო აუდიტორიის მქონე ქსელები მსგავსი პლატფორმებისთვის მხოლოდ პირობითი სახელია. ამ კატეგორიაში შესაძლებელია გაერთიანდეს ნებისმიერი სოციალური ქსელი, პლატფორმა, ინტერნეტ-გამოცემა, ვირტუალური ჯგუფი და სხვ., რომელიც არა ინდივიდუალურად ერგება კონკრეტულ პირებს როგორც სამიზნე აუდიტორიას, არამედ ჩამოყალიბებულ ნარატივებს მაქსიმალურად ავრცელებს ძირითადად სამიზნე აუდიტორიაზე, როგორც კრებით **ჯგუფზე. ასეთ პლატფორმებზე ნარატივს უფრო პროპაგანდისტული ფუნქცია აკისრია, ვიდრე რეკრუტირების.**

საქართველოში ჯიჰადისტური ნარატივის გავრცელებისთვის ყველაზე პოპუპარულ პლატფორმებს წარმოადგენენ სოციალური ქსელები, რომლებიც თავის მხრივ შესაძლებელია სამ სუბკატეგორიად დავყოთ: **არაჰომოგენური აუდიტორიის მქონე ქსელები, ჰომოგენური აუდიტორიის მქონე ქსელები და შიდა საკომუნიკაციო ქსელები.**

### *3.4.1.1. არაჰომოგენური აუდიტორიის მქონე სოციალური ქსელები*

საქართველოში გავრცელებული სოციალური ქსელების პლატფორმებიდან ყველაზე პოპულარულ სოციალურ ქსელს Facebook წარმოადგენს.[28] საქართველოში ჯიჰადისტური ექსტრემისტული ნარატივის გამავრცელებელი აგენტები ხშირად ამ პლატფორმას ირჩევენ.

[28] GlobalStats (2021). *Social Media Stats in Georgia.* ინტერნეტი; **https://gs.statcounter.com/social-media-stats/all/georgia;** ბოლო ნახვა: 12 სექტემბერი, 2021 წელი.

Facebook-ის აუდიტორიის სიდიდის გამო, ხშირად ვერ ხდება მყისიერი რეაგირება მსგავსი ნარატივის გავრცელებაზე. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია Facebook-ის აუდიტორიის მრავალფეროვანი (არაჰომოგენური) ხასიათის გათვალისწინებაც. გამომდინარე იქიდან, რომ Facebook-ის აუდიტორია მრავალფეროვანია, იგი კარგ პლატფორმად ითვლება საქართველოში ჯიჰადისტური ექსტრემისტული ნარატივის გავრცელებისთვის, რადგან გავრცელების მაღალი გადაფარვის გამო ჯიჰადისტური ექსტრემისტული ნარატივი თითქმის გარანტირებულად მიაღწევს მის სამიზნე აუდიტორიამდე. გარდა Facebook-ის, ნაკლებად ხშირად ხდება ისეთი პლატფორმების გამოყენება, როგორებიც არის Pinterest, Youtube, VK და სხვ.

ტერორისტული ორგანიზაციები ხშირად იყენებენ Twitter-ს. Twitter-ის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე ეს პლატფორმა მეტწილად გამოიყენება ოფიციალური განცხადებების გასაკეთებლად და ნაკლებად არის გათვლილი ფართო მასების დაინტერესებაზე. ისეთი პლატფორმა როგორიც არის Twitter, მისი სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე წარმოადგენს დაეშის ე.წ „ქოლგას“, რადგან Facebook-ის და სხვა ქსელებისგან განსხვავებით საშუალებას იძლევა სწრაფად მოხდე კონტროლის მოპოვება წარსულში დაბლოკილი ანგარიშის აუდიტორიაზე. ამ კუთხით ტერორისტული ორგანიზაციაები ხშირად ქმნიან არაერთ დამატებით ანგარიშს, რომელიც ხშირად ანაცვლებს მთავარ ანგარიშს.

### *3.4.1.2 ჰომოგენური აუდიტორიის მქონე ქსელები*

მსგავს პლატფორმებში სხვადასხვა ტიპის ქსელები ერთიანდება. განსხვავებით ფართო აუდიტორიის მქონე ქსელებისგან, აღნიშნულ პლატფორმებზე არ ხდება ქსელის შიდა ქსელების ორგანიზება და არ იხარჯება მასზე რესურსი. მსგავსი სახის პლატფორმების კატეგორიაში შეგვიძლია გავაერთიანოთ ყველა ის ქსელი, რომელსაც თემატური აუდიტორია ჰყავს - ბლოგები, პირდაპირი სატრანსლაციო პლატფორმები, სათამაშო პლატფორმები, გამოცემები და სხვ. მაგალითისთვის, ახალგაზრდების ჯიჰადის კონცეფციით დაინტერესების მიზნით, ტერორისტული ორგანიზაციები ხშირად ავრცელებენ საკუთარ ჯიჰადისტურ ექსტრემისტულ ნარატივს ქართული აუდიტორიისთვის ცნობილ ისეთ სათამაშო პლატფორმებზე, როგორებიც არის Twitch, Discord, Steam და სხვ.

**არაჰომოგენური და ჰომოგენური აუდიტორიის მქონე ქსელების მთავარ ფუნქციას არა ჯიჰადისტური ნარატივის დახმარებით ადამიანების რეკრუტირება, არამედ მათი დაინტერესება, იდეოლოგიური ინდოქტრინაცია და მათი რეკრუტირებისთვის მომზადება წარმოადგენს.**

### *3.4.1.3 შიდასაკომუნიკაციო, დაშიფრული ქსელები*

ტერორისტული ორგანიზაციები განსაკუთრებით აქტიურად იყენებენ ე.წ დაშიფრულ ქსელებს, რომლის კონტენტზე წვდომაც მხოლოდ იმ პირებსაც აქვთ რომლებიც აწარმოებენ კომუნიკაციას. ასეთი ქსელების კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი ქსელები, როგორიც არის Telegram, Whatsapp, Signal, Mail.ru და სხვ.

**აღნიშნულ ქსელებში მოსახვედრად პირები გარკვეულწილად უნდა გამოხატავდნენ ინტერესს და მათ მიმართ არსებობდეს ნდობის ხარისხი. სოციალური ქსელებიდან მსგავს პლატფორმებზე მოხვედრა გულისხმობს პირის ერთგვარ "დაწინაურებას" და მისდამი ნდობის გამოცხადებას ჯიჰადისტური ექსტრემისტული ნარატივის გამავრცელებელი აგენტის მიერ.**

თუმცა, აუცილებელია ითქვას, რომ მსგავს პლატფორმებზე გავრცელებული ჯიჰადისტური ექსტრემისტული ნარატივი მეტწილად იცვლება. **შინაარსობრივად აღნიშნულ ნარატივს უფრო კონკრეტული, ოპერაციული სახე ეძლევა.** გარდა ლიტერატურის გაცვლისა, ასეთ ქსელებში ხდება გარკვეული ქმედებების დაგეგმვა, ამიტომაც მათ უფრო ოპერაციული ფუნქცია ენიჭებათ. ასეთი ქსელები საქართველოში შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც ტერორისტული თავდასხმის დაგეგმვის ასევე პირების დისტანციური რეკრუტირებისათვის.

## 3.4.2 ფიზიკური გარემო

ინტერპერსონალური ანუ პირისპირ, ფიზიკური კომუნიკაცია ჯიჰადისტური ექსტრემისტული ნარატივის გავრცელების უფრო ძველი და ამ დროისათვის შეუცვლელი გავრცელების პლატფორმას წარმოადგენს. ჯიჰადისტური ექსტრემისტული ნარატივის გამავრცელებელი აგენტები ხშირად იყენებენ მსგავსი სახის კომუნიკაციას სამი გარემოების გამო:

**01** სამიზნეს ინდოქტრინაციისთვის წარმოადგენს პირი, რომელსაც განსაკუთრებული ღირებულება შეიძლება ჰქონდეს ჯიჰადის თვალსაზრისით: შეეძლოს დიდი ფინანსური დახმარების გაწევა ან იყოს კარგი მებრძოლი და შესაბამისად იგი ინდივიდუალურ მიდგომას და მეტ ყურადღებას საჭიროებდეს.

**02** მეორეს მხრივ მსგავსი ინტერპერსონალური კომუნიკაცია უფრო სანდო პლატფორმას წარმოადგენს, რადგან როგორც წესი მსგავსი კომუნიკაციები სამიზნე აუდიტორიის ფიზიკური გარემოს შიგნით ხდება და ნაკლებად შეღწევადია სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

**03** გარდა ამისა, მსგავსი კომუნიკაციის გამოყენება საშუალებას აძლევს ჯიჰადისტური ექსტრემისტული იდეოლოგიის მქონე ერთეულებს ისეთ რეგიონებში გაავრცელოს თავისი იდეოლოგია, სადაც სამიზნე აუდიტორიას ინტერნეტზე სხვა რეგიონებთან
შედარებით ნაკლები წვდომა აქვს. საქართველოს შიგნით ასეთ ტერიტორიებს შეიძლება წარმოადგენდეს პანკისის ხეობის სოფლები.

ინტერეპერსონალური კომუნიკაციის თვალსაზრისით, არსებობს ორი აგენტი - ტერორისტული ორგანიზაცია და ადგილზე გამავრცელებელი აგენტი - ამ უკანასკნელს შეგვიძლია **ადგილობრივი მაცნე** ვუწოდოთ. როგორც წესი, ასეთ დროს ტერორისტული ორგანიზაცია უკავშირდება ადგილობრივ პირს და ავალებს ჯიჰადისტური ნარატივის გავრცელებას. ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული პირი შეიძლება იყოს ადგილობრივი თემის ლიდერი, პატივცემული პირი ან ადამიანი, რომელსაც წვდომა აქვს ადგილობრივ აუდიტორიაზე. მეორეს მხრივ **ადგილობრივი აგეტნს შეიძლება წარმოადგენდეს უბრალო ახალგაზრდა, რომელიც თავის სამეგობრო წრეში ავრცელებს ჯიჰადისტურ ნარატივს.**

## 3.5 ჯიჰადისტური ნარატივის გავრცელების ფორმები საქართველოში

ნარატივის ფორმატი მეტწილად დამოკიდებულია იმ პლატფორმებზე რომლის საშუალებითაც ვრცელდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიუხედავად იმისა რომ ისეთ სოციალურ ქსელებში როგორიც არის Youtube შეიძლება როგორც ვიდეოს, ისე ფოტო-სურათის გავრცელება, მეტწილად მაინც ვიდეოები ვრცელდება, რადგან ამ კონკრეტულ პლატფორმაზე არის რიგი ტენდენციები პრეფერენცირებული ფორმატის კუთხით.

ამგვარად, საგულისხმოა ვისაუბროთ იმის შესახებ თუ რა ფორმით შეიძლება გავრცელდეს საქართველოში ჯიჰადისტური ექსტრემისტული ნარატივი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თითოეულ გავრცელებულ ფორმატს აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

ხშირ შემთხვევაში ისეთი ტერორისტული ორგანიზაციები, როგორიც არის დაეში, რომელსაც კონტროლი აქვს დამყარებული გარკვეულ ტერიტორიაზე, შეიძლება იყენებდეს ისეთ მასალასაც კი როგორიც არის გარე-ბილბორდების სახით საჯარო სივრცეში განთავსებული სოციალური რეკლამები (იხ. დანართი 3). **მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ბილბორდები საქართველოში ფიზიკურად ვერ გავრცელდება** სოციალურ თემატიკაზე გაკეთებული ბილბორდების შესახებ ციფრული ვიდეო/აუდიო მასალა შეიძლება მაინც იქნას გავრცელებული საქართველოში. ორგანიზაციის მიერ ნარატივის ფორმატის თვალსაზრისით, შეგვიძლია ორ საინტერესო ტენდენციაზე ვისაბუროთ:

ჯიჰადისტური ნარატივის გამავრცელებელი აგენტების მიერ ხდება **Youtube**-ის აქტიური გამოყენება ვიდეოების და აუდიო-ჩანაწერების განთავსების მიზნით. ხოლო პოსტების და განცხადებების გამოქვეყნების კუთხით ისეთი ანონიმური ბლოგების გამოყენება როგორიც შეიძლება იყოს **blogger, just paste it**. ხშირ შემთხვევაში ისეთი პლატფორმები როგორიც არის **Pinterest, dailymotion, Sendvid, mnbr** გამოიყენება ფოტოსურათების გასავრცელებლად.

საინტერესოა, რომ საქართველოში ჯიჰადისტური ექსტრემისტული ნარატივის გავრცელების მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნას ისეთი რუსულენოვანი საფოსტო პლატფორმები, როგორიც არის mail.ru, სადაც ნარატივის გავრცელება ხდება როგორც ე.წ „სპამის“ ასევე პერსონალური შეტყობინებების ფორმით.

## 3.6 ჯიჰადისტური ნარატივის სამიზნე აუდიტორია საქართველოში

ჯიჰადისტურ ნარატივს საკმაოდ კონცენტრირებული სახე აქვს, რაც იმას გულისხმობს, რომ მას მკაფიოდ აქვს განსაზღვრული არამხოლოდ მისი სამიზნე აუდიტორია არამედ სამიზნე აუდიტორიის შერჩევის კონკრეტული მეთოდიკა გარკვეულ ტერიტორიაზე.

აღნიშნული გამოწვეულია იმ ფაქტითაც, რომ ჯიჰადისტური ნარატივი მეტწილად კონკრეტული ტერორისტული ორგანიზაციების ან მათთან აფილირებული პირების მიერ ვრცელდება.

სანამ უშუალოდ საქართველოს შემთხვევაზე გადავიდოდეთ და გამოვავლენდეთ პოტენციურ სამიზნე აუდიტორიას ჯიჰადისტური ნარატივისთვის, მნიშვნელოვანია აღვწეროთ ის ზოგადი ნაბიჯები, რაც ნარატივის გამავრცელებელი აგენტის მიერ სამიზნე აუდიტორიის შერჩევის პროცესში გადაიდგმება.

## 3.6.1 სამიზნე აუდიტორიის შერჩევის პროცესი

ჯიჰადისტური ნარატივისთვის აუდიტორიის შერჩევა საკმაოდ კომპლექსურ პროცესს წარმოადგენს, რომელიც ხშირ შემთხვევაში გამარტივებულად შემდეგი 3 ეტაპისგან შედგება:

01 **სამიზნე აუდიტორიის ლოკაციის განსაზღვრა** - გამომდინარე იქიდან, რომ ჯიჰადისტური ნარატივები მეტწილად ისეთ თემებში ვრცელდება, რომელიც გარკვეული ქვეყნების ტერიტორიას ეკუთვნის, მნიშვნელოვანია იმ თემის საცხოვრებელი გარემოს შესწავლა, რომელშიც გავრცელდება ნარატივი. აღნიშნული გულისხმობს ამ ლოკაციაზე გავრცელებული კანონმდებლობის, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის და სხვა პარამეტრების დადგენას.

02 **სამიზნე აუდიტორიის შესწავლა** - იმისთვის, რომ ნარატივი სწორად გავრცელდეს, მნიშვნელოვანია ტერორისტულმა ორგანიზაციამ შეისწავლოს მისი სამიზნე აუდიტორიის კონკრეტული პარამეტრები. ეს პარამეტრები შეიძლება იყოს, თემის სეკულარიზაციის ხარისხი, თემის წევრების ინტერნეტზე წვდომის საშუალება, დემოგრაფიული ვითარება ასაკის მიხედვით და რა თქმა უნდა, მოწყვლადი ჯგუფების გამოვლენა.

03 **თემში გავრცელებული ჩივილის მიზეზების შესწავლა** - თემის სპეციფიკის შესწავლის შემდეგ აქტიურად ხდება ამ თემის ისტორიის, მათი უკმაყოფილების მიზეზის განსაზღვრა, რათა შემდეგ ჯიჰადისტური ნარატივიც სწორად მოერგოს ჩივილის მიზეზს. აღნიშნული შეიძლება იყოს მუსლიმთა მიმართ უსამართლო მოპყრობა ან მოპყრობის ამგვარი აღქმა.

რა თქმა უნდა, ხსენებული არ წარმოადგნს სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრის და ნარატივის შემუშავების პროცესის განვითარების ერთადერთ ვარიანტს, რადგან ნარატივი შეიძლება დაფუძნებული იყოს მთლიანად ჯიჰადის კონცეფციაზეც. თუმცა, როგორც წესი ამგვარი ეტაპობრივი მიდგომა უფრო ეფექტურია სამიზნე აუდიტორიის რადიკალიზაციის თვალსაზ-რისით.

## 3.6.2 ჯიჰადისტური ნარატივის კონცენტრაციის ლოკაციები საქართველოში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯიჰადისტური ნარატივის გავრცელების თვალსაზრისით საქართველოში 3 ძირითადი სამიზნე აუდიტორია არსებობს, რომელიც ეთნიკური და რელიგიური ნიშნით გამოირჩევა და რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. აღნიშნულ ჯგუფებს წარმოადგენენ: პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტები, ეთნიკური აზერბაიჯანელები და აჭარელი მუსლიმები.

სამიზნე აუდიტორიის დასახელების შემდეგ მნიშვნელოვანია დავასახელოთ ის ლოკაციები და ის სპეციფიკური ნარატივი რომელიც აღნიშნულ ჯგუფებს შორის შეიძლება გავრცელდეს.

### *3.6.2.1 ქისტები პანკისის ხეობაში*

დღეისათვის ქისტები ძირითადად პანკისის ხეობაში არსებულ სოფლებში ცხოვრობენ. ისინი მეტწილად ახმეტის მუნიციპალიტეტში, მდინარე ალაზანის გასწვრივ არსებულ შემდეგ სოფლებში სახლობენ - დუისი, ჯოყოლო, ბირკიანი, ომალო, დუმასტური, ზემო ხალაწანი, შუა ხალაწანი, ქვემო ხალაწანი, წინუბანი, ძიბახევი. ქისტებით არის დასახლებული ქორეთი და ყვარელწყალიც.

შესაბამისად, ქისტებში ჯიჰადისტური ექსტრემისტული ნარატივის გავრცელების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ზემოთ ხსენებულ ლოკაციებზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქისტებში ნარატივი მეტწილად რეგიონული და გლობალური ნარატივები ვრცელდება. საგულისხმოა, ნარატივის გავრცელებაში ჩეჩნეთის ომების როლიც.[29]

### *3.6.2.2 საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელები*

საქართველოში აზრბაიჯანელი მაცხოვრებლის ყელაზე მაღალი მაჩვენებლით ქვემო ქართლი ხასიათდება (41.75%). მუნიციპალიტეტების მიხედვით ყველაზე მეტი აზერბაიჯანელი ცხოვრობს მარნეულში (83,77%). ქალაქებიდან აზერბაიჯანული თემის დასახლების კუთხით მნიშვნელოვანია ვახსენოთ დმანისი (65.46%), ბოლნისი (63.38%), გარდაბანი (43.53%), წალკა (6.98%) და თეთრიწყარო (7.33%).[30]

29 იხ. გვ. 19

30 ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) (n,d.). რა უნდა ვიცოდეთ თანამოქალაქე ეთნიკური აზერბაიჯანელების შესახებ. ინტერნეტი; **https://tdi.ge/ge/page/ra-unda-vicodet-tanamokalake-etniku-ri-azerbaijanelebis-shesaxeb;** ბოლო ნახვა: 12 სექტემბერი, 2021 წელი.

აზერბაიჯანელებს შორის გავრცელებული ნარატივი არ არის იმდენად სახიფათო, როგორიც შეიძლება ქისტებს შორის გავრცელებული ნარატივი აღმოჩნდეს, თუმცა მაინც ყურადღებას იმსახურებს. აზერბაიჯანელებში გავრცელებული ნარატივი ძირითადად ორგვარი შინაარსით ხასიათდება: ეს არის ურწმუნოების გავლენის გავრცელება, რასაც ისინი წინ უნდა აღუდგნენ და ნარატივი, რომ აზერბაიჯანი იმართება ალიევების ურწმუნო კლანის მიერ.

**მიუხედავად იმისა, რომ ჯიჰადისტური ნარატივის გავრცელების თვალსაზრისით ხსენებულ ლოკაციებს ნაკლები აქტუალობა აქვთ, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ის სავარაუდო თემები, რომელზეც შეიძლება მოხდეს ეთნიკურად აზერბაიჯანელებისთვის განკუთვნილი ჯიჰადისტური ნარატივის აგება:**

**01** **აზრებაიჯანული თემის 90-იანი წლების გამოცდილება საქართველოში** - ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების პერიოდი ნაწილობრივ ხასიათდებოდა ეთნიკური ნიშნის მატარებელი კონფლიქტებით.[31] 90-იან წლებში ბევრ აზერბაიჯანულ ოჯახს მოუწია ზეწოლის გამო აზერბაიჯანში დაბრუნება და დაკარგა თავისი ქონება. აღნიშნული ფაქტები შეიძლება გამოყენებული იყოს რიგი ერთეულების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები აზერბაიჯანელებისთვის განკუთვნილი ჯიჰადისტური ნარატივის შექმნის და გავრცელების პროცესში.

**02** **პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის დაბალი ხარისხი** - მიუხედავად ბოლო პერიოდში განხორციელებული სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებისა, აზერბაიჯანულ თემში ქართული ენის უცოდინრობა ხშირად ადგილობრივი მოსახლეობის სახელისუფლებო ორგანოებთან ურთიერთობის დაბალ ხარისხში აისახება. აღნიშნული ფაქტორი აძლიერებს **პოლიტიკურ გარიყულობას,** რაზეც შეიძლება აქცენტი იქნას გაკეთებული ჯიჰადისტური ნარატივის შემქმნელი და გამავრცელებელი აგენტების მიერ.

### *3.6.2.3 აჭარაში მცხოვრები მუსლიმები*

როგორც ზემოთ აღინიშნა, აჭარლებში გავრცელებული ჯიჰადისტური ექსტრემისტული ნარატივი განსხვავდება ეთნიკური აზერბაიჯანელებსა და ქისტებში გავრცელებული ნარატივისაგან, რადგანაც მათთვის ისტორიულ სამშობლოს საქართველო წარმოადგენს და ნარატივი მეტწილად საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე რეფლექსიაა.

აჭარლებს შორის გავრცელებული ნარატივის შესაძლებელია შემდეგი სახით შევაჯამოთ: ამ ნარატივის მიხედვით, საქართველოს ხელისუფლება და საპატრიარქო ცდილობენ აჭარელი მუსლიმები გააქრისტიანონ, ცდილობენ ადგილობრივი მუსლიმი აჭარლები გადაასახლონ და აჭარის ტერიტორიაზე მუსლიმი აჭარლები ჩაანაცვლონ ქრისტიანული საზოგადოებით. ამრიგად, მუსლიმების ვალია ებრძოლონ ამ პროცესებს და შესაბამის ინსტიტუტებს.

[31] მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი (2002). *ეთნიკურ-კონფესიური ჯგუფები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში.* გვ. 17

## 3.7 ჯიჰადისტური ნარატივის გავრცელების ხელშემშლელი ფაქტორები

ჯიჰადისტური ნარატივის გავრცელების წარუმატებლობა მრავალ სხვადასხვა ფაქტორთან არის დაკავშირებული. საქართველოში ჯიჰადისტური ექსტრემისტული ნარატივის მიმართ მედეგობის გამომუშავების წარმატებული გზები შესაძლებელია იყოს:

01 **ინფრასტრუქტურული და ინსტიტუციური განვითარება** - ინფრასტრუქტურული და ინსტიტუციური განვითარება ხელს უწყობს სახელმწიფოს ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართულელბით წარმატებული პრევენციული ნაბიჯების გადადგმაში. საქართველოში ჯიჰადისტური ექსტრემისტული ნარატივების გავრცელების პოტენციურ ხელის შემშლელ ფაქტორად შესაძლებელია ადგილობრივი, მუნიციპალური მასშტაბის ინფრასტრუქტურული და ინსტიტუციური განვითარება დავასახელოთ.

02 **სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ჩართულობის გაუმჯობესება** - საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების 90-იანი წლების გამოცდილება უმცირესობათა სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ჩართულობის მნიშვნელობაზე მიუთითებს. ამასთანავე, ზემოთ მოყვანილი მაგალითები მუსლიმ აჭარლებს შორის გავრცელებულ ჯიჰადისტური ნარატივი ცდილობს მუსლიმ აჭარლებში შექმნას წარმოდგენა მათი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური გარიყულობის შესახებ.

03 **მოწყვლადი ჯგუფების მედეგობის გაძლიერება** - საქართველოში მცხოვრები ჯიჰადისტური ნარატივის სამიზნე აუდიტორიის მოწყვლადობის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია მათი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ჩართულობის გაზრდასთან ერთად, მოხდეს აღნიშნულ ჯგუფებთან აქტიური მუშაობა ინფორმირებულობის დონის ამაღლების მიზნით.

04 **ადგილობრივი კონკურენტული იდენტობის არსებობა** - ზემოთ ხსენებული აგენტების მიერ ნარატივის გავრცელების ხელისშემშლელ კიდევ ერთ ფაქტორად შესაძლებელია ადგილზე არსებულ სხვა იდენტობასთან[32] კონკურირება დავასახელოთ, რომელიც პოტენციურად შეაფერხებს ჯიჰადისტური ნარატივის გავრცელებას.

[32] **შენიშვნა[5]** : იგულისხმება შიიტი მუსლიმი

# 4. საქართველოში გავრცელებული ულტრამემარჯვენე ნარატივის შესახებ

2021 წლის 5 ივლისს განვითარებულმა მოვლენებმა ნათელი გახადა, რომ ულტრამემარჯვენე ნარატივი არამხოლოდ აქტუალური, არამედ საფრთის შემცველიც შეიძლება იყოს ქართული საზოგადოებისთვის.

ულტრამემარჯვენე ნარატივის კვლევის საჭიროება რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული.

აღსანიშნია ულტრამემარჯვენე იდეოლოგიების გლობალური პოპულარიზაციის ტენდენცია, რამაც თავის მხრივ მის საქართველოში აქტუალიზაციაზეც იქონია გავლენა. თუმცა, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ულტრამემარჯვენე ძალადობრივი იდეოლოგიები ქართული საზოგადოებისთვის უცხო არ არის და საქართველოში ათწლეულების განმავლობაში არსებობს.

**მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ საქართველოში გავრცელებულ ულტრამემარჯვენე ნარატივს ყოველთვის ძალადობრივი ხასიათი არ აქვს. შესაბამისად, წინამდებარე კვლევის ფარგლებში ძალადობისკენ ღიად მოწოდებასთან ერთად შესწავლილი იქნა ულტრამემარჯვენე ნარატივის არაძალადობრივი ნარატივები, რადგან აღნიშნული ნარატივშიც მკაფიოდ ფიქსირდებოდა საზოგადოების შიდა და გარე ჯგუფებად დაყოფა და ამ უკანასკნელის ანტაგონიზაცია.**

## 4.1 ულტრამემარჯვენე ნარატივის სამუშაო განმარტების შემუშავება

ჯიჰადისტური ნარატივისგან განსხვავებით, ულტრამემარჯვენე ნარატივის შესახებ არსებული ლიტერატურა შედარებით მეტ განმარტებას გვთავაზობს.[33] ულტრამემარჯვენე ნარატივის განმარტებების სიმრავლეს იდეოლოგიის შიგნით არსებული მაკროიდენტობების ფართო სპექტრი განაპირობებს. ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელი და გამავრცელებელი აგენტები სხვადასხვა მიმართულებების ირგვლივ არიან კონცენტრირებული, რაც ხელს უშლის ულტრამემარჯვენე ნარატივის შესახებ განზოგადებული განმარტების ჩამოყალიბებას. ქართულ კონტექსტზე მორგებული ულტრამემარჯვენე ნარატივის სამუშაო განმარტების შემუშავების მიზნით, წინამდებარე კვლევის ფარგლებში დეტალურად იქნა შესწავლილი ნარატივის გამავრცელებელი აგენტების სპეციფიკური მახასიათებლები და მათ მიერ გავრცელებული ნარატივის შინაარსობრივი ტენდენციები.

[33] Ravik, A. & Segers, B. I (2020). What is Right-Wing Extremism. Center for Research on Extremism (C-Rex). **https://www.sv.uio.no/c-rex/english/groups/compendium/what-is-right-wing-extremism.html**

საერთაშორისო  პრაქტიკაში აღნიშნული მეთოდის გამოყენებამ განსაზღვრა  ულტრამე-მარჯვენე ნარატივის ისეთი განმარტებები, როგორიც არის მისი როგორც ანტიდემოკრატიული, ლიბერალური დღის წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ იდეოლოგიის დახასიათება.[34] ამასთანავე, ტერმინი „ულტრამემარჯვენე ნარატივის“ გაგონებისას საზოგადოებაში ასოციაციები ულტრანაციონალისტური, ნეონაცისტური, რასისტული თუ ჰომოფობიურ ჯგუფების შესახებ ჩნდება.[35] მსგავსი სახით შემუშავებული განმარტების პრობლემას წარმოადგენს განზოგადების მცდელობისას მათი ვალიდურობის ნაკლებობა.

პრობლემას წარმოადგენს განზოგადების მცდელობისას მათი ვალიდურობის ნაკლებობა.

საქართველოში მოქმედი ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელი და გამავრცელებელი აგენტების მაკროიდენტობის ფართო სპექტრიდან გამომდინარე, ულტრამემარჯვენე ნარატივის სამუშაო კონცეფციის შემუშავების მიზნით, აღნიშნული აგენტების მახასიათებლების შესწავლასთან ერთად, დადგენილი იქნა მათ მიერ გავრცელებული ნარატივის საერთო შინაარსობრივი და ენობრივი მახასიათებლები. შედეგად, წინამდებარე დოკუმენტი ულტრამემარჯვენე ნარატივის შემდეგ განმარტებას ეყრდნობა:

> **ულტრამემარჯვენე ნარატივი წარმოადგენს მემარჯვენე იდეოლოგიების რადიკალურ ინტერპრეტაციაზე დაფუძნებული შეტყობინებების სიმრავლეს, რომელიც აპელირებს ერთი ჯგუფის მეორეზე უპირატესობაზე, ახდენს ამ უკანასკნელის სტიგმატიზაციას და მოუწოდებს ამ ინტერპრეტაციით განსაზღვრულ პრივილეგირებულ ჯგუფს სხვადასხვა მეთოდით მოახდინოს არაპრივილეგირებული ჯგუფის დისკრედიტაცია** (იხ. შენიშვნა 3, გვ 14).

აღსანიშნია, რომ ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის გავრცელების პროცესში პრივი-ლეგირებული და არაპრივილეგირებული ჯგუფების კონცეფციას ხაზს უსვამენ რიგი ავტორებიც.[36]

## 4.2 საქართველოში გავრცელებული ულტრამემარჯვენე ძალადობრივი ნარატივის შინაარსობრივი და ენობრივი მახასიათებლები

საქართველოში გავრცელებული ულტრამემარჯვენე ნარატივს შინაარსობრივი და ენობრივი თვალსაზრისით საკმაოდ კომპლექსური მახასიათებლები აქვს.

კვლევის ანგარიშის წინამდებარე თავი დეტალურად ახასიათებს საქართველოში გავრცელე-ბული ულტრამემარჯვენე ნარატივის შინაარსობრივ მახასიათებლებს, თემატურ მიმარ-თულებებს, ხაზს უსვამს ამ მიმართულებების სხვადასხვა იდეოლოგიურ საფუძვლებს, აღწერს ენობრივ მექანიზმებს, მათ ფუნქციებს და მიზნებს.

[34] Carter, E. (2018). Right-wing extremism / radicalism: reconstructing the concept. Journal of Political Ideologies, 23(2), 157-182; Mudde, C. (2007). Populist radical right parties in Europe. Cambridge, UK: Cambridge University

[35] Mudde, C. (1995). Right-wing extremism analyzed: A comparative analysis of the ideologies of three alleged right-wing extremist parties (NPD, NDP, CP'86). European Journal of Political Research, 27(2), 203-224.

[36] Berger, J.M (2017). Extremist Construction of Identity: How Escalating Demands for Legitimacy Shape and Define In-Group and Out-Group Dynamics. International Center for Counter-Terrorism.

## 4.2.1. ულტრამემარჯვენე ნარატივის შინაარსობრივი მახასიათებლები

ულტრამემარჯვენე ნარატივის თემატური მიმართულებების უკეთ გასაგებად, ქვემოთ ხსენებული მიმართულებები პირობითად გაერთიანებულია **საგარეო** და **საშინაო პოლიტიკის**[37] საკითხებთან დაკავშირებულ ნარატივებად.

### *4.2.1.1 საგარეო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებული ულტრამემარჯვენე ნარატივი*

საქართველოს საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტის შესახებ გავრცელებული ულტრამემარჯვენე ნარატივი მაღალი მდგრადობით გამოირჩევა.[38]

საქართველოს საგარეო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებული ულტრამემარჯვენე ნარატივი შინაარსობრივი თვალსაზრისით შეგვიძლია სამ კატეგორიად დავყოთ: **საქართველოს ურთიერთობები რუსეთთან, საერთაშორისო პარტნიორების დისკრედიტაცია და საქართველოს როლი საერთაშორისო ასპარეზზე.**

#### *4.2.1.1.1 საქართველო-რუსეთის ურთიერთობების შესახებ არსებული ულტრამემარჯვენე ნარატივი*

საქართველოს საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებებს შორის რუსეთთან ურთიერთობის საკითხი სტაბილურად მაღალი აქტუალობით გამოირჩევა. (იხ. ფიგურა 2)

**ფიგურა 2.**

*ულტრამემარჯვენე ჯგუფების ქვეყნების ხსენება ინტერნეტ-სივრცეში 2019 წელს. წყარო: DFRLab (2019)*




[37] **შენიშვნა [6]:** პირობითი კატეგორიების დასახელებებში ხსენებული „პოლიტიკა“ აუცილებლად არ გულისხმობს ულტრამემარჯვენე ნარატივის შინაარსობრივი მხარის მხოლოდ პოლიტიკასთან დაკავშირებული თემებით შეზღუდვას.

[38] **შენიშვნა [7]:** იგულისხმება აღნიშნულ კატეგორიაში გაერთიანებული ნარატივის უნარი ხანგრძლივად შეინარჩუნოს აქტუალობა

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ **საგარეო პოლიტიკის სხვა თემატური მიმართულებების შესახებ გავრცელებული ულტრამემარჯვენე ნარატივისაგან განსხვავებით, საქართველო-რუსეთის ურთიერ-თობების შესახებ გავრცელებული ნარატივი არამხოლოდ არაერთგვაროვანი, არამედ სტაბილურად ცვალებადიცაა.**

წინამდებარე ქვეთავი მიმოიხილავს საქართველო-რუსეთის ურთიერთობების შესახებ გავრცელებული ულტრამემარჯვენე ნარატივის სხვადასხვა თემატურ მიმართულებებს.

***4.2.1.1.1.1 2008 წლის აგვისტოს ომი.*** გარდა იმისა, რომ აგვისტოს ომის შესახებ არსებული ულტრამემარჯვენე ნარატივი დროთა განმავლობაში მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის, 2008 წელსვე ულტრამემარჯვენე ნარატივის გამავრცელებელ აგენტებს შორის ფიქსირდებოდა განსხვავებული პოზიციები კონფლიქტის დაწყების საკითხის შესახებ.

მიუხედავად ულტრამემარჯვენე ნარატივის გამავრცელებელ აგენტების პოზიციებს შორის არსებული განსხვავებისა, **აღნიშნული საკითხის შესახებ გავრცელებული ნარატივი შინაარსობრივად ახდენდა საზოგადოების გარე და შიდა ჯგუფებად დაყოფას და ამ უკანასკნელისთვის პრივილეგიის მინიჭებას.**[39]

**მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორიიდან გამომდინარე რუსეთის მიმართ პოზიტიური თუ ნეგატიური დამოკიდებულების არსებობა საზოგადოებაში და მათ შორის ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელ და გამავრცელებელ აგენტებს შორის სავსებით ბუნებრივია.** ქვემოთ წარმოდგენილი ფიგურების მიზანს ულტრამემარჯვენე ნარატივის უმნიშვნელოვანეს მახასიათებელზე - საზოგადოების შიდა და გარე ჯგუფებად დაყოფის ტენდენციაზე ყურადღების გამახვილება წარმოადგენს.

ატლანტიკური საბჭოს DFR ლაბორატორია რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ გავრცელებულ რუსეთის მიმართ დამოკიდებულების გამომხატველ ულტრამემარჯვენე ნარატივს 3 ტიპად ჰყოფს: **პოზიტიური, ნეგატიური და ნეიტრალური.**[40] თუმცა, წინამდებარე კვლევის ფარგლებში მოპოვებული ნეიტრალური დამოკიდებულების გამომხატველი განცხადებები მეტწილად ორიენტირებული იყო საზოგადოების ყურადღების გადატანაზე. ამრიგად, ნეიტრალური პოზიციის გამომხატველი განცხადებები მიჩნეულია რუსეთის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების მქონე კატეგორიაში:

**01** **ნეგატიური დამოკიდებულება რუსეთის მიმართ** - რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რიგმა ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელმა და გამავრცელებელმა აგენტებმა მკაფიოდ ანტირუსული პოზიციების დაფიქსირება დაიწყეს. თუმცა, აქვე მნიშვნელოვანია ვახსენოთ, რომ ანტირუსული დამოკიდებულების გაძლიერებასთან ერთად მსგავსი ნარატივი საზოგადოების ანტირუსულ და პრორუსულ ნაწილებად დაყოფასაც გულისხმობდა, რომლის ფარგლებშიც აგრესიული ფორმით ხაზს უსვამდა ამ უკანასკნელის (პრორუსული ორიენტაციის მქონე ნაწილის) დევიანტურ ხასიათს. (იხ. ფიგურა 2)

[39] **შენიშვნა [8]:** ამ შემთხვევაში შიდა ჯგუფის პოზიციის როგორც ერთადერთი ლეგიტიმური მოსაზრების წარმოჩენას ცდილობდა

[40] გიგიტაშვილი, გ. (2020). ანალიზი: ქართული ულტრამემარჯვენე Facebook გვერდები და მათი დამოკიდებულება რუსეთთან.
**https://medium.com/dfrlab/russias-2019-cyber-attack-against-georgia-followed-by-full-spectrum-propaganda-effort-4460673cb3e9**

## ფიგურა 2.

*ნეგატიური დამოკიდებულების გამომხატველი პოსტები Facebook-ზე. წყარო:* DFRLab (2019).



**01** **პოზიტიური დამოკიდებულება რუსეთის მიმართ** - ნეგატიურთან ერთად, რიგი ულტრამემარჯვენე აგენტები სოციალური ქსელის დახმარებით რუსეთის მიმართ პოზიტიური ნარატივის გავრცელებით გამოირჩეოდნენ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აღნიშნული ნარატივი მეტწილად გულისხმობდა საქართველოს როგორც კონფლიქტის ინიციატორ მხარედ წარმოჩენას (იხ. ფიგურა 3)

## ფიგურა 3.

*2008 წლის ომის დაწყების შესახებ. წყარო:* DFRLab

საგულისხმოა, რომ ულტრამემარჯვენე ნარატივის გამავრცელებელი რიგი აგენტები, ნაკლებად მკაცრი შინაარსის განცხადებებს ავრცელებდნენ და მათი შეტყობინების ძირითად მიზანს იმდროინდელი ხელისუფლების დისკრედიტაცია წარმოადგენდა. (იხ. ფიგურა 4)

**ფიგურა 4.**

*2008 წლის ომის დაწყების შესახებ. წყარო: კარდჰუ*

როგორც ზემოთ აღინიშნა, ულტრამემარჯვენე ნარატივის გამავრცელებელი რიგი აგენტები რუსეთის მიმართ ნეიტრალური პოზიციის გამომხატველ ნარატივს ავრცელებდნენ, რის მიზანსაც რუსეთ-საქართველოს ომის საკითხიდან ქართული აუდიტორიის ყურადღების გადატანა წარმოადგენდა (იხ. ფიგურა 5)

**ფიგურა 5.**

*2008 წლიდან ყუჰადღების გადატანის მცდელობა. წყარო: DFRLab*

***4.2.1.1.1.2 ხუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი.*** საგულისხმოა, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპირების შესახებ ულტრამემარჯვენე აგენტების მიერ გავრცელებული ნარატივი რუსეთის შესახებ არსებულ სხვა ნარატივებს შორის ყველაზე სწრაფად განიცდიდა ტრანსფორმაციას. ნარატივის ტრანსფორმაცია

სწორხაზოვან პროცესს წარმოადგენს (იხ. ფიგურა 6).

## ფიგურა 6.

*ჩუსეთის მიერ ტერიტორიების ოკუპაციის მიმართ ახსებული ხედვის ტრანსფორმაცია.*




როგორც წესი, ულტრამემარჯვენე ნარატივი რუსეთთან პოლიტიკური დიალოგის წარმოების სტრატეგიის ორ მნიშვნელოვან ასპექტს უსვამს ხაზს: **1. ნატოსა და ევროკავშირზე უარის თქმა აფხაზეთის და სამაჩაბლოს სანაცვლოდ; 2. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მიმართ შეღავათების დაწესების პოლიტიკის გადახედვა.** მსგავსი ნარატივი, მეტწილად ულტრამემარჯვენე აგენტების მიერ გავრცელებულ ვიდეო-მიმართვებში ფიქსირდება და როგორც წესი საკმაოდ ეფექტურად მოქმედებს (იხ. ფიგურა 7)

## ფიგურა 7.

*დამოკიდებულებები საქართველოს დეოკუპაციის ულტრამემარჯვენე სტრატეგიაზე. წყარო: ALT-INFO*




***4.2.1.1.1.3 ქართულ-ჩუსული ურთიერთობები ომის შემდგომ.*** საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხებიდან აქტუალურობის თვალსაზრისით შემდეგ საკითხს რუსულ-ქართული ურთიერთობები წარმოადგენს ომის შემდგომ. ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელ და გამავრცელებელ აგენტებს რუსეთთან ურთიერთობის შესახებ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ. რიგი აგენტები ცდილობენ რუსეთთან არაპოლიტიკური ურთიერთობების ნორმალიზაციას მათი პოლიტიკიდან გამიჯვნის თეზისით. ხოლო სხვა აგენტები რუსეთთან ნებისმიერი ფორმის ურთიერთობაში პოლიტიკურ ასპექტს ხედავენ. შესაბამისად ამ აგენტების დამოკიდებულება საკითხისადმი პოზიტიურიდან ნეგატიურამდე და პირიქით იცვლება. ამ თვალსაზრისით ულტრამემარჯვენე აგენტები ნარატივს 4 ძირითადი მიმართულებით აგებენ:

**01** რუსულ-ქართული ურთიერთობების ისტორია - აღნიშნული მიმართულება აქტუალურობას არ კარგავს, თუმცა, ამ საკითხის ფარგლებში წარმოდგენილი თეზისები განსაკუთრებით აქტუალური ყოველწლიურად აგვისტოს ომის და მის წინა პერიოდში ხდება. როგორც ზემოთ აღინიშნა ამ მიმართულების ქვეშ გაერთიანებული თეზისები რადიკალურად განსხვავებულია და მეტწილად ორი პოლუსის ქვეშ ერთიანდება, რომლებიც მოწოდებულია რუსეთი დადებითად ან უარყოფითად წარმოადგინოს (იხ. ფიგურა 8)

**ფიგურა 8.**

*ხუსეთის ოხი ხოღი უღგჰამემაჰჯვენე ნაჰატივში*[41]

**02** **რუსულ-ქართული ეკონომიკური ურთიერთობები** - ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელ და გამავრცელებელ აგენტებს შორის რუსულ-ქართული ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ ნარატივის შექმნის საწყის წერტილად 2006 წლის ენერგოკრიზისი შეიძლება მივიჩნიოთ.[42] საგულისხმოა, რომ 2006 წლის ენერგოკრიზისის შედეგად რუსეთის წინააღმდეგ გაჩენილი ეკონომიკური პროტექციონიზმი რიგ ულტრამემარჯვენეებში ყველა ქვეყნის წინააღმდეგ პროტექციონისტურ დამოკიდებულებად გადაიქცა.

*... გინდა ხუსების მფღობეღობაში ხომ ახის ჰესი და გინდა თუჰქების, 51 პჰოცენტი იყოს სახეღმწიფოს ხეღში, გავზაჰდოთ სახეღმწიფოს კონტჰოღი ენეჰგოჰესუჰსებზე და ეგ იქნება ენეჰგოდამოუკიდებღობა...*[43]

**03** **რუსულ-ქართული რელიგიური ურთიერთობების შესახებ** - რელიგიურიმაკროიდენტობის მქონე ჯგუფები ხშირად აპელირებენ რუსეთის და საქართველოს ერთი რელიგიის ქონის ფაქტზე. საგულისხმოა, რომ ნარატივი, რომელიც ძირითადად თეზისი - "ერთი რელიგია - ერთი გზა" მიხედვით არის აგებული, ხშირ შემთხვევაში აქტუალური ხდება რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ისეთ პროცესებში მედიაციის დროს, როგორიც არის საქართველოს ტერიტორიებიდან უკანონოდ გატაცებული მოქალაქეების გათავისუფლება.

**04** **კულტურული, სპორტული და ინტელექტუალური ურთიერთობები** - მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თემატიკა ნაკლებად პოპულარულია, პრორუსული ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ შემჩნევადია კულტურული, სპორტული და ინტელექტუალური ურთიერთობების შესახებ ნარატივის შექმნა. ხშირად, საზოგადო მოღვაწის ან ცნობადი პირის რუსეთში მოღვაწეობაზე გამოხატულ პროტესტს მოჰყვება ულტრამემარჯვენე ნარატივი, რომელიც ცდილობს დაიცვას აღნიშნული პირები საზოგადოების კიდევ უფრო პოლარიზაციის პარალელურად.

[41] **შენიშვნა[9]:** საგულისხმია, რომ ულტრამემარჯვენე ნარატივის გამავრცელებელ აგენტებს შორის რუსეთის როგორც ოკუპანტის/მტრის აღქმა ბევრად ხშირია.

[42] Radio Free Europe Radio Liberty (2006); Georgia: Gas Cutoff Highlights National Security Flaws. Available at: **https://www.rferl.org/a/1065359.html**

[43] ALT-INFO (2021). *"კანონი დაგვიცავს!"- ღიბეჰაღების უტოპიური შეხედულებები)* [0.34: 0.50]; ხელმისაწვდომია: **https://www.youtube.com/watch?v=RpvLVmHEc-c&ab_channel=ALT-INFO**

რა თქმა უნდა, ქართულ-რუსული ურთიერთობების შესახებ შექმნილი ულტრამემარჯვენე ნარატივი სხვა საკითხებსაც გულისხმობს, თუმცა ზემოთ წარმოდგენილი თემატური მიმართულებები მეტწილად ყველაზე მაღალი აქტუალობით გამოირჩევა.

მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ აღინიშნოს, რომ ულტრამემარჯვენე ჯგუფების და ნარატივის გამავრცელებელი აგენტების დამოკიდებულება რუსეთის მიმართ არაერთგვაროვანია. მიუხედავად იმისა, რომ მეტწილად რუსეთის მიმართ პოზიციები ნეგატიურია, რიგი მიმართულებებით გავრცელებულ ულტრამემარჯვენე ნარატივში შესამჩნევია ნეიტრალური და პოზიტიური დამოკიდებულებები (იხ. ფიგურა 9).

**ფიგურა 9.**

*ულტრამემარჯვენე ჯგუფების დამოკიდებულება რუსეთთან ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტის მიმართ სოციალურ მედიაში.* წყარო: DFRLAB




***4.2.1.1.1.4 რუსეთის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში.*** გარდა ქართულ-რუსული ურთიერთობებისა, ულტრამემარჯვენე ჯგუფებს შორის განსაკუთრებით პოპულარულია რუსეთის საერთაშორისო როლის შესახებ ნარატივის გავრცელება. ამ მხრივ არსებული როგორც ნეგატიური ისე პოზიტიური დამოკიდებულებებიდან საყურადღებოა რუსეთის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამომხატველი ნარატივი. ხსენებული პოზიტიური ნარატივი როგორც წესი, რუსეთის, როგორც დიდი სახელმწიფოს, სახეზე იგება. ხშირად აღნიშნული ნარატივს თან ერთვის სუბნარატივი, რომლის მიხედვითაც რუსეთის ფედერაციის კალიბრის მსგავს სახელმწიფოს ინტერესებში საქართველოს მსგავსი პატარა სახელმწიფო არ შედის (იხ. ფიგურა 10).

**ფიგურა 10.**

*რუსეთის დადებითი როლი საერთაშორისო ურთიერთობებში.*



### 4.2.1.1.2 საქართველოს საერთაშორისო პარტნიორების დისკრედიტაცია

საქართველოში გავრცელებული ულტრამემარჯვენე ნარატივისთვის საგარეო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით მეორე დიდ თემატურ მიმართულებას საქართველოს საერთაშორისო პარტნიორების დისკრედიტაცია წარმოადგენს. ულტრამემარჯვენე ნარატივის გამავრცელებელი აგენტების მიერ საქართველოს საერთაშორისო პარტნიორების დისკრე-დიტაცია რამდენიმე მიმართულებით ხდება.

***4.2.1.1.2.1 დასავლელი პარტნიორების დისკრედიტაცია.*** საქართველოს დასავლელი პარტნიორების დისკრედიტაციის მიზნით გავრცელებული ნარატივის თვისებრივი კონტენტ-ანალიზისას საკმაოდ საინტერესო ტენდენცია დაფიქსირდა.

ზემოთ აღნიშნული მიზნით გავრცელებული ნარატივის სამიზნეს წარმოადგენს არა უშუალოდ რომელიმე კონკრეტული სახელმწიფო, არამედ ე.წ კოლექტიური დასავლეთი, რომელშიც პირველ რიგში ევროკავშირი და ნატო მოიაზრება.

**საგულისხმოა, რომ საქართველოს დასავლელი პარტნიორების დისკრედიტაციის შემცველი ნარატივი კიდევ უფრო გააქტიურდა რუსეთის მიერ უკრაინაში 24 თებერვალს დაწყებული ომის შემდეგ.**

**ევროკავშირის დისკრედიტაციისკენ მიმართული** ულტრამემარჯვენე ნარატივის შემცველი განცხადებების თვისებრივი კონტენტ-ანალიზის დროს ნათელი ხდება, რომ **დისკრედიტაცია მიმართულია არა რომელიმე პლიტიკური ინსტიტუტის ან ცალკეული სახელმწიფოს, არამედ იმ ერთეულის მიმართ, რაც ულტრამემარჯვენე აგენტებს შორის კონცეფტუალურ „ევროპად“ აღიქმება. ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელი და გამავრცელებელი აგენტების მიერ ევროპული ცივილიზაციის და კულტურის კრებითი სახელის დახმარებით („ევროპა“/ “დასავლეთი“) მოხსენიება ხაზს უსვამს ამ აგენტების მიერ არამხოლოდ ევროპული ცივილიზაციის, არამედ ევროკავშირის პოლიტიკური ინსტიტუტების არასათანადო ცოდნას. აღსანიშნია, რომ ევროპის სწორად ამგვარი, ევროპულ კულტურაზე დამყარებული, კონცეფტუალური აღქმა განაპირობებს ევროკავშირის დისკრედიტაციის მიზნით შექმნილი ნარატივის ძირითადად კულტურულ შეუთავსებლობაზე აგებას** (იხ. ფიგრა 11).

**ფიგურა 11.**
*კულტურულ განსხვავებებზე აპელირება Facebook ის საშუალებით.*

მიუხედავად კულტურულ განსხვავებებზე  უმეტესწილად აპელირებისა, რიგი ულტრამემარჯვენე აგენტებისათვის ევროკავშირის ჩართულობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში მიუღებელია.

> *...ბოღო წვეთი იყო დანიელსონის დოკუმენტად ცნობილ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა, როგორც "ქართული ოცნების", ისე გაერთიანებული ოპოზიციის უმრავლესობის მხრიდან. თუ ეს დოკუმენტი ბოღომდე განხორციელდა და ძალაში შევიდა, ჩვენს ქვეყანას მისი ისედაც შეზღუდული, შევიწროებული და მცირე სუვერენიტეტი თითქმის აღარ რჩება იმის გამო, რომ  ჩვენი სახელმწიფო თვითონ ველარ წყვეტს, როგორ იმუშაოს ცესკომ და როგორ დათვალოს ხმები, ველარ წყვეტს ვინ დანიშნოს მოსამართლედ და ვინ არა უცხოელების ჩარევის გარეშე...*[44]

ევროკავშირის დისკრედიტაციის მსგავსად, რომელიც როგორც ვახსენეთ ძირითადად ევროპული კულტურული ცივილიზაციის აღქმაზე გადის, ჩრდილოატლანტიკური სივრცის დისკრედიტაცია მეტწილად ნატოს და ამერიკის შეერთებული შტატების დისკრედიტაციაზე გადის. ულტრამემარჯვენე ჯგუფების ნარატივში ჩრდილოატლანტიკური სტრუქტურების და ამერიკის შეერთებული შტატების დისკრედიტაციაში 3 ძირითადი მექანიზმი შეიმჩნევა:

**01** **ნატოს და ამერიკის შეერთებული შტატების წარუმატებლობისთვის ხაზგასმა.** ხშირად ნატოს და ამერიკის შეერთებული შტატების წარუმატებლობის მაგალითად  რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის და **უკრაინაში მიმდინარე ომის** შემთხვევებს იყენებენ და ჩრდილო-ატლანტიკური სტრუქტურების პასიურობაზე მიუთითებენ ხსენებულ კონფლიქტში.

**02** **ორმაგი სტანდარტის ხაზგასმა.** რიგი ულტრამემარჯვენე ნარატივის გამავრცელებელი აგენტები მიუთითებენ საქართველოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან ან ნატოსთან ურთიერთობაში არსებულ „უსამართლობაზე“. (იხ. ფიგურა 12).

**ფიგურა 12.**
*კუღტუჩუღ განსხვავებებზე აპელირება Facebook ის საშუალებით.*

**03** **პატარა სახელმწიფო დიდ აქტორებს შორის.** ულტრამემარჯვენე აგენტების კიდევ ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს დისკრედიტაციის თვალსაზრისით წარმოადგენს თეზისი იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ნატო საქართველოს მსგავსი პატარა სახელმწიფოს გამო რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ არ იმოქმედებენ.[45] **აღნიშნული მიმართულებით ნარატივის გავრცელების პროცესში ულტრამემარჯვენე  აგენტები დღეს უკვე უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე აპელირებენ და  უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე საქართველოსთან მიმართებაში საუბრობენ.**

[44] Rustavi 2 (2021). ბოლო წვეთი იყო შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელმოწერა - ლევან ვასაძე ქართულ პოლიტიკაში მოსვლის მიზეზს ასახელებს. ხელმისაწვდომია: **https://rustavi2.ge/ka/news/198225**

[45] რუსეთის და ევრაზიის პროგრამა (2021). მითები და მცდარი მოსაზრებები რუსეთის შესახებ არსებულ დებატებში მათი ზემოქმედება დასავლურ პოლიტიკაზე და სავარაუდო გამოსავალი. საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი. ხელმისაწვდომია:
**https://gcsd.org.ge/storage/files/doc/Chatham House - Myths and misconceptions in the debate on Russia - GEO.pdf**

### 4.2.1.1.2.2 სხვა სტრატეგიული პარტნიორების დისკრედიტაცია.

საქართველოს სხვა საერთაშორისო პარტნიორებიდან ულტრამემარჯვენე ნარატივის გამავრცელებელი აგენტების სამიზნის ქვეშ ხშირად ექცევა თურქეთი და აზერბაიჯანი. **საგულისხმოა, რომ თურქეთის და აზერბაიჯანის მიმართ დისკრედიტაცია ხშირად შეიცავს რელიგიურ ელემენტსაც.**

***4.2.1.1.2.2.1 თურქეთი.*** თურქეთის დისკრედიტაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ულტრა-მემარჯვენე ნარატივის ორი მიმართულება:

**01** **თურქეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის „ოკუპაცია“** - საგულისხმოა რომ ულტრა-მემარჯვენე ჯგუფების რიტორიკა თურქეთთან როგორც სტრატეგიულ პარტნი-ორთან მიმართებაში საკმაოდ ცვალებადია. რიგი ულტრამემარჯვენე აგენტები არ აღიარებენ თურქეთის სტრატეგიული პარტნიორის სტატუსს და ავრცელებენ ნარატივის გავრცელებას, რომლის მიხედვითაც თურქეთი კიდევ უფრო დიდი ოკუპანტია, ვიდრე რუსეთი.

*... საქართველოს ტერიტორიის ყველაზე დიდი ნაწილი, 33 პროცენტი, ანექსირებული და მიტაცებულია თურქეთის მიერ. ასე რომ ახლა ამ ტერიტორიებზე ცხოვრობს ნახევარი მილიონი ადამიანი რომელიც თავის თავს აიდენტიფიცირებს როგორც გურჯს, ქართველს...*[46]

**02** მეორეს მხრივ თურქეთის მიმართ დისკრედიტაცია აგებულია ულტრამემარჯვენე ჯგუფების კონსპირაციულ თეორიაზე, რომლის მიხედვითაც, თურქები „იტაცებენ“ საქართველოს. **საგულისხმოა, რომ აღნიშნული ნარატივის შემქმნელი არა უშუალოდ საქართველოში მოქმედი ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელი აგენტები, არამედ რუსეთის ფედერაციაა. შემდეგ აღნიშნული ნარატივის გავრცელებას აქტიურად უწყობენ ხელს როგორც ულტრამემარჯვენე აგენტები, ასევე მათი სამიზნე აუდიტორიის წევრი ე.წ უნებლიე გამავრცელებლები** (იხ. ფიგურა 13)

**ფიგურა 13.**

რუსული ნარატივის იმპორტირება ქართული ულტრამემარჯვენე აგენტების მიერ.
წყარო: MythDetector

[46] მედიის განვითარების ფონდი (MDF) (2019). *ობიექტივი, ყველას გასაგონად, 12 ნოემბერი, თახხან-თურქეთი. ხელმისაწვდომია:*
**https://www.youtube.com/watch?v=klJr2oVtbLw&ab_channel=Mdf%2CMediadevelopmentFoundation**




**საგულისხმოა, რომ ულტრამემარჯვენე აგენტების დახმარებით აღნიშნული ნარატივის პოპულარიზაცია კრემლს ეხმარება საკუთარი იმიჯის გაწმენდაში და არაპირდაპირ მიუთითებს განსხვავებული და მსგავსი რელიგიებით შექმნილ სხვადასხვა გარემოებებზე.**

***4.2.1.1.2.2.2 აზერბაიჯანის დისკრედიტაცია.*** აზერბაიჯანის დისკრედიტაციის მიზნით ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელი და გამავრცელებელი აგენტების განსაკუთრებული გააქტიურება ბოლო პერიოდში დავით გარეჯის ირგვლივ განვითარებულ საკითხს მოჰყვა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ულტრამემარჯვენე ნარატივის რეაქციულ ხასიათზე. ამასთანავე საგულისხმოა, რომ აზერბაიჯანის დისკრედიტაციის მიზნით გავრცელებული ნარატივი მეტწილად რელიგიური არგუმენტაციით გამოირჩეოდა.

### *4.2.1.1.3 საქართველოს ხოღი საერთაშორისო ასპარეზზე*

რიგი ულტრამემარჯვენე ნარატივის გამვარცელებელი აგენტები საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსს ქვეყნის გეოგრაფიულ, სოციალურ, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო მაჩვენებლებზე დაყრდნობით აფასებენ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ვახსენოთ, ორ კონცეფციაზე აგებული ულტრამემარჯვენე ნარატივი საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ, **რომლებიც როგორც უკვე აღინიშნა, ულტრამემარჯვენე აგენტებისთვის კიდევ უფრო აქტუალური გახდა უკრაინაში მიმდინარე ომის პირობებში:**

01 **პატარა სახელმწიფოს კონცეფციაზე აგებული ნარატივი** - რიგი ულტრამემარვჯენე აგენტების მიერ გავრცელებული ნარატივის თანახმად პატარა სახელმწიფოდ შეფასებული საქართველოსთვის ძლიერი მეზობლის (რუსეთის) ინტერესების წინააღმდეგ წასვლა მისთვის დამღუპველია.

02 **საქართველოს პოტენციურ ნეიტრალიტეტზე აპელირება** - საქართველოს სავარაუდო ნეიტრალიტეტზე აპელირება მეტწილად რუსულ ნარატივთან მოდის თანხმობაში. ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელი და გამავრცელებელი აგენტები მეტწილად ტოლობას სვამენ რუსეთსა და ნატო/ევროკავშირს შორის. ნარატივის მეორე ეტაპზე, ულტრამემარჯვენე აგენტები აპელირებენ დიდი სახელმწიფოების მიერ პატარა სახელმწიფოების საკუთარი ინტერესების შესაბამისად ექსპლუატაციაზე.

### 4.2.1.2 საშინაო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოს საშინაო პოლიტიკის შესახებ გავრცელებული ულტრამემარჯვენე ნარატივი მეტწილად რეაქციული სახისაა და წარმოადგენს სხვადასხვა ულტრამემარჯვენე იდენტობის მქონე ერთეულების რეფლექსიას ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებზე. გამომდინარე იქიდან, რომ ულტრამემარჯვენე ნარატივის თემატური მიმართულებები ამ თვალსაზრისით განუსაზღვრელი რაოდენობის შეიძლება იყოს, წინამდებარე პარაგრაფი საშინაო პოლიტიკასთან დაკავშირებულ ულტრამემარჯვენე ნარატივს იმ ფუნდამენტური იდეის მიხედვით ახარისხებს და განიხილავს, რომელიც იკვეთება ამ ნარატივების მატარებელ შეტყობინებებში.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, ულტრამემარჯვენე ნარატივის სისტემური შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა 6 ფუნდამენტური იდეა, რომლის ირგვლივაც ვითარდება სხვადასხვა თემის ულტრამემარჯვენე ნარატივი საქართველოს საშინაო პოლიტიკაზე.

#### 4.2.1.2.1 ეკონომიკური პროტექციონიზმი

საქართველოს საშინაო ეკონომიკური საკითხების შესახებ გავრცელებული ულტრამემარჯვენე ნარატივი მოიაზრებს შიდა ჯგუფისთვის გარკვეული ეკონომიკური პრივილეგიების მინიჭებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეკონომიკური პროტექციონიზმის იდეა ექსკლუზიური არ არის ქართული ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელი და გამავრცელებელი აგენტებისთვის. ამ ფუნდამენტურ კონცეფციაზე აგებული ისეთი სახის ულტრამემარჯვენე ნარატივი როგორიც არის მიგრანტების მიერ ადგილობრივებისთვის სამუშაო ადგილების წართმევა აქტუალურია არამხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპაში და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. ეკონომიკურ პროტექციონიზმზე დაშენებული ნარატივი საქართველოში რამდენიმე ძირითად თემატურ მიმართულებას ავითარებს:

**01** **სკეპტიკური დამოკიდებულება უცხოური ინვესტიციის მიმართ.** როგორც ზემოთ აღინიშნა, ულტრამემარჯვენე აგენტებში სკეპტიკური დამოკიდებულება უცხოური კაპიტალის მიმართ 2006 წლის ენერგოკრიზისის დროს გაჩნდა. თუმცა, სკეპტიკური დამოკიდებულება რუსული ეკონომიკური ჩართულობის მიმართ სწრაფადვე ჩანაცვლდა სკეპტიკური დამოკიდებულებით ყველა სახის საგარეო კაპიტალის მიმართ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით სკეპტიკური დამოკიდებულება სტრატეგიულ ობიექტებში საგარეო კაპიტალის შესვლას მოჰყვება.[47]

მეორეს მხრივ, მსგავსი დამოკიდებულება რიგ ულტრამემარჯვენე აგენტებში აუცილებლად სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების მიმართ არ არის. რიგი ულტრამემარჯვენე აგენტები წლების განმავლობაში აპელირებდნენ მიწის კანონის ცვლილებებზე.

*...ამეჩიკის შეეჩთებუღ შტატებში, ჩომეღსაც შევღაღადებთ და ჩამის გაღმეჩთებუღი გვყავს, სასოფღო მიწების ეჩთ პჩოცენტზე ნაკღები ეკუთნით უცხოეთის მოქაღაქეებს. უყუჩეთ ჩა ციჩკია. იქიდან გვთხოვენ მივიღოთ აქ [საქაჩთვეღოში] კანონი, ჩომეღიც თვითონ აჩ უნდათ თავიანთ ქვეყანაში...*[48]

[47] იხ. [35]

[48] ტელეკომპანია იმედი (2015). ლევან ვასაძე გადაცემა რეაქციაში. ხელმისაწვდომია: **https://bit.ly/3c3RbEe**

საგულისხმოა ულტრამემარჯვენე ნარატივის შედარებით რადიკალური ფორმებიც, რომელიც ქვეყანაში ყველა უცხო ქვეყნის მოქალაქის ყველა სახის ეკონომიკურ საქმიანობას ეწინააღმდეგება. (იხ. ფიგურა 14)




**ფიგურა 14.**
*იმიგრანტების წინააღმდეგ მიმართული ულტრამემარჯვენე ნარატივი.*

მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ, რომ მსგავსი ნარატივის გამავრცელებელი აგენტები ეკონომიკის დაცვას მეტწილად მუსლიმი თემისგან დაცვად მოიაზრებენ. აღნიშნულზე ფიგურა 14-ზე წარმოდგენილი პოსტი, რომელსაც ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე გადაღებული ფოტო ერთვის.

02 **ქართული სამუშაო ძალის პროტექციონიზმი.** ეკონომიკური პროტექციონიზმის იდეით მოტივირებული ულტრამემარჯვენე ნარატივის თემატურ მიმართულებებში ეთნიკურად ქართული სამუშაო ძალის პროტექციონიზმი მორიგ პოპულარულ მიმართულებას წარმოადგენს. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მსგავსი იდეით მოტივირებული შეტყობინებები ექსკლუზიური არ არის საქართველოსთვის და ხშირად გვხვდება სხვა სახელმწიფოებშიც. ქართული სამუშაო ძალის პროტექციონიზმის თემატური მიმართულება ძირითადად ორ პოპულისტური ნიშნის შემცველ შეტყობინებას ავრცელებს:

01 **გაზრდილი იმიგრაციის გამო ქართველები ვერ ახერხებენ დასაქმებას.**

02 **საქართველო ვერ ქმნის ქართველისთვის შესაბამის სამუშაო პირობებს, რის გამოც ამ უკანასკნელს უცხოეთში გამგზავრება უწევს.**

### 4.2.1.2.2 *კულტურული კონსერვატიზმი*

კულტურული კონსერვატიზმის კონცეფცია თავის თავში სახელმწიფოს ან გარკვეული ნიშნით განსხვავებული ჯგუფის კულტურული მემკვიდრეობის დაცვას გულისხმობს.[49] თავისი არსით, კულტურული კონსერვატიზმი პოზიტიურ იდეას წარმოადგენს, თუმცა ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელმა და გამავრცელებელმა აგენტებმა ეფექტურად შეძლეს აღნიშნული კონცეფციის შერწყმა ანტიევროპულ, ანტილიბერალურ, ქსენოფობურ, რასისტულ და სხვა ულტრამემარჯვენე იდეებთან.

[49] Rayner, J (1986). Philosophy into Dogma: The Revival of Cultural Conservatism. British Journal of Political Science. Cambridge University Press: Cambridge

ქართულ კონტექსტში სახეცვლილმა კულტურულმა კონსერვატიზზმა სახე კულტურული იდენტობის დაკარგვის შიშში ჰპოვა, ამიტომაც საკმაოდ ხშირია ულტრამემარჯვენე აგენტების მიერ ისეთი სახის შეტყობინებების გავრცელება, რომლებიც ხაზს უსვამს „ევროპის“ მიერ ქართული კულტურის განადგურების მცდელობას, „ქართველობის დაკარგვის საშიშროებას“ და სხვა მომიჯნავე კონსპირაციულ თეზისებს (იხ. ფიგურა 15)




**ფიგურა 15.**
*სახეცვლილი კულტურული კონსერვატიზმის შემცველი ნარატივი*

### 4.2.1.2.3 ხელიგიური მონოპოლიზმი

რელიგიური მონოპოლიზმის იდეა გულისხმობს გარკვეულ ტერიტორიაზე ერთი პრივილეგირებული რელიგიის არსებობას და სხვა არსებული რელიგიების დისკრედიტაციას.[50] ქართულ კონტექსტში, აღნიშნული იდეის ქვეშ გაერთიანებული ულტრამემარჯვენე ნარატივი აპელირებს საქართველოში ქრისტიანული, მართლმადიდებლური მრწამსის პრივილეგირებულ სტატუსზე და პარალელურად ცდილობს შექმნას მტრის ხატი სხვა ჯგუფებისგან (იხ. ფიგურა 16).

**ფიგურა 16.**
*ხელიგიური მონოპოლიზმის აღმნიშვნელი ნარატივი*

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რელიგიური მონოპოლიზმის იდეის ირგვლივ კონცენტრირებული ნარატივის გააქტიურება მეტწილად რელიგიურ ნიადაგზე მომხდარი კონფლიქტის პირობებში ხდება. სწორედ მსგავსი აქტივობა დაფიქსირდა მიმდინარე წლის იანვარში ბუკნარში მომხდარი კონფლიქტის ირგვლივ (იხ. ფიგურა 17)

[50] **შენიშვნა[10]** : რელიგიური მონოპოლიზმის შედარებით ექსტრემისტულ ფორმას სხვა რელიგიების განადგურების მცდელობა წარმოადგენს

**ფიგურა 17**

*ბუკნარის კონფლიქტი და ჰეღიგიის მტრების კონცეფცია. წყარო: MythDetector* [51]

| | |
|---|---|
| ალტ-ინფო,წამყვანი, 14 იანვარი | "..ისლამისტების და გეი-ქვიარ-ტრანსგენდერების ალიანსი უტევს ქრისტიანებს.." |
| წამყვანი, ალტ-ინფო, 14 იანვარი | „... რეალურად ჩვენ დავინახეთ, რომ ქრისტიანებს სჭირდებათ ამ შემთხვევაში დაცვა, რომლებიც არსად არ ჩანან მთელი ამ პროტესტის განმავლობაში." |

### 4.2.1.2.4 სოციალური პრეზერვაციონიზმი

სოციალური პრეზერვაციონიზმის იდეა სოციალური და დემოგრაფიული სტატუს-კვოს შენარჩუნებაზე ამახვილებს ყურადღებას და მეტწილად საზოგადოებრივ სტრუქტურაში მოსალოდნელი ცვლილებების წინააღმდეგ იბრძვის. ხშირად ხდება სოციალური პრეზერვაციონიზმის ირგვლივ აგებული ნარატივით გადმოცემული იდეების პოზიციონირება როგორც „ბუნებრივის" ან „ნორმატიულის". ამრიგად, აღნიშნული მიმართულებით საქართველოში გავრცელებული ულტრამემარჯვენე ნარატივი სოციუმში „ნორმატიულ" გენდერულ როლებზე, დემოგრაფიულ პროპორციებზე და მომიჯნავე ასპექტებზე მიუთითებს.

სოციალური პრეზერვაციონიზმის იდეის მატარებელი ულტრამემარჯვენე ნარატივი საქართველოში სამ ძირითად თემატურ მიმართულებას ავითარებს.

**01** **„ტრადიციულად" ინტერპრეტირებული სოციალური სტრუქტურის და როლების შენარჩუნება** - აღნიშნული თემატური მიმართულების ფარგლებში გავრცელებული ნარატივი მეტწილად ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ ფავორირებული როლების აგიტაციაზე და გენდერული ნიშნით სოციალური სტატუს-კვოს დარღვევაზე მიუთითებს (იხ. ფიგურა 18)

**ფიგურა 18.**

*ტრადიციული ოჯახის კონცეფცია ულტრამემარჯვენე ნარატივში*




**02** **გენეტიკური სიწმინდის შენარჩუნება** - გენეტიკური სიწმინდის შენარჩუნების იდეით მოტივირებული შეტყობინებების სისტემატური გავრცელება 2014 წლიდან იწყება. ხსენებული შეტყობინებების გავრცელება მეტწილად ქართველი მანდილოსნების ეთნიკურად არაქართველთან ოჯახის შექმნის ფაქტზე აპელირებას და მსგავსი ქმედებით ქართული გენის დაკარგვის აპოკალიფტური სცენარის წარმოდგენას გულისხმობდა (იხ. ფიგურა 19)

[51] MythDetector (2021). 6 გზავნილი ბუკნარის მოვლენების შესახებ, რომელიც მუსლიმების მიმართ სიძულვილს აღვივებს. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3NQD960




**ფიგურა 19.**
*გენეტიკური სიწმინდის კონცეფცია და სამშობლოს ღალატი. წყარო: Presa*

**03** უმცირესობების დისკრედიტაცია - საგულისხმოა, რომ საქართველოში ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელი და გამავრცელებელი აგენტების ძირითად სამიზნე აუდიტორიაში ქვეყანაში არსებული სხვადასხვა უმრავლესობის წარმომადგენელი ჯგუფი მიიჩნევა. ამრიგად, აგენტების ნარატივი მეტწილად მიმართულია ამ ჯგუფების პრივილეგირების და უმცირესობების წარმომადგენელი ჯგუფების დისკრედიტაციისკენ. დისკრედიტაციის საფრთხის ქვეშ როგორც წესი ექცევიან სექსუალური, ეთნიკური, რელიგიური და რასობრივი უმცირესობები.

### *4.2.1.2.5 ინსტიტუციური ხეტხაქციონიზმი*

ინსტიტუციური რეტრაქციონიზმის იდეა გულისხმობს საქართველოში დღეს არსებული მმართველობის ფორმის სხვადასხვა ასპექტის დისკრედიტაციას და წარსულში არსებული სხვა მმართველობის ფორმების სხვადასხვა მიზნით აგიტაციას (იხ. ფიგურა 20).

**ფიგურა 20.**
*ღიბეხაღური დემოკხატიის დისკხედიტაცია უღტხამემახჯვენე აგენტის მიეხ*

ინსტიტუციური რეტრაქციონიზმით მოტივირებული ნარატივის ფარგლებში მეტწილად ხდება დემოკრატიის და დემოკრატიული ინსტიტუტების კრიტიკა, ხოლო რიგ შემთხვევებში, წარსულში არსებული ისეთი მმართველობის ფორმების მხარდაჭერა, როგორიც არის - მონარქია.[52]

[52] გელაშვილი, თ. (2019). *მემარჯვენე ექსტრემიზმის პოლიტიკური შესაძლებლობები საქართველოში.* საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

### 4.2.1.2.6 ინოვაციური ფობიზმი

ინოვაციური ფობიზმის იდეა მეტწილად ახალ ტექნოლოგიურ, სამეცნიერო ან სხვა სფეროში არსებული სიახლის მიმართ მწვავე პროტესტს გულისხმობს. საგულისხმოა, რომ საქართველოში მოქმედი ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელი და გამავრცელებელი აგენტები **სელექციური ინოვაციური ფობიზმით გამოირჩევიან.** სელექციურ ინოვაციურ ფობიზმზე მიუთითებს ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ ახალგაზრდული პლატფორმების გამოყენების დაწყება, თუმცა მეორეს მხრივ რადიკალური პროტესტი სხვა სიახლეების მიმართ. ინოვაციური ფობიზმის იდეის შემცველი ნარატივის აქტიური გავრცელება ულტრამემარჯვენე აგენტებმა საქართველოში მიმდინარე ვაქცინაციის პროცესის საპასუხოდ დაიწყეს. (იხ. ფიგურა 21).

**ფიგურა 21.**

*ინოვაციური ფობიზმი ქართველ უღტრამემარჯვენეებში*




## 4.2.2 საქართველოში გავრცელებული ულტრამემარჯვენე ნარატივის ენობრივი ტენდენციები

ენობრივი მექანიზმების გამოყენება უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ექსტრემისტული ნარატივის ეფექტურად გავრცელებაში. როგორც წესი ნარატივის გამავრცელებელი აგენტების მიერ ენობრივი მექანიზმების გამოყენების მთავარ მიზანს პრივილეგირებული ანუ შიდა ჯგუფის წევრებზე ზემოქმედება წარმოადგენს.

ულტრამემარჯვენე ნარატივის ენობრივი ტენდენციების შესწავლის პროცესში რიგი ლინგვისტიკური მექანიზმების გამოვლენა გახდა შესაძლებელი. კვლევის პროცესში ულტრამემარჯვენე ნარატივის შემცველ შეტყობინებებში გამოყენებული ლინგვისტიკური მექანიზმები შემდეგ მიზნებს ემსახურება:

01 **სოციალური დემარკაცია** - წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი ულტრამემარჯვენე ნარატივის დეფინიცია ყურადღებას ამახვილებს ნარატივის უნარზე შექმნას პრივილეგირებული (შიდა) და არაპრივილეგირებული (გარე) ჯგუფები. რიგი ულტრამემარჯვენე ნარატივის შემცველი განცხადებები ხშირად შეტყობინების ტექსტში მკაფიოდ ავლებს საზღვრებს შიდა და გარე ჯგუფს შორის. აღნიშნული ხშირად ხდება გარკვეული სიტყვების გამოყენებით.

02 **არაპრივილეგირებული ჯგუფის დისკრედიტაცია** - ენობრივი მექანიზმების გამოყენებით არაპრივილეგირებული (გარე) ჯგუფის დისკრედიტაცია ქართულ კონტექსტში ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელი, გამავრცელებელი და სამიზნე აუდიტორიის მიერ მეტწილად შეურაცხმყოფელი ლექსიკის მქონე ენობრივი ტენდენციების გამოყენებას გულისხმობს. (იხ. ფიგურა 22).

**ფიგურა 22.**[53]

*ახალგაზრდა ჯგუფის დისკრედიტაციის მიზნით გამოყენებული მიმართვის ფორმები*




**03** **შიდა ჯგუფის წევრობის პოპულარიზაცია** - საგულისხმობა, რომ გარე ჯგუფის დისკრედიტაციის პარალელურად საქართველოში ულტრამემარჯვენე ნარატივის გამავრცელებელი აგენტები შიდა ჯგუფის წევრობის პოპულარიზაციას ახდენენ. შიდა ჯგუფის წევრობის პოპულარიზაცია, როგორც წესი ჯგუფის მიერ გარკვეულ მაკროიდენტობაზე აპელირებით ხდება. ხშირად ულტრამემარჯვენე ნარატივის გამავრცელებელი აგენტები თავის მიმართვებში იყენებენ ისეთ ფრაზებს როგორიც არის „ნამდვილო ქართველებო“, „მართლმადიდებელო დანო/ძმანო“ და სხვ.

## 4.3 ულტრამემარჯვენე ნარატივის გამავრცელებელი აგენტები საქართველოში

საქართველოში მოქმედი ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელი და გამავრცელებელი აგენტების კლასიფიკაცია სხვადასხვა ფორმით არის შესაძლებელი. კვლევის ანგარიშის წინამდებარე ნაწილი შესაძლო კლასიფიკაციის სიმრავლეს ულტრამემარჯვნე ნარატივის შემქმნელი და გამავრცელებელი აგენტების მაკროიდენტობებში არსებული მრავალ-ფეროვნებით ხსნის.

მეორეს მხრივ მნიშვნელოვანია ვახსენოთ აღნიშნული აგენტების რეაქციული ბუნება და საქართველოში მიმდინარე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები, რომლებიც არა მხოლოდ ნარატივის შემქმნელი და გამავრცელებელი აგენტების მრავალფეროვნებას, არამედ სიმრავლესაც განაპირობებს.

წინამდებარე პარაგრაფის მიზანია არამხოლოდ ახსნას საქართველოში მოქმედი ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელი და გამავრცელებელი აგენტების სიმრავლე, არამედ ასევე დეტალურად წარმოადგინოს ინფორმაცია ულტრამემარჯვენე აგენტების ძირითადი მახასიათებლების შესახებ.

[53] **შენიშვნა**[11] : ფიგურა 22-ზე წარმოდგენილი ლინგვისტური ტენდენციები დისკრედიტაციის მიზნით გამოყენებულ ყველაზე პოპულარულ მიმართვის ფორმებს ასახავს.

## 4.3.1 ულტრამემარჯვენე აგენტების მაკროიდენტობის საკითხი

წინამდებარე დოკუმენტი ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელ და გამავრცელებელ აგენტებთან მიმართებაში რამდენჯერმე იყენებს მაკროიდენტობის ცნებას. თავისი არსით ულტრამემარჯვენე აგენტების მაკროიდენტობა წარმოადგენს იმ შედარებით ვიწრო იდეოლოგიურ და ღირებულებით სისტემას, რომლის ირგვლივაც ხდება მათი თვითი-დენტიფიკაცია და ნარატივის ძირითადი მიმართულებების განვითარება.

საგულისხმოა, რომ ხსენებული მაკროიდენტობა არამხოლოდ ულტრამემარჯვენე ნარატივთან დაკავშირებულ აგენტებს, არამედ მათ სამიზნე აუდიტორიასაც ახასიათებს. ამასთანავე, ულტრამემარჯვენე აგენტებს და მათ სამიზნე აუდიტორიას შორის იგივე ან მსგავსი მაკროიდენტობის არსებობა ნარატივის ეფექტიანად გავრცელების აუცილებელი კრიტერიუმია.

ამასთანავე, ულტრამემარჯვენე აგენტის მიერ გარკვეული მაკროიდენტობის ქონა არ გულისხმობს ამ აგენტის მიერ გავრცელებული ულტრამემარჯვენე ნარატივის სხვა აგენტების მიერ გავრცელებული ნარატივისგან ტოტალურად განსხვავებას. პირიქით, განსხვავებული მაკროიდენტობის მქონე აგენტები ხშირად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რაც რიგ საკითხებში მათი მაკროიდენტობების საერთო ინტერესით არის განპირობებული.

საქართველოში მოქმედი ულტრამემარჯვენე აგენტების მაკროიდენტობებს შორის მნიშვნელოვანია დავასახელოთ შემდეგი.

**01** **ულტრანაციონალისტური მაკროიდენტობა** - ულტრანაციონალიზმის მრავალგვარი განმარტება არსებობს, რაც თავისი არსით თავად ულტრანაციონალიზმის ბუნებიდან გამომდინარეობს. ზოგადად, აღნიშნული ტერმინი განიმარტება როგორც ნაციონალიზმის ექსტრემისტული ფორმა, რომელიც ერთი ხალხის ან სახელმწიფოს ინტერესებს სხვისაზე მაღლა აყენებს.[54]

საქართველოში (და არამხოლოდ) ულტრანაციონალიზმი საფუძვლად უდევს ისეთი ჯგუფების მაკროიდენტობებს, როგორიც არის რასისტული, ნაცისტური, ნეონაცისტური, ფაშისტური და ქსენოფობური. (იხ. ფიგურა 23).

**ფიგურა 23.**[55]

*ულტრანაციონალისტური მაკროიდენტობის ქვეშ გაერთიანებული იდეოლოგიები საქართველოში*




[54] Oxford English Dictionary (n,d). Ultranationalism

[55] **შენიშვნა[12]:** ფიგურა 23-ზე დატანილი მაკროიდენტობების დაქვემდებარება ულტრანაციონალისტური მაკროიდენტობისთვის განპირობებულია საქართველოში ხსენებული მაკროიდენტობის მქონე ჯგუფების ტენდენციით გავრცელებულ ნარატივში მოახდინონ ჯგუფის პოზიციონირება როგორც ულტრანაციონალისტურის. რა თქმა უნდა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ აღნიშნული ჯგუფები არ მოქმედებენ ულტრანაციონალისტური ჯგუფის იდეოლოგიის გარეთ. თუმცა, როგორც წესი ამ დროს მათი აქტივობა მეტწილად დაბალმასშტაბურია.

**02** **რელიგიური მაკროიდენტობა** - ქართულ კონტექსტში რელიგიური მაკროიდენტობა მეტწილად მართლმადიდებლურ ქრისტიანულ მაკროიდენტობას ემთხვევა. რელიგიური მაკროიდენტობის მქონე ულტრამემარჯვენე აგენტები ყველაზე მაღალი აქტივობით ქვეყანაში რელიგიური ელემენტის შემცველი პროცესების მიმდინარეობისას გამოირჩევიან.[56]

მიუხედავად იმისა, რომ ულტრამემარჯვენე აგენტებში ულტრანაციონალისტური მაკროიდენტობა ყველაზე ხშირია, მათი სამიზნე აუდიტორიის უმეტესწილად რელიგიური მაკროიდენტობა განაპირობებს აღნიშნული ჯგუფების მცდელობას რაც შეიძლება ქრისტიანულად წარმოაჩინონ თავი. აღნიშნული მცდელობა აისახება ულტრამემარჯვენე აგენტების მცდელობაში გააღრმავონ ურთიერთობა სასულიერო ინსტიტუტებთან, რის ერთ-ერთ სავარაუდო გამოვლინებასაც წარმოადგენს საპროტესტო აქციებთან სასულიერო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან ერთად გამოჩენა.

**03** **ჰომოფობიური მაკროიდენტობის მქონე აგენტები** - ჰომოფობური მაკროიდენტობა ფუნდამენტურ ადგილს იკავებს სხვა ულტრამემარჯვენე მაკროიდენტობებს შორის. ამასთანავე, **ის ერთგვარ მაკავშირებელ მაკროიდენტობას წარმოადგენს სხვა მაკროიდენტობებისთვის.** ჰომოფობიური მაკროიდენტობის მაკავშირებელ როლზე მიუთითებს ბოლო წლებში LGBTQ საზოგადოების მხარდამჭერი აქციების კონტრაქციებზე გამოსული პროტესტანტების უპირატესი რაოდენობა სხვა ულტრამემარჯვენე საპროტესტო აქტივობებთან შედარებით.

ჰომოფობიური მაკროიდენტობის უნარი გააერთიანოს სხვა ულტრამემარჯვენე მაკროიდენტობები საპროტესტო აქციებზე და შესაბამისად, შექმნას განსაკუთრებით მასშტაბური საპროტესტო აქციები, განპირობებულია შიდა ჯგუფის (ამ შემთხვევაში ჰომოფობიური მაკროიდენტობის მქონე აგენტების) მიერ გარე ჯგუფის (LGBTQ თემის) განსაკუთრებით ეფექტიანი სტიგმატიზაციით, რომლის ძირითად მოტივს გარე ჯგუფის საქართველოში მოქმედი ყველა ულტრამემარჯვენე აგენტის მტრად წარმოჩენა წარმოადგენს (იხ. ფიგურა 24)

**ფიგურა 24.**

ჰომოფობური მაკროიდენტობა
როგორც გამაერთიანებელი ფაქტორი

[56] **შენიშვნა[13] :** აღნიშნული რა თქმა უნდა არ გულისხმობს რელიგიური მაკროიდენტობის მქონე ულტრამემარჯვენე აგენტების პასიურობას სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მაკროიდენტობის მაკავშირებელი როლი მეტწილად ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ პროცესებზეა დამოკიდებული და შესაბამისად, მაკავშირებელ მაკროიდენტობის როლში შესაძლებელია ზემოთ ხსენებული სხვა იდენტობების ხილვაც.[57]

## 4.3.2 ულტრამემარჯვენე აგენტების ოთხი ძირითადი ოპერაციული მახასიათებელი

ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელი და გამავრცელებელი აგენტების სპეციფიკური მახასიათებლების შესწავლისას, მათ მიერ ნარატივის გავრცელების პროცესში გამოიკვეთა ოთხი ძირითადი ოპერაციული მახასიათებელი, აღნიშნული აგენტები სტაბილურად ავლენდნენ.

ქვემოთ აღწერილი აღნიშნული მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანია შემდგომში ულტრამემარჯვენე ნარატივთან გამკლავების თვალსაზრისით.

**01** **რეაქციონიზმი** - ჯიჰადისტური ნარატივის მსგავსად, ულტრამემარჯვენე ნარატივი თავისი არსით რეაქციული ბუნებისაა, რაც გულისხმობს ნარატივის მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესთან დაკავშირებით გააქტიურების ტენდენციას. საგულისხმოა, რომ სწორედ იმ საკითხის მასშტაბურობა რომელზეც ხდება ულტრამემარჯვენე აგენტების რეაგირება, განსაზღვრავს თავად რეაქციის (და შესაბამისად, ნარატივის) მასშტაბურობასაც.

ულტრამემარჯვენე აგენტების მაკროიდენტობის შესახებ საუბრის შემდეგ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მაკროიდენტობის განსაკუთრებული გააქტიურებაც, უმეტესწილად აგენტების რეაქციონიზმთან არის დაკავშირებული. მსგავსი რეაქციონისტული ბუნება ქართულ კონტექსტში განაპირობებს მაკროიდენტობის აქტივობის გარკვეულ ფაზებს და სხვადასხვა მაკროიდენტობებს შორის ზემოთ ხსენებულ გადაკვეთის წერტილებს (იხ. ფიგურა 25)

**ფიგურა 25.** *მაკროიდენტობის აქტუალიზაციის ფაზები და გადაკვეთის წერტილები ქართულ კონტექსტში*




**ულტრანაციონალისტური**, **რელიგიური** და **ჰომოფობური** მაკროიდენტობების ყველაზე მაღალი აქტივობის გადაკვეთის წერტილებს 2017 და 2021 წლის ჰომოფობური აქციები წარმოადგენს.

[57] **შენიშვნა[14] :** მაგალითისთვის, 2017-2018 წლებში ულტრანაციონალისტური იდეით მოტივირებული, იმიგრანტების წინააღმდეგ მიმართული აქციების ფარგლებში ულტრანაციონალისტური მაკროიდენტობა ვერ იქცა ერთგვარ დამაკავშირებელ მაკროიდენტობად მომდევნო წლებში, რადგან ვერ მოხდა გარე ჯგუფის (ამ შემთხვევაში მუსლიმი იმიგრანტების) სხვა მაკროიდენტობების მტრებად ეფექტიანი წარმოჩენა.

**02** **პერიფერიზმი** - ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელი და გამავრცელებელი აგენტების არანაკლებ საინტერესო მახასიათებელს მათი პერიფერიზმი წარმოადგენს, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით მათი რეაქციული ბუნების კომპლემენტარულია. წინამდებარე დოკუმენტში პერიფერიზმად მიჩნეულია ამ ერთეულების თვისება თავი იჩინონ სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხის მიმართ გულწრფელად გაჩენილი პროტესტის კიდეზე და ეტაპობრივად ეცადონ მოიპოვონ გავლენა პროტესტის პროცესზე.

ქართულ კონტექსტში ულტრამემარჯვენე აგენტების პერიფერიზმისაუკეთესოდ მეტწილად ულტრამემარჯვენე ჯგუფების განვითარების ისტორიაზე დაკვირვებისას ვლინდება. **ხშირ შემთხვევაში ულტრამემარჯვენე აგენტების პროტესტის პერიფერიიდან ცენტრიკსენ სწრაფვის საბოლოო დანიშნულების წერტილად პოლიტიკური ინტერესების რეალიზებას გულსიხმობს.** ქართულ კონტექსტში აღნიშნული როგორც წესი ულტრამემარჯვენე მოძრაობიდან პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბებას გულისხმობს (იხ. ცხრილი 1)

## ცხრილი 1.

*ულტრამემარჯვენე ერთეულიდან პოლიტიკურ პარტიამდე*

| ულტრამემარჯვენე ერთეული | ულტრამემარჯვენე ერთეულის შექმნის წელი | ულტრამემარჯვენე პოლიტიკური ერთეული | ულტრამემარჯვენე პოლიტიკური ერთეულის შექმნა |
|---|---|---|---|
| | 2012 წელი | „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ | 2012 წელი |
| ქართული მარში | 2017 წელი | „ქარტული მარში - ეროვნული მოძრაობა“ | 2020 წელი |
| ალტ-ინფო | 2019 წელი | „კონსერვატიული მოძრაობა“ [58] | 2021 წელი |
| | 2013 წელი [59] | „ერთობა, რაობა, იმედი - ერი“. | 2021 წელი |

**03** **სელექციური ადაპტიზმი** - ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელ და გამავრცელებელ აგენტებში სელექციური ადაპტიზმის კონცეფცია მათ მიერ სიახლეებისადმი არა-ერთგვაროვან დამოკიდებულებას გულისხმობს.

[58] **შენიშვნა[15] :** 2021 წლის 7 დეკემბერს საჯარო რეესტრმა კონსერვატიული მოძრაობა პარტიად დაარეგისტრირა.

[59] **შენიშვნა[16]:** წინამდებარე კვლევაში „ერთობა, რაობა, იმეედი - ერის“ ლიდერის ლევან ვასაძის პირველ პოლიტიკურ განაცხადად მისი 2013 წლის მარტში გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილი „ერი და სახელმწიფო“ მიიჩნევა.

ზემოთ ხსენებული ინოვაციური ფობიზმი, რომელიც ულტრამემარჯვენე აგენტების მიერ გავრცელებული რიგი ნარატივის იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სელექციურ ადაპტიზმთან ერთად ქმნის ტენდენციას, რომლის დროსაც აღნიშნული აგენტები რიგ ცვლილებებს მათი ოპერაციულობის გასაზრდელად იყენებე, თუმცა ამასთანავე რადიკალურ ოპოზიციურ პოზიციას აფიქსირებენ სხვა მათთვის არახელსაყრელი სიახლის მიმართ.

სელექციური ადაპტიზმის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენდა რიგი ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ საქართველოში შედარებით ახალი პლატფორმა - Tik Tok-ის გამოყენება 5 ივლისის საპროტესტო აქციაზე ახალგაზრდების მობილიზაციის მიზნით.

> *ყველა საორგანიზაციო შეხვედრა წარმატებით დასრულდა. ჩვენ მზად ვართ... დანარჩენი თქვენზეა, ანუ ხალხზე. ხვალ დილის 10 საათიდან ქაშვეთის ეზოში ვიკრიბებით. პიდარასტების აღღუმი საქართველოში ვერ ჩატარდება...*[60]

**04** **ნორმატიული ნატივიზმი** - ნორმატიული ნატივიზმი ულტრამემარჯვენე აგენტების ის ფუნდამენტური მახასიათებელია, რომელიც მეტწილად აღნიშნული აგენტების სტაბილურად და ხანგრძლივად არსებობას უწყობს ხელს. ქართულ კონტექსტში ნორმატიული ნატივიზმის კონცეფცია გულისხმობს ულტრამემარჯვენე აგენტების მიერ გავრცელებული იდეოლოგიის და თავად აგენტების როგორც ბუნებრივის, ნორმატიულის პოზიციონირებას.

ზემოთ წარმოდგენილ ულტრამემარჯვენე ნარატივის შემცველ განცხადებებში ნორმატიული ნატივიზმის ნიშნები არაერთხელ დაფიქსირდა.

საქართველოში ულტრამემარჯვენე აგენტები ნორმატიულ ნატივიზმზე დაყრდნობისას მათი ნარატივის, იდეოლოგიის და ჯგუფის ბუნებრივობის გასამყარებლად საკუთარ თავს წარადგენენ როგორც წლების განმავლობაში არსებული ნამდვილი ქართული ფენომენის.

## 4.4 ულტრამემარჯვენე ნარატივის გავრცელებისთვის გამოყენებული პლატფორმები

ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელი და გამავრცელებელი აგენტების ზემოთ ხსენებული რიგი მახასიათებლები განაპირობებს აღნიშნული ნარატივისთვის სხვადასხვა ტიპის და დიდი რაოდენობის პლატფორმების გამოყენებას.

[60] **შენიშვნა[17]:** ტრანსკრიპტი ამოღებულია Tik-Tok ანგარიშის ვიდეო მიმართვიდან **https://www.tiktok.com/@zurabmakharadze/video/6981107441438182658?is_copy_url=1&is_from_webapp=v1**

ჯიჰადისტური ნარატივისაგან განსხვავებით ულტრამემარჯვენე ნარატივის გავრცელების პროცესში პლატფორმების მიმართ მიდგომა მეტწილად რაოდენობრივია, ვიდრე ხარისხობრივი. აღნიშნული განპირობებულია ჯიჰადისტური ნარატივის გავრცელების მკაფიოდ განსაზღვრულ მიზნებით და ნარატივის გავრცელების პროცესის უფრო მაღალი ხარისხის ორგანიზებულობით. **ჯიჰადისტური ნარატივის მიზანი, დააინტერესოს სამიზნე აუდიტორია და შემდეგ მოახდინოს მისი წევრების სხვადასხვა მიზნით რეკრუტირება, პლატფორმების მიმართ შედარებით სელექციურ და ეფექტიან მიდგომას განაპირობებს. მეორეს მხრივ, ულტრამემარჯვენე აგენტების მთავარ მიზანს არა ახალი წევრების რეკრუტირება, არამედ ნარატივის რაც შეიძლება მასშტაბური გავრცელება და სამიზნე აუდიტორიის გაზრდა წარმოადგენს.**

გარდა აღნიშნულისა, ულტრამემარჯვენე აგენტების მიერ საქართველოში უფრო მეტი პლატფორმის გამოყენებას განაპირობებს ჯიჰადისტური ნარატივის სამიზნე აუდიტორიასთან შედარებით ულტრამემარჯვენე ნარატივის სამიზნე აუდიტორიის სიდიდე და მისი წევრების უფრო მაღალი წვდომა სხვადასხვა პლატფორმებზე.

წინამდებარე თავი აღწერს ულტრამემარჯვენე აგენტების მიერ ნარატივის გავრცელების მიზნით სხვადასხვა პლატფორმის გამოყენების ტენდენციებს და აღნიშნული პლატფორმების გამოყენების სპეციფიკას.

## 4.4.1 ულტრამემარჯვენე აგენტების მიგრაცია ინტერნეტისკენ

საქართველოში ინტერნეტის მასიური პოპულარიზაცია 2008 წლიდან დაიწყო (იხ. ფიგურა 26).

**ფიგურა 26.**

*ინტერნეტის მოხმარება საქართველოს მოქალაქეების მიერ 1990-2020 წლებში. წყარო:* **DataWorldBank**



ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელი და გამავრცელებელი აგენტების სამიზნე აუდიტორიის მასობრივმა მიგრაციამ ინტერნეტისაკენ თავისთავად გამოიწვია აღნიშნული ულტრამემარჯვენე ერთეულების ახალ პლატფორმებზე გამოჩენა.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ულტრამემარჯვენე აგენტების მიერ ხშირად გამოყენებული პლატფორმებიდან მნიშვნელოვანია ვახსენოთ: სოციალური მედია, მობილური აპლიკაციები, ფორუმები/ბლოგები და სხვა ინტერნეტ-გვერდები.

ულტრამემარჯვენე ნარატივის გავრცელების თვალსაზრისით ინტერნეტ- პლატფორმებს შორის სოციალური მედია უპირობოდ ლიდერობს. წინამდებარე პარაგრაფი განიხილავს ულტრა-მემარჯვენე ნარატივის გავრცელების მაღალი სიხშირით გამორჩეულ სოციალურ მედია-პლატფორმებს (იხ. ფიგურა 27).

## ფიგურა 27.[61]

*სოციალური მედია პლატფორმები მათზე განთავსებული ულტრამემარჯვენე ნარატივის მოცულობის მიხედვით 2021 წელს.*

როგორც ზემოთ აღნიშნული გრაფიკიდან ჩანს, საქართველოში ულტრამემარჯვენე ნარატივის გავრცელების თვალსაზრისით 5 ძირითადი სოციალური მედია პლატფორმა გამოიყენება. ამასთანავე მნიშვნელოვანი აღინიშნოს, რომ ულტრამემარჯვენე ნარატივის გავრცელების თვალსაზრისით, დასახელებულ პლატფორმებს შორის არამხოლოდ წელს, არამედ 2008 წლიდან ყველაზე პოპულარულ პლატფორმას Facebook წარმოადგენს.

**Facebook** პლატფორმის მსგავსი პოპულარობა ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელ და გამავრცელებელ აგენტებს შორის განპირობებულია თავად პლატფორმის მულტიფუნქციური ხასიათით, რაც სხვადასხვა ფორმატის კონტენტის გავრცელების საშუალებას იძლევა. მეორეს მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს Facebook პლატფორმის მარტივი სანავიგაციო სისტემა რაც როგორც მომხმარებლებისთვის ასევე, ნარატივის შემქმნელი და გამავრცელებელი აგენტებისთვის ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს. ამასთანავე, კიდევ ერთ ფაქტორს წარმოადგენს აღნიშნულ პლატფორმაზე საქართველოში ულტრამემარჯვენე ნარატივის სამიზნე აუდიტორიის სტაბილური და ჭარბი წარმომადგენლობა.

[61] **შენიშვნა[18]:** ფიგურა 27-ზე დატანილი მონაცემები მიღებულია კვლევის ფარგლებში და მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს პლატფორმებზე ულტრამემარჯვენე გავრცელების მოცულობას. ამასთანავე, წინამდებარე გრაფიკის შედგენისას მასალის სხვადასხვა ტიპს (ვიდეო, პოსტი, ფოტო, აუდიო ჩანაწერი და სხვ) ექვივალენტურად მიენიჭა წონა 1.

**Instagram,** როგორც Facebook-თან კავშირში არსებული სოციალური მედია პლატფორმა, რომლის ძირითად სამომხმარებლო ბაზარს ახალგაზრდა პირები წარმოადგენენ, საქართველოში ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელი და გამავრცელებელი აგენტებისათვის ახალგაზრდა პირების დაინტერესებისთვის უფრო რელევანტურ პლატფორმას წარმოადგენს. (იხ. ფიგურა 28)

## ფიგურა 28.

*Instagram-ის მომხმარებლების განაწილება ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით (ოქტომბერი, 2021 წელი). წყარო: Statista*




თუმცა, მიუხედავად მსგავსი კონცენტრირებული სამიზნე აუდიტორიის, Instagram-ის პლატფორმა ულტრამემარჯვენე ნარატივის გამავრცელებელ აგენტებს ზღუდავს მასალის განთავსების მრავალფეროვნების თვალსაზრისით. აღნიშნული აგენტების აქტივობა Instagram-ზე ძირითადად აუდიო და ვიზუალური მასალის განთავსებით შემოიფარგლებიან.

**TikTok** პლატფორმაზე ულტრამემარჯვენე ნარატივის შემცველი მასალის განსაკუთრებით ხშირი გავრცელება 2021 წელს ფიქსირდება და დაკავშირებულია 5 ივლისის მოვლენებთან. TikTok პლატფორმა, რომელიც მოკლემეტრაჟიანი ვიდეოების განთავსების საშუალებას აძლევს ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელ და გამავრცელებელ აგენტებს, 2021 წლის პირველ ნახევარში მეტწილად კონცენტრირებული იყო ახალგაზრდების მისაზიდად საპროტესტო აქციებზე.

**Youtube** საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში რიგი ულტრამემარჯვენე ნარატივის გამავრცელებელი აგენტების მიერ სამაუწყებლო საშუალების ერთგვარ ალტერნატივად გამოიყენებოდა. ამგვარად, Youtube-ზე ხანგრძლივი დისკურსების და გადაცემების ფორმატით განთვსებული მასალები მიუხედავად მათი რაოდენობრივი სიმცირისა, მეტ დამაჯერებლობას სძენს ულტრამემარჯვენე ნარატივს. ამასთანავე სატელევიზიო მაუწყებლობისაგან განსხვავებით, ნაკლებად რეგულირებული Youtube უფრო მეტ მოქნილობას აძლევს ულტრამემარჯვენე ნარატივის გავრცელების პროცესს.

მიუხედავად მასზე გავრცელებული მასალის სიმცირისა, Facebook-პლატფორმის რუსულ ანალოგ **Vkontakte-ზე,** შესამჩნევია ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელი და გამავრცელებელი აგენტების მცირე აქტივობა. აღნიშნულ პლატფორმაზე რეგისტრირებულ მომხმარებელთა ქვეყნების მიხედვით განაწილებიდან გამომდინარე, ლოგიკურია ვიმსჯელოთ, რომ ულტრამემარჯვენე აგენტების მიერ აღნიშნული პლატფორმის გამოყენების მთავარ მიზანს უცხოეთში (ძირითადად რუსეთში) მცხოვრებ ქართველებზე ულტრამემარჯვენე ნარატივის გავრცელება წარმოადგენს (იხ. ფიგურა 29)

### ფიგურა 29.

*Vkontakte-ს მომხმარებლები ქვეყნების მიხედვით 2021 წლის ოქტომბერში. წყარო:* **SimilarWeb**

ჯიჰადისტური ნარატივისაგან განსხვავებით **Twitter** ულტრამემარჯვენე აგენტებ შორის ყველაზე ნაკლებად პოპულარულ პლატფორმას წარმოადგენს, რაც მეტწილად განპირობებულია აღნიშნული პლატფორმის მოხმარების შედარებითი სირთულით და მასზე სამიზნე აუდიტორიის ნაკლები რაოდენობით.

ჯიჰადისტური ნარატივის მსგავსად, ინტერპერსონალური კომუნიკაციის ისეთი აპლიკაციები, როგორიც არის ორმხრივად (end-to-end) დაშიფრული პლატფორმები - **Telegram და Whatsapp**, ულტრამემარჯვენე აგენტების მიერ ძირითადად საორგანიზაციო ოპერაციული მიზნებისთვის გამოიყენება.

***4.4.2 უღტრამემარჯვენე აგენტების სწრაფვა სამაუწყებლო უფლებების მოპოვებისკენ*** მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელ და გამავრცელებელი აგენტების სამიზნე აუდიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დღეისათვის ინფორმაციას სამაუწყებლო ტელევიზიის დახმარებით იღებს. ამრიგად, საგულისხმოა გარკვეული ულტრამემარჯვენე აგენტების მცდელობა შექმნან საკუთარი სამაუწყებლო არხი.

წინამდებარე ქვეთავი მოკლედ აღწერს ულტრამემარჯვენე ჯგუფ ალტ-ინფოს და სილქნეტს შორის არსებულ სასამართლო დავას, რომლის შედეგადაც აღნიშნულმა ულტრამემარჯვენე ჯგუფმა სამაუწყებლო უფლება მოიპოვა.

„ალტ-ინფომ“ სატელევიზიო მაუწყებლობის უფლება 2020 წლის 26 ნოემბერს მიიღო. არხის ყურება „მაგთიკომისა“ და „ახალი ქსელების“ დაახლოებით 400 000-მდე აბონენტს და მულტიპლექს პლატფორმის მომხმარებლებს შეეძლოთ. 2021 წლის 8 ივნისს „სილქნეტმა“ უარი

განაცხადა არხის ჩართვაზე და მიზეზად ტექნიკური პრობლემა დაასახელა. ამ განცხადების შემდეგ, 17 ივნისს, „ალტ-ინფომ“ სილქნეტის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. 29 ივლისს არხის დამფუძნებელმა, შოთა მარტინენკომ, მოითხოვა „სილქნეტთან“ დაკავშირებით მათი საჩივრის განხილვის შეწყვეტა.

ალტ-ინფოს საჩივარი მაუწყებლობის უფლების შესახებ საქართველოს სამაუწყებლო კანონის მე-40 მუხლს ეყრდნობოდა, რომლის მიხედვითაც:

> *„საზოგადოებრივ მაუწყებელს, სათემო მაუწყებელს, ამ კანონის შესაბამისად ავტორიზებულსაერთო საეთერო ან/და თანამგზავრულ მაუწყებელს, რომელიც მაუწყებლობს მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირის მომსახურების მიწოდების ზონაში, აგრეთვე ავტორიზებულ საერთო საეთერო მაუწყებელს, რომლის მაუწყებლობა საეთერო მაუწყებლობის განხორციელების შედეგად ხელმისაწვდომია საქართველოს მოსახლეობის არანაკლებ 20%-ისათვის, უფლება აქვთ, მოსთხოვონ მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულ პირს ასეთი მაუწყებლის სატელევიზიო არხის მომხმარებლისათვის შეთავაზებულ ყველა პაკეტში განთავსება ("სავალდებულო ტრანზიტი"). ამ შემთხვევაში მაუწყებელს არ წარმოეშობა მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირისგან მაუწყებლის სიგნალის ტრანზიტისათვის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.“* [62]

სექტემბრის დასაწყისში „ალტ-ინფომ“ კვლავ შეიტანა „სილქნეტის“ წინააღმდეგ საჩივარი. მათ მოითხოვეს სამაუწყებლო არხის ყველა სამომხმარებლო პაკეტში განთავსება, ხოლო უარის თქმის შემთხვევაში სილქნეტის მიმართ სამართლებრივი ზომების მიღება.

„სილქნეტმა“ არხს მორიგება შესთავაზა და 2021 წლის 9 სექტემბერს კომუნიკაციების კომისიის სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ კომუნიკაციების სხდომამ ალტ-ინფოს ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობის უფლება მიანიჭა.

**ალტ-ინფოსა და სილქნეტს შორის აღწერილი სასამართლო დავის პროცესი ნათლად მიუთითებს ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ არასათანადოდ განვითარებული საკანონ-მდებლო ჩარჩოს საკუთარ ინტერესებში გამოყენებაზე.**

## 4.4.3 პოლიტიკური პლატფორმა

ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქნმნელი და გამავრცელებელი აგენტები ხშირად აფიქსირებენ საკუთარ პოლიტიკურ ინტერესს, რაც საბოლოოდ როგორც წესი პოლიტიკური პარტიის შექმნის მცდელობასა და რიგ შემთხვევაში არჩევნებში გარკვეული წარმატებით მონაწილეობაშიც აისახება. (იხ. ცხრილი 1, გვ 47).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დღეისთვის არსებული მწირი მონაცემების საფუძველზე, შედარებით დიდ ულტრამემარჯვენე მოძრაობებს (ჩამოყალიბების მომენტიდან) პოლიტიკურ პროცესებში ფორმალური სახით ჩართვისათვის (იგულისხმება პოლიტიკური პარტიის შექმნა და მისი საარჩევნო კამპანიაში ჩართვა) ორიდან ოთხ წლამდე სჭირდებათ.

ულტრამემარჯვენე აგენტებისათვის წარმატებული პოლიტიკური პლატფორმა ერთის მხრივ ახდენს მათი ნარატივის ეფექტურობის დადასტურობას, ხოლო მეორეს მხრივ -საშუალებას აძლევს ნარატივის ფარგლებში წარმოდგენილი შეხედულებების იმპლემენტაციას.

[62] საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მუხლი 401. ავტორიზებული პირების მიერ მაუწყებლობის ტრანზიტი

### 4.4.4 ფიზიკური სივრცის აქტუალობის საკითხი

მიუხედავად აღნიშნული თავის დასაწყისში წარმოდგენილი ტენდენციისა, რომლის თანახმადაც ხდება ულტრამემარჯვენე აგენტების აქტიური მიგრაცია ინტერნეტისაკენ, საგულისხმოა, რომ ფიზიკური სივრცე დღემდე არ კარგავს აქტუალობას აღნიშნული აგენტებისთვის.

ულტრამემარჯვენე აგენტებისთვის ფიზიკურ სივრცეში არსებულ პლატფორმებს ძირითადად საპროტესტო აქციები და სხვა სახის პოლიტიკური მანიფესტაციები წარმოადგენს. **მსგავსი პლატფორმები საქართველოში მოქმედ ულტრამემარჯვენე აგენტებს საშუალებას აძლევს ერთის მხრივ რეალისტურად შეაფასონ მათი აქტიური მხარდაჭერების რაოდენობა და შესაბამისად ნარატივის ეფექტიანობა, ხოლო მეორეს მხრივ - პერიოდულად მოახდინონ საკუთარი ძალის დემონსტრირება.**

## 4.5 ულტრამემარჯვენე ნარატივის სამიზნე აუდიტორია საქართველოში

ულტრამემარჯვენე აგენტები თავიანთი სიმრავლის და მრავალფეროვნების გამო სამიზნე აუდიტორიის სახით ცდილობენ ზოგადად საქართველოს მოსახლეობა დაფარონ. ყველაზე ხშირ შემთხვევაში ულტრამემარჯვენე აგენტების სამიზნე აუდიტორიას საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთლიკურად ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანები წარმოადგენენ.

ნაცვლად სამიზნე აუდიტორიის პირობითი კატეგორიზაციის, წინამდებარე პარაგრაფში განხილულია სხვა ქვეყნებისთვის არადამახასიათებელი დამოკიდებულება ულტრამემარჯვენე აგენტებს და სამიზნე აუდიტორიას შორის, აღწერილია სამიზნე აუდიტორიის ფორმირების პროცესი და აღწერილია ულტრამემარჯვენე აგენტების პოტენციური ქცევის ცვლილება მომავალში სამიზნე აუდიტორიის მიმართ.

### 4.5.1 სამიზნე აუდიტორიის პარადოქსი

წინამდებარე დოკუმენტი ულტრამემარჯვენე აგენტების მაკროიდენტობაზე საუბრისას ახსენებს სამიზნე აუდიტორიის მაკროიდენტობასაც. ულტრამემარჯვენე ნარატივის ეფექტურობის კვლევისას მაკროიდენტობის საკითხზე ყურადღების გამახვილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან **ნარატივის ეფექტური გავლენა სამიზნე აუდიტორიაზე მეტწილად აგენტის და სამიზნე აუდიტორიის მაკროიდენტობების თანხვედრაზეა** (ხოლო საუკეთესო შემთხვევაში დამთხვევაზე) **დამოკიდებული.**

ულტრამემარჯვენე აგენტებს და სამიზნე აუდიტორიის ურთიერთობის შესახებ წარმოდგენილი ეს ქვეთავი ქვემოთ აღწერილ პარადოქსულ მიმართებას სწორედ აღნიშნული თეზისის დახმარებით ხსნის (იხ. ფიგურა 30).

ფიგურა 1: საქართველო




A – ულტრამემარჯვენე აგენტების მაკროიდენტობების რაოდენობა

ფიგურა 2: სხვა რეგიონები




B - სამიზნე აუდიტორიის მაკროიდენტობების რაოდენობა

ფიგურა 30.

*მიმართება უკიჰამემარჯვენე აგენტების და სამიზნე აუდიტორიის მაკროიდენტობებს შორის.*

ფიგურა 30 ასახავს იმ პარადოქსულ მიმართებას რაც ულტრამემარჯვენე აგენტებს და სამიზნე აუდიტორიას შორის არსებობს საქართველოში. **ულტრამემარჯვენე აგენტების მაკროიდენტობების კოლექტიური რაოდენობა მეტია მისი სამიზნე აუდიტორიის მაკროიდენტობების რაოდენობაზე, რასაც თავისი თანმდევი პარადოქსული შედეგები აქვს.**

აღნიშნული განსხვავების გამო ქართულ კონტექსტში **მხოლოდ ის ულტრამემარჯვენე აგენტები სარგებლობენ შედარებითი წარმატებულობით და ხანგრძლივი აქტუალობით, რომელთა მაკროიდენტობაც ემთხვევა** (ან თანხვედრაშია) **სამიზნე აუდიტორიის მაკროიდენტობასთან.**

ამასთანავე ქართულ სივრცეში წარმოდგენილი ახალი ულტრამემარჯვენე აგენტები, რომელთა მაკროიდენტობაც სცდება სამიზნე აუდიტორიის მაკროიდენტობის არეალს მხოლოდ პერიოდული წარმატებულობით სარგებლობენ, გარკვეული დროის განმავლობაში ავრცელებენ ულტრამემარჯვენე ნარატივს, შემდეგ კი კარგავენ აქტუალობას სამიზნე აუდიტორიისათვის. მსგავსი ტენდენციის ერთ-ერთი ნათელ მაგალითს წარმოადგენს ულტრამემარჯვენე ჯგუფი - „ეროვნული ძალის“ აქტუალობის მყისიერ ზრდა და სწრაფადვე შემცირება (იხ. ფიგურა 30).




როგორც წესი, მსგავსი პატარა ულტრამემარჯვენე ჯგუფები აქტუალობის დაკარგვის შედეგად აქტუალობის შესანარჩუნებლად თანამშრომლობას შედარებით უფრო დიდ ჯგუფებთან იწყებენ.[63]

[63] **შენიშვნა[19] :** მიმდინარე წლის ოქტომბერში ეროვნული ერთობის Facebook გვერდზე დაიწყო Alt-Info-ის გადაცემების აქტიური გაზიარება. სამწუხაროდ, აღნიშნული პოსტები სწრაფადვე იქნა წაშლილი

## 4.5.2 სამიზნე აუდიტორიის შექმნის პროცესი

ზემოთ ხსენებული პარადოქსული მიმართება ულტრამემარჯვენე აგენტებს და სამიზნე აუდიტორიას შორის შესაძლებელია ულტრამემარჯვენე ნარატივის სამიზნე აუდიტორიის ჩამოყალიბების პროცესით აიხსნას.

**ჯიჰადისტური ნარატივისაგან განსხვავებით, რომელიც მეტწილად მარგინალიზირებული მუსლიმების დაინტერესებისა და რეკრუტირებისთვის არის წარმოებული, ულტრამემარჯვენე აგენტები ბევრად მეტ ძალისხმევას ხარჯავენ საზოგადოების პოლარიზაციაზე, რაც ქმნის შთაბეჭდილებას თითქოს პოლარიზაციის პროცესზე დახარჯული ძალისხმევის საშუალებით, აგენტები თავად ქმნიან სამიზნე აუდიტორიას.**

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, საქართველოში გავრცელებული ჯიჰადისტური და ულტრამემარჯვენე ნარატივის შესწავლის შედეგად აღნიშნულ ნარატივებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან განსხვავებას წარმოადგენს **ულტრამემარჯვენე ნარატივის** (ჯიჰადისტური ნარატივისგან განსხვავებით) **შედარებით მეტი ყურადღების გამახვილება  არა შიდა ჯგუფის** (როგორც ამას ჯიჰადისტური ნარატივი აკეთებს), **არამედ გარე ჯგუფის მაკროიდენტობაზე.**

**ულტრამემარჯვენე აგენტების მიერ გარე ჯგუფის მაკროიდენტობაზე უფრო მეტი ყურადღების გამახვილება ერთის მხრივ უზრუნველყოფს მკაფიოდ განსაზღვრულ გარე ჯგუფების კონცეფციას, თუმცა მეორეს მხრივ ზღუდავს შიდა ჯგუფის მაკროიდენტობების რაოდენობას, რაც შემდგომში სწორედ ზემოთ აღნიშნულ პარადოქსულ მიმართებას განაპირობებს სამიზნე აუდიტორიის და ულტრამემარჯვენე აგენტების მაკროიდენტობას შორის.**

## 4.5.3 გაფართოება და პოტენციური მონოპოლიზაცია

ზემოთ აღნიშნული პარადოქსული მიმართება ულტრამემარჯვენე აგენტებისთვის სამიზნე აუდიტორიის მართვის კუთხით პრობლემატურია. **ბოლო წლების განმავლობაში ულტრამემარჯვენე აგენტებს შორის არსებული კონკურენცია სამიზნე აუდიტორიაზე გავლენის გაფართოების მიზნით ახალ მასშტაბებს იძენს.**

ამ კუთხით, გარკვეული ულტრამემარჯვენე ჯგუფების ქცევაში შეიმჩნევა სამიზნე აუდიტორიაზე მონოპოლიური კონტროლის დაკავების მცდელობის ნიშნები.

**სამიზნე აუდიტორიის მონოპოლიზაციის პროცესი ულტრამემარჯვენე აგენტებისთვის სამიზნე აუდიტორიასთან საერთო მაკროიდენტობის საკითხის ირგვლივ აპელირებაზე გადის.** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ჰომოფობიურმა მაკროიდენტობამ ორჯერ მოიპოვა წამყვანი როლი და შეძლო სხვადასხვა მაკროიდენტობის მქონე სამიზნე აუდიტორიის წევრების გაერთიანება. თუმცა, **აღნიშნული არა ჰომოფობიური მაკროიდენტობის, არამედ გარე ჯგუფისგან (ამ**

**შემთხვევაში LGBTQ თემის) მტრის ხატის შექმნაზე დახარჯულ ძალისხმევის პროდუქტია. საგულისხმოა,** რომ ულტრამემარჯვენე ნარატივის სამიზნე აუდიტორიის მთავარ მაკროიდენტობას დღეისათვის სწორედ რელიგიური (ქრისტიანული მართლმადიდებლური) მაკროიდენტობა წარმოადგენს.

სწორედ აღნიშნული განაპირობებს ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელი და გამავრცელებელი აგენტების მიერ სულ უფრო მზარდ აპელირებას მათ ქრისტიანულ მხარეზე (გარე ჯგუფების ამ რელიგიური მაკროიდენტობის გარეთ გარიყვის მცდელობის პარალელურად). ეს ყველაფერი შემდგომში ულტრამემარჯვენე აგენტების ისეთ შესამჩნევ ქმედებებში აისახება, როგორიც არის მათი მცდელობა ხაზი გაუსვან მათი ქმედებების რელიგიურ ასპექტსაც.[64]

**ამრიგად, ის ულტრამემარჯვენე ჯგუფები, რომლებიც საკუთარი ნარატივს გავრცელებასთან ერთად უფრო მასშტაბურად და წარმატებულად შეძლებენ საკუთარი მაკროიდენტობის, როგორც ქრისტიანულ-მართლმადიდებლურის პოზიციონირებას შეძლებენ სამიზნე აუდიტორიაზე ფართო გავლენის გავრცელებას და საბოლოო ჯამში მონოპოლიური კონტროლის დამყარებასაც.**

## 4.6 ულტრამემარჯვენე ნარატივის გავრცელებასთან გამკლავების მეთოდები

ულტრამემარჯვენე ნარატივის გავრცელების და სამიზნე აუდიტორიაზე მისი გავლენის გამო მნიშვნელოვანია ვისაუბროთ აღნიშნული ნარატივის გავრცელებასთან ბრძოლის მეთოდებზე.

ულტრამემარჯვენე ნარატივის კვლევის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი რეკომენდაციები ორიენტირებულია ულტრამემარჯვენე აგენტების ქმედითუნარიანობის შეზღუდვაზე.

01 **რეაქციულობის შეზღუდვა ულტრამემარჯვენე აგენტებისთვის** - როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა ულტრამემარჯვენე აგენტების ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენს მათი რეაქციულობა. ამრიგად, აღნიშნული ჯგუფებისთვის რეაგირების მიზეზის შემცირება არამხოლოდ ამცირებს მათ აქტივობას არამედ უკარგავს აქტუალორობასაც. აღნიშნული ჯგუფებისთვის რეაგირების მიზეზის შემცირება რამდენიმე მეთოდი არსებობს.

02 **დეზინფორმაციასთან ბრძოლა ინტერნეტში** - ინტერნეტში გავრცელებულ დეზინ-ფორმაციასთან ბრძოლას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ულტრამემარჯვენე ნარატივთან ბრძოლაში, რადგან წინამდებარე დოკუმენტში ხსენებული აგენტები ხშირად მიზანმიმართულად ავრცელებენ არასწორ ინფორმაციას, რაც შემდგომში დეზინფორ-მაციის შემცველ ნარატივს ქმნის.

[64] **შენიშვნა[20] :** მსგავსი ქცევითი ტენდენციის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენდა 5 ივლისის საპროტესტო აქციის მსვლელობისას პარლამენტის შენობის წინ აღმართული ჯვარი.

**03** **ნარატივის უნებლიე გამავრცელებლების ინფორმირებულობის ამაღლება** - უნებლიე გამავრცელებლები ულტრამემარჯვენე ნარატივის გავრცელების პროცესს უფრო მასშტაბურს და ნაკლებად მართვადს ხდის. ისეთი უნებლიე გამავრცელებლების, როგორიც არის მედია, აკადემიური სივრცე, ახალგაზრდები (და არამარტო), ინფორმირებულობის გაზრდა საგრძნობლად შეამცირებს ულტრამემარჯვენე ნარატივის გავრცელების მასშტაბს და სამიზნე აუდიტორიას.

**04** **სამართლებრივი ჩარჩოს განვითარება** ულტრამემარჯვენე ნარატივის შესახებ საქართველოში სამართლებრივი ჩარჩოს განვითარების აუცილებლობაზე საუკეთესოდ მიუთითებს წინამდებარე დოკუმენტში აღწერილი ალტ-ინფოს და სილქნეტის სამართლებრივი დავის საქმე.

# 5. ექსტრემისტული ნარატივის ანომალიური ბუნება საქართველოში

საქართველოში გავრცელებული ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის შინაარსობრივი, ენობრივი და სხვა მახასიათებლების მიხედვით შესწავლის შედეგად, საინტერესო ტენდენცია ფიქსირდება. **მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ულტრამემარჯვენე ნარატივი უფრო მეტი ინტენსივობით ვრცელდება და მანიფესტაციის უფრო ხშირი მაჩვენებელი აქვს, ქართულ საზოგადოებაში ჯიჰადისტური ნარატივი უფრო დიდ საფრთხედ აღიქმება.**

მსგავსი ანომალიური ხასიათის შესაძლებელია აიხსნას თეზისით, რომ საქართველოში ულტრამემარჯვენე ნარატივის უფრო ხშირი გავრცელების და ძალადობრივი მანიფესტაციისა, ამ ტიპის ნარატივი ექსტრემისტულად ვერ აღიქმება.

წინამდებარე ნაწილი იმ სავარაუდო მიზეზებს, რომელიც ხსნის აღნიშნულ ფენომენს. ამასთანავე, მნიშვენლოვანია გათვალისწინებული იქნას, რომ წინამდებარე პარაგრაფში წარმოდგენილი მოსაზრებები წარმოადგენს მხოლოდ ავტორისეულ პერსპექტივას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

## 5.1 ძალადობრივი ექსტრემიზმის აღქმა 9/11-ის შემდეგ

2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატებზე განხორციელებულმა ტერორისტულმა თავდასხმამ საერთაშორისო საზოგადოების მიდგომა ტერორიზმის მიმართ რადიკალურად შეცვალა. **ნატოს პირველად და ამ დრომდე ერთადერთხელ ამოქმედებული მე-5 მუხლი და "ომი ტერორიზმის წინააღმდეგ" ჯიჰადისტური იდეოლოგიის მქონე ორგანიზაციების წინააღმდეგ იწარმოებოდა, რამაც მთლიანი ყურადღების ისლამისტურ ტერორისტულ ორგანიზაციებზე და ჯიჰადისტურ ნარატივზე გამახვილება გამოიწვია. აღნიშნულმა საბოლოო ჯამში, ყურადღების მიღმა დატოვა ულტრამემარჯვენე და სხვა სახის ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივი.**

საერთაშორისო საზოგადოების კოორდინირებულმა მოქმედებამ საკუთარი მოსახლეობის ჯიჰადისტური ნარატივისგან დაცვის მიზნით, გამოიწვია საზოგადოებაში გარკვეული ობსესიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება ჯიჰადისტური ნარატივის მიმართ, რაც საბოლოო ჯამში აისახა ადამიანების შედარებით უუნარობაში ასეთივე სერიოზულობით აღიქვას ულტრამემარჯვენე ნარატივი.

აღნიშნულმა ტენდენციამ ადგილი ძირითადად დასავლურ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც ჰპოვა.

## 5.2 რელიგია და მრავალფეროვანი მაკროიდენტობა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო შედარებით ნაკლებად მოექცა ისლამისტური ტერორიზმის და ჯიჰადისტური ნარატივის სამიზნის ქვეშ, ქვეყანაში ჯიჰადისტური ნარატივის კონცეფციამ მთლიანად დაფარა ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის აღქმა ქართულ საზოგადოებაში, რაც ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ სამიზნე აუდიტორიის მაკროიდენტობაზე სწორად აპელირებასთანაც არის დაკავშირებული.

საქართველოში მოქმედი ულტრამემარჯვენე აგენტების მიერ რელიგიურ მაკროიდენტობის აპელირების მნიშვნელობაზე მიუთითებს კოშის განმარტება ულტრამემარჯვენე ნარატივის შესახებ, რომლის მიხედვითაც, ულტრამეამრჯვენე მოძრაობა კონტრ-ჯიჰადისტურ მოძრაობასთან ასოცირდება.[65]

ულტრამემარჯვენე აგენტების მიერ საქართველოს ისტორიაზე ხაზგასმამ და რელიგიური ასპექტის წინ წამოწევამ განაპირობა ულტრამემარჯვენე ნარატივის საფრთხეების აღქმის შერბილება და საზოგადოების ყურადღება მეტწილად ჯიჰადისტურ ნარატივზე გადაიტანა.

აღნიშნულს ასევე ხელს უწყობს ჯიჰადისტური მაკროიდენტობის არამრავალფეროვნება. გამომდინარე იქიდან, რომ ჯიჰადისტური მაკროიდენტობა მეტწილად კონცენტრირებულია სუნისტური ტერორისტული ორგანიზაციების დოგმების ირგვლივ, აღნიშნული საკმაოდ კონკრეტულ ხედვას აყალიბებს მსგავსი ნარატივის მიმართ.

ულტრამემარჯვენე ნარატივი, რომელსაც მაკროიდენტობად შეიძლება  როგორც ნაციზმს, ასევე ულტრანაციონალიზმს, რელიგიური ნაციონალიზმს, რასიზმს ან სხვა იდეებს იყენებდეს საფუძვლად, ხელს უშლის სამიზნე აუდიტორიის მკაფიო პოზიციის ჩამოყალიბებას იმასთან დაკავშირებით თუ რას წარმოადგენს ულტრამემარჯვენე ნარატივი.

## 5.3 ცრადიციულზე აპელირება

ჯიჰადისტური ნარატივისაგან განსხვავებით, ულტრამემარჯვენე აგენტები (განსაკუთრებით საქართველოში მოქმედი) წლების განმავლობაში წარმატებულად ახდენდნენ თავის პოზიციონირებას, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ნაწილის.

წინამდებარე დოკუმენტში  ხსენებული  ნორმატიულიი ნატივიზმი ულტრამემარჯვენე ნარატივის შემქმნელ და გამავრცელებელ აგენტებს საშუალებას აძლევს წლების განმავლობაში სამიზნე აუდიტორიის  მიერ აღქმული იყვნენ, როგორც ჭეშმარიტი ქართული ღირებულებების მატარებელი ერთეულები.

[65] See e.g., Koch, A. (2017). The new crusaders: Contemporary extreme right symbolism and rhetoric. Perspectives on Terrorism, 11(5), 13-24.

# დასკვნა

საქართველოში გავრცელებული ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის შესწავლის ფარგლებში წინამდებარე დოკუმენტში გაანალიზებულია ქვეყანაში წარმოდგენილი ჯიჰადისტური და ულტრამემარჯვენე ნარატივების ძირითადი მახასიათებლები.

საგულისხმოა, რომ საქართველოში იდეოლოგიურად მაღალი ინტენსივობით ულტრამემარჯვენე და ჯიჰადისტური ნარატივი ვრცელდება, ხოლო ულტრამემარცხენე ნარატივი მეტწილად დაბალი ინტენსივობით და ნაკლებად ძალადობრივი ბუნებით ხასიათდება, რამაც კვლევის ფარგლებში ყურადღების გამახვილება გამოიწვია ზემოთ ხსენებულ ორი კატეგორიის ექსტრემისტულ ნარატივზე.

აღნიშნული ორი ნარატივის სამუშაო დეფინიციის შემუშავების შედეგად დადგინდა, რომ ჯიჰადისტური და ულტრამემარჯვენე ნარატივის საერთო მახასიათებელს წარმოადგენს საზოგადოების პრივილეგირებულ და არაპრივილეგირებულ ჯგუფებად დაყოფა.

ულტრამემარჯვენე აგენტები უფრო მრავლად არიან წარმოდგენილი. ისევე როგორც ჯიჰადისტურ ისე ულტრამემარჯვენე ნარატივის შემთხვევაში სახეზეა ნარატივის მიზანმიმართულად და უნებლიედ გამავრცელებელი აგენტები.

აღნიშნული აგენტები ცდილობენ ნარატივი სხვადასხვა პლატფორმაზე გაავრცელონ. ამ მხრივ შეიმჩნევა ინტერნეტ-პლატფორმების აქტუალიზაციის ტენდენცია. თუმცა, მეორეს მხრივ ინტერპერსონალური კომუნიკაცია ჯიჰადისტური ნარატივის შეუცვლელი კომპონენტად რჩება.

საქართველოში არსებული ჯიჰადისტური ნარატივის სამიზნე აუდიტორია უფრო ვიწროა და მკაფიოდ განსაზღვრულია (აჭარელი მუსლიმები, ქისტები, ეთნიკური აზერბაიჯანელები), რომელთა კრებითი სახელიც აღნიშნულ შემთხვევაში მარგინალიზირებული მუსლიმია. ულტრამემარჯვენე ნარატივის სამიზნე აუდიტორიაზე გავრცელების პროცესის კვლევის დროს დაფიქსირდა პარადოქსული მიმართება ულტრამემარჯვენე აგენტებს და მათ სამიზნე აუდიტორიას შორის, რომელიც წინამდებარე კვლევაში მაკროიდენტობის კონცეფციით არის ახსნილი.

გავრცელების ფორმები მეტნაკლებად მსგავსია ორივე ნარატივში, რაც სხვადასხვა პლატფორმებზე ტექსტური, ფოტო, ვიდეო და აუდიო მასალების განთავსებას და ფიზიკურ გარემოს გულისხმობს.

მიუხედავად იმისა, რომ ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმი საქართველოს უსაფრთხოების არქიტექტურისთვის უფრო სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, საქართველოს მოსახლეობას უჭირს ულტრამემარჯვენე ნარატივის სერიოზულად აღქმა, რაც განპირობებულია როგორც 9 სექმტებრის ტერაქტის შემდეგ ისლამისტურ ტერორიზმთან და ჯიჰადისტურ ნარატივთან ბრძოლის გვერდითი ეფექტებით, ისე თავად ულტრამემარჯვენე აგენტების ეფექტიანი მუშაობით.

როგორც ჯიჰადისტურ, ისე ულტრამემარჯვენე ნარატივთან ბრძოლის მეთოდები უპირველეს-ყოვლისა მარგინალიზირებული ჯგუფების დახმარებაზე, საკანონმდებლო ჩარჩოს განვითა-რებაზე და სამიზნე აუდიტორიების ინფორმირებულობის ამაღლებაზე გადის.

# გამოყენებული ლიტერატურა


OSCE, U. (2021). On July 5 Violence in Georgia. U.S. Mission to the OSCE. Retrieved 13 November 2021, from https://osce.usmission.gov/on-july-5-violence-in-georgia/.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (2021). *სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადება*. ბოლო ნახვა 13 ნოემბერი, 2021. https://ssg.gov.ge/news/712/saxelmtsifo-usafrtxoebis-samsaxuris-gancxadeba

საქართველოს პარლამენტი (2021). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი - კონსოლიდირებული ვერსია. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=235

საქართველოს მთავრობა (2019). ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია.

http://gov.ge/files/524_69782_874672_rotated_53.pdf?fbclid=IwAR25TZYW_udVPdXlN7tZ2FmHq3CElzugyILRxnYlTqZQ68sCq1tEqMGGPXg

United Nations (2021). Addressing and Countering Hate Speech and Violent Extremism through Education in a Digital World. https://media.un.org/en/asset/k1u/k1u6lj3ito

Berger, J.M (2017). Extremist Construction of Identity: How Escalating Demands for Legitimacy Shape and Define In-Group and Out-Group Dynamics. International Center for Counter-Terrorism.

https://icct.nl/publication/extremist-construction-of-identity-how-escalating-demands-for-legitimacy-shape-and-define-in-group-and-out-group-dynamics/

Oxford Reference (n,d.) Jihad. ინტერნეტი;

https://www.oxfordreference.com/view/10.1093/oi/authority.20110803100020733;
ბოლო ნახვა: 10 სექტემბერი, 2021.

Hornblower, S. & Spawforth, A. (2005). Narrative; The Oxford Classical Dictionary. ინტერნეტი;
https://bit.ly/3nTncBC ბოლო ნახვა: 10 სექტემბერი, 2021.

Glazzard, A. (2017). Losing the Plot: Narrative, Counter-Narrative and Violent Extremism; International Centre for Counter-Terrorism. გვ. 1

წულაძე, ძ. (2015). არის თუ არა ყურანის სწავლება ექსტრემისტული? ამერიკის ხმა. ინტერნეტი; https://www.amerikiskhma.com/a/isis-georgia/3071479.html; ბოლო ნახვა: 10 სექტემბერი, 2021 წელი.

Al Jazeera (2017). An Interview with al-Shishani. ინტერნეტი; http://www.chechensinsyria.com/?p=24202&fbclid=IwAR2KZ2cN7eWJ32SsxJTPyL5fBHbaQsNR-7lqm72M6bnwQQnIUIwiyxjgbFQ; ბოლო ნახვა 13 სექტემბერი, 2021 წელი. (თარგმნილია ავტორის მიერ).

კვირის პალიტრა (2016). "მოგვაწოდეთ ფოტოები, სახელი-გვარები და მისამართები იმ ხალხისა ვინც არიან ისლამის მტრები" - ISIS-ის ახალი მუქარა საქართველოს?!. https://www.kvirispalitra.ge/versia/31526-qmogvatsodeth-mtrebis-misamarthebiq.html

Pokalova, E. & Karosanidze, T. (2020). Neighbouring an Insurgency: the case of Radicalization in Georgia. Central Asian Survey (40); გვ 243.

Lister, C (2017). Al-Qaeda versus ISIS: Competing Jihadist Brands in the Middle East; Middle East Institute; გვ. 10-16.

Schmid, P.A (2014). “Single Narrative” and Attempts to Develop Counter-Narratives: The State of Knowledge; International Centre for Counter-Terrorism (ICCT); გვ. 12

Ghamari, M. at War Studies University (2017). Pro-Daesh Jihadist Propaganda. A Study of Social Media and Video Games. Security & Defence Quarterly 1 (4). გვ. 73.

GlobalStats (2021). Social Media Stats in Georgia. ინტერნეტი; https://gs.statcounter.com/social-media-stats/all/georgia; ბოლო ნახვა: 12 სექტემბერი, 2021 წელი.

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) (n,d.). რა უნდა ვიცოდეთ თანამოქალაქე ეთნიკური აზერბაიჯანელების შესახებ. ინტერნეტი; https://tdi.ge/ge/page/ra-unda-vicodet-tanamokalake-etnikuri-azerbaijanelebis-shesaxeb; ბოლო ნახვა: 12 სექტემბერი, 2021 წელი.

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი (2002). ეთნიკურ-კონფესიური ჯგუფები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში. გვ. 17

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) (n,d.). რა უნდა ვიცოდეთ თანამოქალაქე ეთნიკური აზერბაიჯანელების შესახებ. ინტერნეტი; https://tdi.ge/ge/page/ra-unda-vicodet-tanamokalake-etnikuri-azerbaijanelebis-shesaxeb; ბოლო ნახვა: 12 სექტემბერი, 2021 წელი.

Ravik, A. & Segers, B. I (2020). What is Right-Wing Extremism. Center for Research on Extremism (C-Rex). https://www.sv.uio.no/c-rex/english/groups/compendium/what-is-right-wing-extremism.html

Carter, E. (2018). Right-wing extremism/radicalism: reconstructing the concept. Journal of Political Ideologies, 23(2), 157-182; Mudde, C. (2007). Populist radical right parties in Europe. Cambridge, UK: Cambridge University Press.

Mudde, C. (1995). Right-wing extremism analyzed: A comparative analysis of the ideologies of three alleged right-wing extremist parties (NPD, NDP, CP'86). European Journal of Political Research, 27(2), 203-224.

# დანართები

**დანართი 1.** *ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევის საერთაშორისო ცენტრის (International Center for the Study of Violent Extremism) მიერ დაეშის წევრობისთვის ბრალდებულ პატიმრებთან ჩატარებული ინტერვიუს ტრანსკრიპტები.*

*ინტერვიუ #1 [ნაწყვეტი]*
**ჩემი გზა ჯიჰადისკენ**

0:02 რეალურად, მე მხოლოდ ბოლო დროს ვირწმუნე ის იდეოლოგია რომელიც მხარს უჭერს ბრძოლას

0:08 და ჯიჰადს ისლამური სახელმწიფოს შესაქმნელად, რათა შეიქმნას შარიათზე დაფუძნებული მიწა, რომელიც ალაჰის სიტყვით ხელმძღვანელობს.

0:19 როდესაც სირიის ომის შესახებ ვიდეო გამოქვეყნდა,

0:22 ასადის მიმართ სიძულვილის პირველი ტალღა კოსოვოში, ჩვენს მეჩეთებში გაჩნდა.

0:26 პარასკევის ქადაგებებზე იმამები გვესაუბრებოდნენ ერთიანობის მნიშვნელობაზე

0:32 და მიმართავდნენ საზოგადოებას წასულიყვნენ და დახმარებოდნენ დაჩაგრულ ხალხს,

0:36 ასადისა და სხვა დიქტატორების წინააღმდეგ.

0:37 [აბუ ალბანი] [ISIS-ის ყოფილი მებრძოლი]

0:39 ასე დაიწყო ყველაფერი.

0:41 ფეისბუქი წარმოადგენდა მთავარ წყაროს ვიდეოების საყურებლად.

0:48 მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის არაბული არ მესმოდა.

0:50 სიმართლე გითხრათ, არაფერი მესმოდა.

0:53 მაგრამ, მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მე ომს ვუყურებდი

0:54 და მაშინვე მოვიხიბლე ომის იდეით...

0:57 ბრძოლის სურვილით.

1:01 აბუ ალბანი ფეისბუქის საშუალებით დაუკავშირდა ხალხს, რომელმაც აუხსნა მას, თუ როგორ შეეძლო ბრძოლებს შეერთებოდა სირიაში.

1:10 მანამდე, მე მჯეროდა ტრადიციული ისლამის და ისლამს სხვებსავით მივდევდი.

1:15 მაგრამ დროთა განმავლობაში მეტი ხალხი გავიცანი და გამიტაცა ექსტრემიზმმა .

1:27 იმისათვის რომ კავშირები დამემყარებინა,

1:31 მე გავყევი ლავდრიმ მუჰახერისა [ISIS-ის ალბანელ ლიდერს] და სხვა ალბანელებს,

1:36 და ვუყურებდი ვიდეოებს სირიაში ჩასულ ალბანელებზე.

1:39 მითხრეს რომ სირიელ ხალხს სჭირდებათ სხვა მუსლიმები,რომ დაეხმარონ მათ ალაჰის სურვილის აღსრულებაში.

იხ. https://www.youtube.com/watch?v=7vfDzwndvFY&ab_channel=ICSVE

*ინტერვიუ #2*

**ნამდვილი ჯიჰადი**

00:00 როდესაც [ISIS] პირველად გამოჩნდა, ისე ჩანდა თითქოს ისინი ალაჰის კანონებსა [და] ისლამს მისდევდნენ.

00.07 ეს ნამდვილი ჯიჰადი იყო, ნამდვილი ბრძოლა.

00:10 მინდოდა მებრძოლა ISIS-სთვის ბრძოლებში და ვიბრძოდი. მონაწილეობას ვიღებდი ბრძოლებში.

00:17 შემდეგ დავიწყე ამის ნეგატიური მხარის დანახვა.
[აბუ ჰამზა] [ყოფილი ISIS მებრძოლი]

00:25 [მოკლულთა] რაოდენობა უზარმაზარი იყო. ბევრი ადამიანი მოკვდა ბრძოლაში
[სუნიტი ალ-შეიტაატის წინააღმდეგ]

00:31 ისინი მთელ ქუჩაზე იწვნენ.

00:31 ჩვენ ახალგაზრდები ავიყვანეთ.

00:37 თავიდან, [ISIS-მა] გვითხრა, რომ ეს ადამიანები მურტადინ [განდგომილები] არიან.

00:41 პირადად მე არ მჯეროდა, მაგრამ არაფრის თქმა შემიძლია.

0:45 ჩვენ ტერიტორია გავწმინდეთ და ავიყვანეთ მურტადინები.

0:49 დაახლოებით 25-30 ადამიანი [იყო].

0:51 [ISIS-მა] ისინი სასამართლოში წაიყვანა. მათ ისინი განსაჯეს.

0:54 მათ თავი მოკვეთეს.

0:55 [ISIS-მა] წაიღო იმ ადამიანების ნივთები, ვისაც თავი მოკვეთეს

1:00 და ისინი აუქციონზე გაყიდეს.

1:05 წასული ადამიანების სახლები, ძროხები და მიწები წაიღეს.

1:10 ყველაფერი.

1:12 ტადმორის ბრძოლისთვის, ჩვენ ტადმორში წავედით. [სირიული] რეჟიმი იქ იყო, რა თქმა უნდა.

1:17 რეიდი ჩავატარეთ, მაგრამ იქ არავინ იყო.

1:20 იქ რამოდენიმე სამხედრო იყო.

1:23 როდესაც მათთვის სროლას ვაპირებდით, გვითხრეს რომ მოქალაქეები იყვნენ

1:27 და რომ მათ არანაირი კავშირი არ ჰქონდათ [ომთან].

1:31 მათ ისინი პირდაპირ თავის მოსაკვეთად და ჩასაცხრილად წაიყვანეს.

1:38 ISIS მეთაურებმა აბუ ჰამზას მოუხმეს მისი სოფლიდან, მისი ნაცნობის დასასჯელად.

1:45 მე მას რევოლუციამდე ვიცნობდი.

1:47 ის ძალიან რელიგიურია. ის ლოცულობს და მარხულობს

1:54 და ის მეჩეთში ლექციებს კითხულობს.

1:57 ის პატიოსანი, სანდოა. ის მარხულობს. ის სუნიტია.

2:02 ჩვენ მივიღეთ ინფორმაცია, რომ ის [სავარაუდოდ] საიდუმლო აგენტია, რომელიც თავისუფალი სირიის არმიისთვის მუშაობს.

2:14 თუ ვინმე რაიმეს იტყოდა [ISIS-ის წინააღმდეგ], ისინი მას თავს მოკვეთდნენ.

2:18 მათ ის მოიყვანეს.

2:21 ჩვენ წრე შევკარით და ხალხის მოახლოება შევზღუდეთ

2:26 ჩვენ მთელი ქუჩა გადავკეტეთ. მათ ხის ნაჭერი მოიტანეს მისი თავის მოსაჭრელად.

2:34 [შემსრულებელმა] ამოიღო ხმალი, მისთვის თავის მოსაკვეთად.

2:40 [მაგრამ] კაცმა თავი გაწია, ერთხელ და შემდეგ კიდევ.

2:44 ISIS-ის სხვა კაცმა თმაში ხელი ჩაავლო და გააჩერა.

2:50 მან მისი ხმალი აიღო და დაარტყა.

3:03 [საბოლოოდ] კაცი დაეცა.

3:05 ის იატაკზე დაეცა და ფეთქვა დაიწყო.

3:08 ჩვენთან მყოფი კაცი წინ წამოიწია.

3:13 მან გადატვირთა იარაღი სასროლად და მის ბოლომდე მოსაკლავად, რადგან ის იტანჯებოდა.

3:19 შემსრულებელმა თქვა, 'არა.'

3:20 მან კიდევ ერთხელ აიღო ხმალი და სცადა კაცის თავის მოჭრა, მაგრამ ამან არ იმუშავა.

3:27 შემდეგ ის მანქანასთან მივიდა. ყველას თვალწინ, მან დანა აიღო და მას თავი მოჰკვეთა.

3:35 ამან ჩემზე იმოქმედა.

3:41 [როდესაც თავის მოკვეთები ვნახე], ჩემმა ქვეცნობიერმა [თქვა] 'ეს ისლამური არ არის.'

3:45 მაცნე (მშვიდობა იყოს მასთან) ამბობს პატიმრებზე, რომ

3:49 ადამიანმა უნდა ასწავლოს 10 მუსლიმს კითხვა და წერა, შემდეგ ისინი გაუშვას.

3:56 ISIS ტვინს გამოგირეცხავს ჰოურით [ქალწულები სამოთხეში], ისლამით, სამოთხით.

4:04 შემდეგ მათ უნდათ თავი მოჰკვეთონ სუნიტს ან ვინმე სხვას შენ თვალწინ.

4:14 სიმართლე ისლამური სახელმწიფოს უკან.

4:17 დაფინანსებულია ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევის საერთაშორისო ცენტრის მიერ www.ICSVE.org

4:23 იხილეთ მეტი TheRealJihad.org - ზე
იხ. https://www.youtube.com/watch?v=DDzW7QKifW8&ab_channel=ICSVE

*ინტერვიუ #3*

**დავლას დაპირებები ქალებს**

0.2 ის ჩემი პირველი სიყვარული იყო და ძალიან მიყვარდა.

0.5 როდესაც მან სხვა ქალი არჩია, მე მიმატოვა და იმედი გამიცრუა.

0.11 მე ძალიან, ძალიან, ძალიან დეპრესიული გავხდი.

0.12 იმ დროს, მეგონა, მხოლოდ რელიგიას შეეძლო ჩემი ხსნა.

0.17 გადავწყვიტე შემექმნა მეორე „ფეისბუქის“ ანგარიში, ცოტა უფრო  რელიგიური,

0.21 რათა კომუნიკაცია მქონოდა რელიგიურ ხალხთან.

0.24 ზუსტად ამ დროს ISIS-ის რეკრუტერმა დამამატა „ფეისბუქზე“

0.30 მან მითხრა, რომ ქალები შეეძლოთ ყოფილიყვნენ ძიძები და დახმარებოდნენ ობოლ ბავშვებს.

0.34 მითხრა, რომ ქალებს იქ სტატუსი ჰქონდათ და მათ ძვირფასად მიიჩნევდნენ.

0.44 ჩვენ, ქალებს, შეგვეძლო გავწევრიანებოდით ISIS-ში, რათა იქ სამოთხით დავმტკბარიყავით.

0.49 მან მითხრა, რომ მექნებოდა ვილა, ცხენები და ფაქტიურად ყველაფერი - რასაც ვისურვებდი.

0.54: მითხრა რომ ვიქნებოდი მდიდარი, ბრილიანტებიც კი მექნებოდა!

0.57 მან ნამდვილად შეძლო მოეყიდა ოცნება იმის შესახებ, რომ ყველაფერი რაც მინდოდა, სირიაში მექნებოდა.

1:02 ასე რომ, ჩვენ საზღვაო მოგზაურობაში წავედი.

1:05 და ეს მოგზაურობა თურქეთში შეწყდა, იზმირში გემი დავტოვეთ.

1:11 შემდეგ, იზმირიდან - ადანაში, ადანადან კი გაზიანტიპში წავედით.

1:13 და იქ, გაზიანტიპში, ისლამური სახელმწიფოს კონტრაბანდისტები დაგვხვდნენ, რომლებმაც სირიაში გადაგვიყვანეს.

1:21 მე მხოლოდ ერთი რამ მინდოდა: წავსულიყავი სირიაში და იქ ახალი მუსლიმი „ძმები და დები“ მეპოვა.

1:27: რეკრუტერმა დიდი სიძულვილი გამიღვივა ყველაფრის, მათ შორის საზოგადოებისა და ჩემი ოჯახის მიმართაც კი.

1:33 ასე რომ, ჩემთვის ბელგიაში ცხოვრება უკვე დასრულებული იყო და მე ახალ ცხოვრებას სირიაში ვიწყებდი.

*დანართი 2. ნაწყვეტი მუსღიმ აბუ ვაღიდ აღ-შიშანის (მუჰად მაჰგოშვიღის) ინტერვიუდან თუჰქუღენოვან აღ ჯაზირასთან.*

**ჟურნალისტი:** ეს სირიის ომი არ არის? აქ რატომ ჩამოხვედით?

**რესპონდენტი:** მთავარი მიზეზი, რის გამოც ჩვენ აქ [სირიაში] მოვხვდით, მოციქულის ჰადისია შამზე [სირია], შემდეგ კი სირიელ ხალხს თავს დატეხილი განუკითხაობაა. ეს ჩვენთვის უცხო არ არის, ჩვენ ამას წლების განმავლობაში განვიცდიდით - ჩვენ ვართ ის ერი, რომელსაც ყველაზე კარგად ესმის სირიელი ხალხისა. ამით ერთმანეთს ვგავართ კიდეც. და, როგორც ჰადისშია ნათქვამი, ჩვენ შევხვდით იმ ხალხს, ვისთვისაც ბრძოლას და სიკვდილს არ დავიშურებთ.

---

**ჟურნალისტი:** თქვენი აზრით, რატომ ჩაერთო რუსეთი ამ ომში?

**რესპონდენტი:** გავიხსენებ ჰადისს: „ურწმუნოები თავს იყრიან შენს ირგვლივ, როგორც მშიერი თავს იყრის საკვების ირგვლივ“. ახლა სწორედ ეს ხდება. რუსეთი ერთ-ერთი მათგანია [იგ. მშიერი]. რუსეთს ყველაზე მეტად სურს სირიაში რეჟიმის შენარჩუნება ამიტომაც ბომბავს ის ყველაზე ინტენსიურად. მაგალითად, თუ კოალიცია ერთხელ ახორციელებს დაბომბვას, რუსეთი ამას ათჯერ აკეთებს.

---

**ჟურნალისტი:** რუსეთის მიერ სირიის მთელ ტერიტორიაზე საჰაერო თავდასხმების გამოყენებას ხშირად თან ახლავს კონსპირაციული თეორიები, რომლის მიხედვითაც რუსეთი ხშირად იმართლებს თავს ჩრდილო-კავკასიელების დაბომბვის მიზეზით სირიის ტერიტორიაზე.

**რესპონდენტი:** როდესაც ურწმუნოებს სურთ რამის გაკეთება, ისინი მრავალ მიზეზს მოიფიქრებენ. არგუმენტი კავკასიელი მოჯაჰიდების შესახებ აზრს მოკლებულია. მანამდე ისინი უკრაინაში შეიჭრნენ. იყვნენიქ ტერორისტები კავკასიიდან? ავღანეთში შეჭრის მიზეზიც ჩვენ ვიყავით? რუსებს სურთ აღიდგინონ დაკარგული პრესტიჟი საერთაშორისო არენაზე. სირია წარმაოდგენს შანსს რუსეთისთვის მოახდინოს მისი სიძლიერის დემონსტრირება საერთაშორისო არენაზე. მაგრამ ჩვენ ვწუხვართ იმ სირთულეებზე, რომელსაც ადგილობრივი სირიელები აწყდებიან ამ საჰაერო დარტყმების შედეგად. რადგან ისინი [სირიელები] ყველაზე მეტად ზარალდებიან.

*დანართი 3. დაეშის სოციალური გახე ჰეკლამა*

*გამოსახულება #1*

*გამოსახულება #2*

*გამოსახულება #3*